



ციბერი

№ 30 / 10 - 16 მაისი / 2010

- ვოკუსი: ქართული ფაშიზმი გვ. 15  
მოძრაობა „ნინ“ გვ. 17  
სელისუფლება და ეკლესია არჩევნების წილში გვ. 19  
რაციონალური „ერისტიან-დემოკრატები“ გვ. 23  
თინათინ ხიდაში: აგვისტოს ნანგრევებში გვ. 34  
მაცდატურა: გაუცემობირებელი სამსახური გვ. 36  
აცილეობრივი ური: სამსახური – უკან მომავალში გვ. 28  
სახელმწიფო ჯილდო – პრეზიდენტის ეპსკლუზივი გვ. 39  
ორი აზრი: 9 მაისის დღესასწაული გვ. 47

ISSN 1987-7528



ფაცი 2 ლარი



ფაციზმის პირსპი

გვ. 14-22



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი

**FM 105.5**

გორი, ქარელი, ხაშური

**FM 103.0**

ზესტაფონი, ეჭთაისი, სამტრედია

**FM 104.5**

ურევი, ქობულეთი, გათუახი

**FM 101.0**

ვოთი, სენაკი, ზეგდიჯი

**FM 101.9**



ფოტო: გამოცემის მუნიციპალური

**ცოდვები:**

- 02 რედაქტორი  
04 მოკლედ  
06 ფოტორეპორტაჟი  
07 ვრცლად  
10 მედიამნიტორინგი  
თავისუფალი თემა  
12 ორი აზრი  
9 მაისის დღესასწაული  
- ფაშიზმზე გამარჯვების  
აღნიშვნა, თუ საბჭოთა  
წარსულისადმი პატივის  
მიგება?  
ზაალ ანდრონიკაშვილი v.s.  
ლევან რამიშვილი  
14 თვალსაზრისი  
საქართველოს კულტურული  
ომი  
მარკ მალენი  
**ფოკუსი: ქართული ფაშიზმი**  
დაპირისპირება „ბარიერის“  
პირდაპირ ეთერში  
17 პროფაილი  
მოძრაობა „წინ“

- 19 სეკულარული სახელმწიფო  
ხელისუფლება და ეკლესია  
არჩევანის წინაშე  
**საუპრები ლიბერალიზმზე**  
21 ქართული ქუჩის  
მნიშვნელობა პოლიტიკის  
ანალიზში  
**პოლიტიკა**  
23 რაციონალური „ქრისტიან-  
დემოკრატები“  
25 NDI-ს კვლევა - მოსახლეობის  
საჭიროებებისა  
და პრობლემების  
ასახვა, მოქალაქეების  
დამოკიდებულება  
დემორკატიული პროცესების  
მიმართ  
**უურნალისტური გამოძიება**  
26 მოდელირებული  
გაზიფიცირება  
**კურონი**  
28 უკან მომავალში  
საქართველო ევროპული
- 30

- პაზრის ნაწილი  
საბერძნეთიდან - შიდა  
პრიბლემებამდე  
**კონფლიქტები**  
33 „შეღავათი“ რუსი  
ტურისტებისთვის  
**ადამიანის უფლებები და**  
სამართლა  
34 აგვისტოს ნაწილებში  
**საზოგადოება**  
36 გაუცნობიერებელი  
სამსახური  
39 სახელმწიფო ჯილდო  
პრეზიდენტის ექსკლუზივი  
41 უმცირესობა, რომელიც  
ოფიციალურად არ არსებობს  
არალიარებული უმცირესობა  
**სპორტი**  
47 არაფერი პირადი  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის  
ჩანაწერები**  
48 სეერ! მადაამ!

**გარეპარაზი:**

ფაშიზმის პირისპირ  
ფოტო: ნათა გულაძეშვილი



უურნალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდ  
„ლია საზოგადოება - საქართველოს“  
მსარდაქერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო  
მასალაში გამოიტანული მოსაზრება  
არ გამოხატვებს ფონდის „ლია  
საზოგადოება - საქართველოს“  
პოზიციას. შესაბამისდე, ფონდი არ არის  
პასუხისმგებელი მასლის შენარჩუნებისთვის.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



.... ცოტა ხნის წინ, სტუდენტებს ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ქალის ისტორია ვუამბე. ის თეთრკანიანი იყო, ემი ბილი ერქვა. აფრიკაში შტატებიდან „ფულბრაიტის“ სტილებით ჩავიდა. ერთ დღეს თავისი შვაკანიანი მეგობრები მანქენით ქალაქიდან სახლამდე, ერთ პატარა დასახლებამდე ჩაიყანა. როცა დაბაში შევიდნენ, ემი ბილის მანქანა ახალგაზრდების ბრძომ შეიიშნა. ეს ბიჭები ერთ-ერთ პოლოტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნოდნენ და ასეთი დევიზი ჰქინდათ: „თითო უცხოელზე თითო ტყვია“. ამ ადამიანების მიზანი თეთრკანიანებისგან მათი ქვეყნის გაწმენდა იყო. დაინახეს ემი ბილი. გადმოიყვანეს მანქანიდან. ემი გაიქცა. მერე დაუცა. ბიჭები წაესვენენ და ცემებს. სხეული დანით დაუსერეს. სასტიკი წესით მოკლეს. მერე ეს ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც დაჯგუფების ლიდერებად ითვლებოდნენ, დააპატიმრეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მოუსაჯეს. შემდეგ ჩეგნს ორგანიზაციას - „სიმართლისა და შერიგების საბჭოს“ ამნესტიის თხოვნით მიმართეს. ამ დროს კალიფორნიიდან აფრიკაში ემი ბილის თეთრკანიანი მშობლები ჩამოვიდნენ. გრძელი გზა გაიარეს და კეიპ თაუმნი შეჩერდნენ, სადაც დამნაშავების ამნესტიის საკითხი უნდა განხილულიყო. ემის მშობლებს სრული უფლება ჰქინდათ, თავითი შევილის მკვლელების ამნესტიის წინ აღდგომოდნენ. მა-გრამ ამის მაგივრად იკით, რა გააკეთეს? ადგნენ და თქვენს: „ჩეგნ მხარს ვუჭრეთ ამ ახალგაზრდების თხოვნას შეწყალების შესახებ“. განსაცილენტებელი რამ მოხდა! მაგრამ ეს კიდევ არ იყო ყველაფერი. მას შემდეგ, რაც ეს ბიჭები გაათავისუფლეს, ემის მშობლებმა კეიპ-თაუმნი ემი ბილის სახელბის ფონდი ჩამოაყალიბეს. ფონდის ერთ-ერთი მიზანი იმ შავკანიანი ბავშვების გადარჩენა იყო, რომელებიც პატარა-პატარა აფრიკულ დასახლებებში ძალადობის მსხვერპლი ხდებოდნენ. ამ ამიცანის განსახორციელებლად მათ სამსახურში თავიანთი გოგონას ორი მთავარი მკვლელი იყვანეს.“

სამხრეთ აფრიკული ეპისკოპოსი,  
ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურიატი, დესმონდ ტუტუ

რეალურობის მთავარი რეალურობი შეინიჭება შეკვეთით / აღმასრულდებოდა რეალურობის წილი ჯავახშეიღის / პოლიტიკა და საერთოშორისო ამბები სიცოგადა / კავკასია და კონფლიქტების სიცოგადა / უფრო აღადგისტრული გამოიძიება ძეგლი კურარენცია / საზოგადოებრივი მასშტაბი / ადამიანის უფლებები და სამართლებრივი წილი ბერებით / ტალინის მთავარი რეალურობის დამსახურებელი / გრანული ლინირენტ-სტატისტიკური წილი წილი სიონძე გამოიყენება: პროექტების მერყეობრივ ქვეთ ბარებშეიღინება / პროექტების მერყეობრივ ასახულებით ლეგალ შემოთხოვა / რეკამატის და გაყიდვების დოკუმენტორი შალვა ჩებინიშვი / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ათავს რეალა / დისტრიბუტორი ზეანდ შეგველია მას დამატებითი მიზანით: მსახურებელის 0162, ფალადგურის ქ. 108. ტელ: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სახა დამატებითი: „აზონ“ შეკვეთით / აზონის მიზანობა: აზონის მიზანობა სატრანზიტო სამართლებრივი წილის მიზანისათვის / აზონის მიზანისათვის სატრანზიტო სამართლებრივი წილის მიზანისათვის

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ურალისძე გამქვეყნებულ მისალიტოს სინილობრივი და/ მთლიანი განვიხევება რედეტის თანხმობის გარეშე აღიასალულია.

შეკვეთი: სტუმარი „ფუნქციონის“. მისამართი თბილისი, შემოქმედი ქ. 50, თელ. (995 32) 95 19 52. [www.phfavorite.ge](http://www.phfavorite.ge)

**www.liberal.ge**

[www.liberal.ge](http://www.liberal.ge)

---

2

Digitized by srujanika@gmail.com

# ახალი

# წიგნი

ზაალ სამადავვილი

## მოთხრობები ბიჭებისთვის



სამადავვილის  
კულტურული ცენტრი

ფასი 12.00

თანამედროვე  
ქართული პროზა

მოთხრობები ბიჭების  
ზაალ სამადავვილისგან

ნოსტალგიით სავსე,  
მწერლის ბავშვობის  
ფრონინდელი  
მოგონებებითა და  
თბილისური სურათებით  
გაცოცხლებული ამბები,  
რომელთა მთავარი თემა  
მშობლების, მეგობრების  
სიყვარული, გაჭირვებასა  
და ცხოვრებისეულ  
პრობლემებთან ბრძოლა,  
კეთილშობილება და  
კაცომოყვარეობაა, თან  
უცხო და თანაც ნაცნობია  
ამ წიგნის პერსონაჟთა  
თანატოლი ბიჭებისათვის.



გაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

მის: აღმაშენებლის 150

ტელ: 910 954, 911 165

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)



## ახალი საბაზნითში

საპერძეოს პარლამენტმა, სავალუტო ფონდისა და ევროკავშირისგან 110 მილიარდი ევროს დახმარების სანაცვლოდ მოთხოვნილი, მკაფიო ეკონომიკური პოლიტიკის პროექტი ათენში მასობრივი არეულობების ფონზე დაამტკიცა.

საპერძეოს დედაქალაქში პარლამენტის შენობასთან ქვების სროლისა და ნაგვის ურნების დაწყის შემდეგ დემონსტრაციებმა ცეცხლ-მოკიდებული ბოთლი ბანკის შენობაშიც შეაგდეს, რასაც ხანძარი მოჰყვა. ხანძარმა კი ბანკის სამი თანამშრომელი იმსვერპლა, მათ შორის იყო ერთი ორსული ქალი; დაშავდა 60-

მდე ადამიანი, დაჭრილთა შორის არიან პოლიციელებიც. რამდენიმე ათეული მანიფესტაციი დაკავეს კიდევ.

„ევეყანა უფსკრულის პირას აღმოჩნდა.

ჩევ ყველა ვართ პასუხისმგებელი, რომ ამ უფსკრულისკენ ნაიჯი არ გადავდგათ“, – განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა კარლოს პაპულიასმა.

მანიფესტაციები იმ პროექტს აპროტესტებდნენ, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში პენსიები და საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა ხელფასები შემცირდება, გადასახადები კი გაიზრდება.

## ბერძნები ამას ბალარი

სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო პარლამენტმა ე.წ. მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა. თუმცა, დეპუტატების უმრავლესობამ კენჭისყრაზე ხმა მისცა იმ კომისიის შექმნის საკითხს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ ბროვცევისა და მისი მთავრობის 2009-2010 წლებში საქმიანობას შეისავლის, კონკრეტულად კი – საბიუჯეტო თანხების განკარგვას.

პარლამენტის პრეზიდენტმა ბროვცევისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დაყენების წინადაღისტი რამდენიმე დეპუტატმა მიმართა. ისინი პრემიერ-მინისტრს უმოქმედობასა და რუსული ფინანსური დახმარების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებდნენ.

ვიდრე პარლამენტში ამ საკითხს განხილავდნენ, ბროვცევი და კოკითი თრი დღის შუალედით ჩავიდნენ მოსკოვში და ცალ-ცალკე შეხვდნენ რუსეთის უშმეშროების საბჭოს მდივან ნიკოლაი პატრუშევსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სერგეი ნარიშკინს.

ე.წ. პარლამენტის სხდომის შემდეგ დე ფაქტო პრეზიდენტთან შეხვედრისას დეპუტატები მოელოდნენ, რომ გაერიტიკების შემდეგ კოკითი ბროვცევს მოხსნიდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ბროვცევი ამჯერად კრემლმა გადაარჩინა, მაგრამ კოკითი უკვე ლიად აცახადებს, რომ ამ ამბავს რუსეთიდან ცხინვალში ჩასული რამდენიმე მინისტრი „გადაჰყვება“, თუმცა – რომლები, მას არ დაუკონეტებდნენ.

## მეტის ხანიდასი ის ვაჟის

საქართველოს შს-ზ, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის გამო, სისხლის სამართლის საქმე აღძრა ხულიგნიბის მუხლით, თუმცა – არა უშუალოდ „ეროვნული საბჭოს“ ლიდერის ზვად მიმდევ ხულიგნიბის მერობის კანდიდატს დაბრალდება თუ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს, ამას გამომება დაადგენს. მიმდევ ხულიგნის თქმით, მისი სახლის წინ „ნაციონალური მოძრაობის“ პლაკატები გაკვრის გამო მეზობლებსა და აქტივისტებს შორის ჩხუბი მოხდა და გასამელებლად ჩავიდა. „50 კაცი დამესია, მანქანებით, სასწავლით მოცვიდნენ. მათ შორის იყვნენ ე.წ. ქელი ბიჭები, იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები“ და რამდენიმე იარაღიანი ადამიანი. მათ დაიწყეს ჩემზე ფიზიკური ზენოლის განხორციელება“, – ჰყება მიმდევ და ადასტურებს, რომ ამის გამო პაერში სამჯერ გაისროლა.

მიმდევ ამშობს, რომ მას ირალის ტარების უფლება აქვს. თუმცა, როგორც ყოფილ დეპუტატი, არ სარგებლობს ხელშეუებლობის იმუნიტეტით. ასეთი პრივილეგია მას არ გამართა, არც როგორც თბილისის მერობის კანდიდატს. თუ ზვად მიმდევ ხულიგნიბის ბრალი დაუმტკიცდა, მას 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## TI-ს ახალი ანბანიში

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ (TI) თავის ანგარიში საქართველოში ყველაზე დიდ პრობლემად დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობას ასახელებს. ახალ ანგარიში საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის შედეგებია განხილული. გარდა სასამართლოს დამოუკიდებლობისა, TI საჯარი სამსახურის მუშაობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსაც აფასებს. ანგარიში სხვადასხვა კვლევაზე დაყრდნობით წერენ, რომ საქართველოს მოქალაქებისთვის სასამართლო ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად სანდო სახელმწიფო ინსტიტუტია. TI საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებსაც აძლევს: მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში – მაქსიმალური გამჭვირვალობა, რათა გამოირიცხოს მმართველი პარტიის ზეგავლენის ფაქტორი და ნებოტიზმის შემთხვევები; სასამართლო მოსმენათა გადადების შემთხვევების შემცირება; საჯარო სამსახურების წინასარჩევო კამანიებში მონაწილეობის შეზღუდვების დაწესება; საჯარო ხარჯების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ა.შ. ანგარიში წერია, რომ საქართველოსთვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ჯერუფის მიერ მინიდებული რეკომენდაციები – სანახევროდ, მაგრამ მინც შესრულებულია.



## ცალიავის სამსახურის ზოვანი

მექსიკის ყურე ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას. ყოველ-დღიურად 800 ათასი ლიტრ ნავთობის ყურეში ჩაღვრა რეგიონის ფაუნას საფრთხეში აღდებს. შანდელიურის არქეპელაგის კუნძულებზე დაზიანებული ჭაბურღლილი დანართის გამოუყოფლივ ნავთობთან ერთად წყალმაზლის მკვდარი ბინადრებიც გამორიყა. სანაპიროზე ნავთობით დასვრილი ფრინველებიც შეინიშნება. თუმცა, სპეციალისტები კვლევის ჩატარებამდე დაზუსტებით ვერ ამბობენ ზღვის ბინადართა სიკვდილი ნავთობმა გამოიწვია თუ – არა. იმ ჭაბურღლილის პლატფორმას, რომელზეც აფეთქება მოხდა, კომპანია „პრითიშ პეტროლიუმი“ ქირაობდა. შესაკეთებელ სამუშაოებსაც სწორედ ის უძღვება. მაგრამ ჯერვერიბით ამ პროცესის შეფერხება ვერ მოხერხდა. ეკონომიკური და ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად კომპანია უახლეს ტექნოლოგიებს იყენებს. ამ ეტაპზე ერთადერთი სწრაფი გამოსავალი 97-ტონიან რკნაბეტონის ე.წ. გუბბათოვნი კოშის ფსკერზე ჩაშვება. თუ სამუშაოები წარმატებით დასრულდება, კოში დაზიანებულ ჭაბურღლილს ზემოდან დაფედება და ამით ნავთობის ოკეანეში ჩაღვრას ხელი შეეშლება. გუბბათში დაგრივებულ ნავთობს ოკეანის ზედაპირიდან ტანკერები სისტემატურად ამოქაჩავენ. ასეთი მეთოდი, თან ასეთ სიღრმეზე ჯერ არასოდეს გამოუყენებიათ. ესპერტები მიჩნევთ, რომ ეს მეთოდიც საკმაოდ სარისკოა, თუმცა, აშშ-ს ხელისუფლებაში და BP-ში იმედოვნებენ რომ ის გაამართლება.

## ციტატები



„6 მაისი პოლიციის დღედ უნდათ, 23 ნოემბერი

– რევოლუციის დღედ. ერთხელაც იქნება წმინდა გიორგი ჩავის მახვილს ამათ

[ხელისუფლებას]“.

**ზედად ძიძიგური**

**5 მაისი, თბილისი**

„ტალიავინიმ, სარკოზიმ, შრიოდერმა და სხვებმა მათი მამა-პაპების მიერ აშენებული ევროპა დაასამარეს“.

**იულია ლატინინა**

**3 მაისი, „ეუდენევი ჟურნალ“**

„ის [ვიქტორ იუშჩენკო] ჩემი პარტნიორი არ არის, ჩვენ იუშჩენკოსთან ვისაუბრეთ, თუმცა არაფერი გამოგვივიდა. ვიდრე პოლიტიკოსები საკუთარ ამბიციებს არ დათმობენ, ჩვენ ქვეყნას ვერ გავაერთოანებთ“.

**იულია ტიმოშენკო**

**7 მაისი, კიევი**

## ჩიქევები

**2** - ჯერ გაიზარდა მერიის პროექტის „თბილისის კორპუსის“ დაფინანსება, შარშანდელთან შედარებით, და 29,5 მილიონ ლარს მიაღწია.

**35 161 200** ლარად იყიდება ბათუმის სასტუმრო „ინტურისტი“.

**100** ათას აშშ დოლარს აწესებს ჯილდოდ ყირგიზეთის მთავრობა ბაკიევის გარემოცვის წევრებზე ინფორმაციისთვის.

**1** მილიონი iPad გაყიდა Apple-მა 28 დღის განმავლობაში.



## პრიზენცის ღილაკი

# "ԵհՅ - 6 օնութեան!"

6 მაისი, რომელიც ოპოზიციასა და მათ მხარდამჭერებს მძიმე მოგონებებს აღუძრავს, ხელისუფლებამ პოლიციის დღედ გამოაწეა.

ပြည်သူများ

„საქართველოს პოლიცია ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო პოლიციაა მსოფლიოს მასშტაბით. იმ შუშის შენობებში, რომლებშიც თქვენ სხე-დხართ, ხალხი ხედავს მეგობრებს, ნათესავებს, დებს და ძმებს“, – ამ სიტყვებით მიმართა პრეზიდენტ-მა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალე შენობის წინ შეგროვილ პოლიციელებს და 6 მაისი პოლიციის დღეს გამოაცხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრის,  
ვანო მერაბიძევილის თქმით, ეს დღე  
საქართველოს მოქალაქეთა უმეტე-  
სობისთვის სასიამოვნო ემოციებთან  
ასოცირდება. „ჯერ ერთი გიორგო-  
ბაა და, ამასთან ერთად ეს ის დღეა,  
როდესაც აჭარა გათავისუფლდა  
ასლან აპაშიძის რეჟიმისაგან. ამიტო-  
მაც, გადავწყვიტეთ, სწორედ 6 მაისი  
ავირჩიოთ“.

თუმცა, 6 მაისთან განსხვავებული  
მოგონებები აკავშირებთ იმ ადამია-  
ნებს, რომლებიც შს სამინისტროსგან  
რამდენიმე კილომეტრის დაშორებით  
გამართულ, არასაპარლამენტო ოპო-  
ზიციის მიტინგში მონაწილეობდნენ.  
მათი თქმით, ეს დღე შარშანდელი  
დარბევის თარიღსაც ემთხვევა, როცა  
მომიტინგების დასაშლელად სპე-  
ცდანიშნულების რაზმა პლასტიკური  
და რეზინის ტყვეები გამოიყენა.

„პროტესტს ვუცხადებთ გიორგობის პოლიციის დღედ გამოცხადებას, ეს არის ქართველი ხალხის დაცინვა“, – აცხადებდა მიტინგზე კონსერვატიული პარტიის ნარმომადგენელი ზვიად ძი-ძიგური. თუმცა, აღლუმის მსვლელობისას ოპოზიციამ შინაგან საქმეთა სა-მინისტროსთან მისვლა ვერ მოახერხა, რადგან გზა პოლიციის თანამშრომლებმა გადაუკეტეს. საპროტესტო აქცია ვარკვეთის მეტროსთან დაიწყო და

კახეთის გზატკეცილზე, სარკინიგზო  
მაგისტრალთან პოლიციელებსა და  
მომიტინგებს შორის ქვების სროლით  
დასრულდა.

დილის წარუმატებელი მიტინგის გაგრძელება ოპოზიციამ მოვგიანებით, კოსტავას ძეგლთან გადაწყვიტა. გოგა ხაინდრავა აცხადებდა, რომ მსვლელობას შსს-ს სამმართველომდე გააგრძელებდნენ. თუმცა, მასშტაბური აქცია ისევ ჩაიშალა, ამჯერად – მომიტინგეთა სიმცირის გამო. ტრიბუნის ირგვლივ სივრცეს ძირითადად უურნალისტები და თავად პარტიათა წარმომადგენლები ავსებდნენ.

„თქვენ ხართ საუკეთესო საქართველოს მთავრისი“, – განაცხადა ტრიბუნასთან მომიტინ-გების სიმცირით იმედგაცრუებულმა გოგა ხაინდრავამ. სცენაზე ხშირად იცვლებოდნენ გამომსვლელები: ეკა ბექელია, ნინო ბურჯანაძე, ლევან გაჩერილაძე, ზვიად ძიძიგური, ზურაბ ნოღაიძელი, რეზო ესაძე, მალხაზ გულაშვილი, თუმცა უცვლელი იყო ურაპატრიოტული პათოსი და ხელი-სუფლების ოანძღაუა.

„ეს დღე არასადროს იქნება პოლი-  
ციის დღე! არა აქვს მნიშვნელობა,  
რას გამოაცხადებს შიზოფრენიკი  
პრეზიდენტი!“ — აცხადებდა ზევიად  
ძიძებური, — სააკაშვილი არის ნარკო-  
მანი, მერაბიშვილი — ტურა! ნარკომა-  
ნო სააკაშვილო მოაწყოთ თავისი!“

ზურაბ ნოღაიძელმა კი სწორედ აქციაზე მიიღო იმის გადაწყვეტილება, რომ ოპოზიციამ უფრო ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს გეგმა ხელისუ-ფლების დასამხობაა.

ამ გეგმის შესრულებას ოპოზი-  
ცია 26 მაისიდან გეგმავს და უფრო  
ხალხმრავალი და მასშტაბური აქციე-  
ბით იმუქრება.



enricher

# ପ୍ରଦିତ୍ୟାତ ବିଧାନସମ୍ମାନି

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

**କ୍ଷେତ୍ରଗଠନ ମାତ୍ରା ଉପରେ ଆଶୀର୍ବାଦ ଦିଲ୍ଲି**

„დიდი მაღლობა მართლმადიდებელ  
მშობელთა კავშირს, რადგან ისინი  
რომ არ ყოფილიყვნენ, ეს წიგნი არ  
დაიწერებოდა!“ - ამ სიტყვებით თა-  
ვისი სადებიუტო კრებულის, „საად-  
უმლო სირობის“, ავტორმა ერეკლე  
დეისაძემ ილიას უნივერსიტეტის  
წიგნის მაღაზია „ლიგამუშაში“ გამარ-  
თულ პრეზენტაციაზევე უნებურად  
მიგვანიშნა, თუ ვინ შეძლებოდა  
ყოფილიყო კრებულის „მკითხველი“  
აუდიტორიის დიდი ნაწილი. არც  
შემკვდარა.

## ინტერვიუ

**ყოველკვირაულად**  
მაღალი გენერაციის  
სამუშაოების წარმატების

# ტონიბოს საბოლოო ბამაჩვებას

## 20 მარტი ლანაცია

დიდი ბრიტანეთის პარლამენტში ყველაზე მეტი მანდატი კონსერვატორებმა მოიპოვეს, თუმცა ტორები აბსოლუტური უმრავლესობა ვერ გახდნენ.

ნათია ახალაშვილი



დევად კემერონი

დიდ ბრიტანეთში ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური ბატონობის 13-წლიანი ეპოქა დასრულდა. არჩევ-ნებს საბოლოო შედეგები ცნობილია. თუმცა, პარლამენტის ქვედა – თემთა პალატაში ადგილების უმრავლესობის მოპოვება ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო. 6 მაისის არჩევნების შედეგები ეგზიტ პოლების შედეგებს დაემთხვა – ახალი მოწვევის პარლამენტში ყველაზე მსხვილი ფრაქცია – 306-მანდატიანი, კონსერვატორებს ექნებათ. მათ, 2005 წლის არჩევნებთან შედარებით, 97-ით მეტი მანდატი მოიპოვეს, თუმცა აბსოლუტურ უმრავლესობამდე 20 ადგილი დააკლდათ. ტორებს მთელი ქვეყნის მასშტაბით 10,7 მილიონმა ამომრჩეველმა მისცა სმ. სულ დეპუტატობა 4150 ბრიტანელ პოლიტიკოსს სურდა.

1974 წლის შემდეგ პირველად ხდება, როცა დიდი ბრიტანეთის პარლამენტში არ არის პარტია, რომელიც თავად შეძლებს მთავრობის ფორმირებას.

13-წლიანი მმართველობის შემდეგ ლეიბორისტები 258 მანდატს დასჯერდ-

ნენ. წინა არჩევნების შედეგებთან შედარებით, მათ 91 ადგილი დაკარგეს. წლევანდელ არჩევნებში ლიბერალ-დემოკრატებს შედეგებიც გაუარესდა და საკანონმდებლო ორგანოში მათ 57 მანდატი მოიპოვეს. დარჩენილი 28 ადგილი ბრიტანეთის სხვა პარტიებმა გადაინანილეს. პირველად ისტორიაში პარლამენტში მოხვდა მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი. ულტრამერაჯვენე-თა მცდელობა კი ამჯერადაც უშედეგო აღმოჩნდა.

ლეიბორისტების, ლიბერალების და კონსერვატორების ლიდერები ისტორიაში იმით მოხვდებიან, რომ გაერთიანებულ სამეფოში პირველად გამართულ ტელედებატების სერიაში მიიღეს მონაწლეობა.

ამომრჩეველთა აქტიურობამ საერთო რაოდენობის 65 პროცენტს მიაღწია. სმის მიცემის პროცენტი 649 საარჩევნო ოლქში ჩატარდა. კიდევ ერთ ოლქში არჩევნები 27 მაისისთვის გადაიდო. ამის მიზეზი ერთ-ერთი კანდიდატის მოუ-ლოდნელი გარდაცვალება გახდა. ყოველ

ოლქში პარლამენტის ერთ დეპუტატს ირჩევენ, რომელიც კონკურნტებზე მეტ ხმას დააგრივებს.

ქვეყნის ჩრდილოეთში ხმის მიცემის ბოლო წუთებამდე იდგა ამომრჩეველთა რიგები. ზოგიერთ საარჩევნო უბანზე განსაზღვრული დრო სახევარი საათითაც კი გაახანგრძლივეს, თუმცა ასეულობით ადამიანმა ხმის მიცემა ვერ შეძლო.

ლიბერალ-დემოკრატების ლიდერი ნიკ ქლევი წინასწარი შედეგების გაცნობის შემდეგ აცხადებდა, რომ 6 მაისის დამე მისთვის „იმედგაცრუების ლამე“ იყო. მიუხედავად ამისა, მთავრობის ფორმირება სწორედ ლიბერალ-დემოკრატების პოზიციაზეა დამოკიდებული.

კონსერვატორების ლიდერმა დევიდ კემერონმა არჩევნების მეორე დღესვე განაცხადა, რომ ლიბერალ-დემოკრატებისთვის „დიდი, ლია და საზრიანი წინადადების“ შეთავაზებას აპირებდა. ორი პარტიის წარმომადგენლები არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ შეხვდენ ერთმანეთს, თუმცა პირველი მოლაპარაკებები კონკრეტული შედეგებით არ დასრულებულა. მოლაპარაკებები მომდევნო დღეებში კიდევ გაგრძელდება.

პოზიციებს დაომობა არც ლებორისტების ლიდერ გორდონ ბრაუნის სურს. ისიც აცხადებს, რომ მზადაა ლიბერალ-დემოკრატებთან დაილოგისთვის. ის დაუნიგ სტრიტის 10-ში არჩევნების მეორე დღეს კვლავ მივიდა იმის სადემონსტრაციოდ, რომ კვლავ პრემიერ-მინისტრად და კვლავ აქვს მთავრობის ფორმირების კონსტიტუციური უფლება.

საბოლოოდ ვინ იმარჯვებს – დიდი გამოცდილების მქონე გორდონ ბრაუნი, თუ დიდი ტრადიციების მქონე პარტიის ახლად გამომცხვარი ლიდერი, ამას ლიბერალ-დემოკრატები გადაწყვეტინ.

# ԱՆՁԻ ՀԱՄԱԳԼՈՒՅԹ

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და უურნალისტები პარლამენტისგან  
მაუწყებლების ფინანსური ამნისტიის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის შეცვლას ითხოვენ.

მაია წიკლაური

„ჩვენ ამ ნაბიჯით ხელს ვუწყობთ  
სამარტინებლო გარემოს განვითარებას.  
გვინდა, რომ ყველა ტელეკომპანია  
თანაბარ მდგომარეობაში ჩავაყენოთ  
და თითოეულს თანაბრად შევუწყოთ  
ხელი“, – ასე დაასაბუთა პავლე  
კუბალაშვილმა ტელეკომპანიების ფი-  
ნანსური ამნისტირების აუცილებლობა  
7 მაისს ფონდ „ლია საზოგადოება – სა-  
ქართველოს“ ინიციატივით გამართულ  
შეხვედრაზე.

კანონპროექტი, რომლის მიხედვით  
თაც ტელემაუწყებლობის ლიცენზიის  
მფლობელი ყველა კომპანია გათავისუ-  
ფლდება საგადასახადო დაცვალიანებისა  
და მასზე დარიცხული საურავებისგან,  
პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე  
განიხილა.

თუმცა, არასამთავრობო ორგანიზა-  
ციების წარმომადგენლები ფიქრობენ,  
რომ ასეთი გადაწყვეტილება კიდევ  
უფრო გაამყარებს არათანაბარ მდგო-  
მარებობას მედიასივრცეში. უსამართლო  
მდგომარებობაში აღმოჩნდებიან ის  
ტელევიზიიები, მაგალითად „კაცეკასა“  
და „მაესტრო“, რომლებიც პატიოსნად  
იხდიდნენ გადასახადებს. ამ მოსაზრე-  
ბას თავად პავლე კუტლაშვილი და  
პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ვახტანგ  
უვანიაც ეთანხმებიან. თუმცა მაინც ფიქ-  
რობენ, რომ ამნისტია კონკურენცულ  
მედიაგარებოს გააუმჯობესებს.

„ე.ნ. სახელისუფლებრ ტელევიზიები  
აღარ გადაიხდიან გადასახადებს იმ  
იმედით, რომ მომავალი არჩევნების  
წინ ისევ გაათავოსუფლებენ ფინანსური  
ვაღდებულებისაგან. ხოლო ის ტელე-  
ვიზიები, რომლებიც სახელისუფლებო  
ინტერესს არ ატარებენ, ნაკლებკრი-  
ტიკულები გახდებიან ხელისუფლების  
მიმართ, რადგან მათაც დაიმსახურონ  
იგივე სახის ამნისტია. ეს კი მედიის  
განვითარებას და კონკურენტული  
გარემოს შექმნას ხელს არ შეუწყობს“,  
– განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირ-

ვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლობა მათიას ჰარებულის მიერ გადასახლები მიზანის სახით მიმდინარეობს.

მისი თქმით, ამ ამნისტიით, შე-  
საძლოა, რომელიმე რეგიონულმა  
ოპოზიციურმა ტელევიზიამ სარგებელი  
ნახოს, მაგრამ უფრო დიდ სარგებელს  
მთავრობისადმი ლიკიალურად განწყო-  
ბილი ნაციონალური არხები ნახავენ,  
რომელთაც ისედაც მეტი შემოსავალი  
აქვთ, ვიდრე – ოპოზიციურ არხებს.

„გაზეთების მსოფლიო ასოციაციის“  
კვლევაში, რომელიც დაახლოებით  
ორი თვეს წინ გამოქვეყნდა, აღნიშნუ-  
ლია, რომ საქართველოში სარეკლამო  
ბაზრის 80 პროცენტი ტელევიზიებს  
უკავიათ. აქედან რეკლამების 72 პრო-  
ცნტი კი ტელეკომპანია „იმედსა“ და  
„რუსთავი 2“-ზე მოდის. ჩნდება კითხვა,  
თუ რაში შეიძლება დასჭირდეთ ასეთი  
შემოსავლების მქონე ტელევიზიებს  
ვალების ჩამოწერა.

ეს და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კითხვები უპასუხოდ რჩება იმის გამო, რომ საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოდ ითვლება. ამიტომ, უცნობია, რა რაოდენობის თანხას ჩამოაწერენ თითოეულ ნაკიონალურ მაუწყებლოს.

საკუთარ დავალიანებაზე მხოლოდ რეგიონული ტელევიზიის მიერ დაპარაკობენ. მათ მიერ „ლიბერალისტები“ მოწოდებული ინფორმაციის დაჯამებით, რეგიონულური ტელევიზიის საერთო ვალი 2 მილიონ ლარს აღწევს. ასევე ცნობილია საზოგადოებრივი მაუწყებლის დავალიანებაც, რაც 9 მილიონ ლარს შეადგენს. გამოდის, რომ დანარჩენი 25 მილიონი ლარის დავალიანება ცენტრალურ ტელევიზიებს აქვთ. თუმცა არც ერთი მათგანი ამ ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს, შესაბამისად – არც კონკრეტულ თანხებს ასახელებენ.

ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი, ნინო ჯანგირაშვილი ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ ამნისტია მხოლოდ

რეგიონულ ტელევიზიის შექმნათ. „2 მილიონი არც ისე დიდი თანხაა; თანაც რატომ უნდა აღმოჩნდნენ ნაციონალური ტელევიზიის კიდევ უფრო უპირატეს მდგომარეობაში, არ მესმის“, – განაცხადა ჯანგირაშვილმა.

„დავუშვეთ, ჩვენ არ ვენინააღმდეგებ-  
ბით ნაციონალური არხებისთვის დავა-  
ლიანების ჩამოწერას. ასეთ შემთხვე-  
ვაში, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, ვის რა  
ოდენობის და რა სახის დავალიანებას  
ვუუქმებთ“, – ამბობს ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაციის თაგმჯდომარე,  
თამარ ხიდეშვილი.

სიდაშები გამოსავალს ვალების რესტრუქტურიზაციაში ხედავს. დავაღიანი-ნების გადავადების შემთხვევაში, ყველა მაუწყებელს უკვე კანონი დაუკალდებულებს, დაუფარავი გადასახადების ოდენობის შესახებ ინფორმაცია საჯარო გახადოს. მათ ვალი არ ჩამონაწერებათ, მაგრამ მის დასაფარად გარკვეულ პიროვთს მისცამინ.

შეხვედრის მონაბილე უურნალისტები  
და არასამთავრობო ორგანიზაციების  
წარმომადგენლები საბოლოოდ შეთან-  
ხმდნენ, რომ კანონმდებლურებულის მეორე  
მოსმენამდე პარლამენტის წინაშე  
რამდენიმე წინადადებას დააყენებენ:  
მოხდეს ვალების რესტრუქტურიზაცია  
ყველა მაუწყებლისთვის, ანდა ფინან-  
სური ამნისტია მხოლოდ რეგიონულ  
ტელეკომუნიკაციების გაფრცელდეს. თუ  
პარლამენტისთვის ორივე წინადადება  
მიუღებელი აღმოჩნდება, ძალაში დარ-  
ჩება არასამთავრობო ორგანიზაციებისა  
და უურნალისტების მესამე მოთხოვნა –  
დავალიანებების შესახებ ინფორმაციის  
გამჭვირვალობა. ანონმა „უზრუნველყოფას.

შესაბამისი დოკუმენტი პარლამენტში  
წარსადგენად „მედია კლუბმა“ უწდა  
მოამზადოს. პარლამენტი კი, თავის  
მხრივ, პავლე კუბლაშვილის განცხა-  
დებით, ამ საკითხს არჩევნების შემდეგ  
განიხილავს.

# თავისუფალი თავი

არასაარჩევნო თემებს მაუწყებლები  
ისევ საარჩევნო კონტექსტისთვის იყენებენ.

## რუსულან რუხაძე



წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებიდან დღემდე რამდენიმე თემამ მართლაც დაჩრდილა საარჩევნო საკითხები. თუმცა, სხვა თემაა, იმსახურებდნენ თუ არა ეს ამბები ამხელა ქრონომეტრაჟსა და ასეთ აქცენტითებას. „რუსთავი 2“ ძირითადად – საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, „მაესტრო“ და „კავკასია“ – შიდა პოლიტიკაზე, „საზოგადოებივი მაუწყებელი“ კი სოციალურ საკითხებზეა ფოკუსირებული.

„6 მაისი პოლიციის დღედ უნდათ, 23 ნოემბერი – რევოლუციის დღედ, ერთხელაც იქნება, წმინდა გიორგი ჩასკების თავის მახვილს ამათ“, – მერობის ერთ-ერთი კანდიდატი ზეიად ძიძიგური 6 მაისის პოლიციის დღედ გამოცხადების თაობაზე გამართულ დისკუსიაში ჩაება. ტელეკომპანია „კავკასია“ მოსალოდნელ აქციაზე ოპოზიციის განცხადებებს საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში ავრცელებდა. მათთან ერთად „მაესტროს“ ყურადღებაც დაიმსახურა აშშ-ს საელჩის მიმართვამ საკუთარი მოქალაქეებისადმი, რითაც სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკის მოქალაქეებს ურჩევდა, თავი შორს დაეჭირათ იმ ადგილებისგან, სადაც აქციე-

ბი იყო დაგეგმილი. ხელისუფლების წარმომადგენლები ამ სიფრთხილეს ოპოზიციის მუქარებით ხსნიდნენ, ოპოზიციის წარმომადგენლები კი სააკაშვილის მხრიდან მუდმივად რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხის საზღასმას მიანერდნენ. საელჩის წარმომადგენელი კი განმარტავდა, რომ ეს რიგითი განცხადება იყო, რომლს მსგავსიც საქართველოში არაერთხელ გაუვრცელებიათ და ზოგჯერ – გაცილებით კატეგორიულიც.

6 მაისის პოლიციის დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით „რუსთავი 2“-მა შინაგან საქმეთა მინისტრის ექსკურსიური ინტერვიუ გაავრცელა. საკუთარ გადაწყვეტილებას მერაბიშვილი იმით ხსნიდა, რომ ეს დღე უმრავლესობისთვის სასიამოვნო ემოციებთან არის დაკავშირებული. ისინი, ვინც ამ „უმრავლესობაში“ ვერ მოხვდნენ, წაციონალური მაუწყებლების ყურადღების მიღმაც დარჩნენ. შარმანდელი 6 მაისის ინციდენტის საარქივო მასალა და დაზარალებული ორი მომიტინგებების მხოლოდ „მაესტროსა“ და „კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებებში გაახსნდათ.

6 მაისის პოლიციის აღლუმი და ოპოზიციის საპროტესტო აქცია მო-

■ „6 მაისი პოლიციის დღედ უნდათ, 23 ნოემბერი – რევოლუციის დღედ, ერთხელაც იქნება, წმინდა გიორგი ჩასკების თავის მახვილს ამათ“, – მერობის ერთ-ერთი კანდიდატი ზეიად ძიძიგური 6 მაისის პოლიციის დღედ გამოცხადების თაობაზე გამართულ დისკუსიაში ჩაება.

სალოდნელი მიმდევრობით გააშუქეს ტელეკომპანიებმა. წაციონალურმა არხებმა აღლუმით და პრეზიდენტის გამოსვლით დაიწყეს, რასაც მომიტინგების და პოლიციელების შეხლაშემოხლის ამსახველი მასალა მოჰყევა, „კავკასიამ“ და „მაესტრომ“ კი საპირისპიროდ ააწყვეს 6 მაისის ქრონიკა. „მოამბე“ ერთადერთი იყო, სადაც გიორგი გორგოვის რელიგიური დღესასწაულის შესახებ სიუჟეტი პოლიციის დღეზე მომზადებულ მასალას წინ უსწრებდა.

„პოლიციის დღე და ქვასროლია ოპოზიცია“ – ასე ერქვა სიუჟეტს „იმედზე“. კიდევ ერთი სხვაობა მაუწყებლების მიერ 6 მასის მოვლენების გაშუქებაში „ც“ ნაწილაკის გამოყენებაშიც გამოიხატა. „დამავდნენ აქციის მონაწილეები და სამართალდამცავებიც“, – აცხადებდნენ ერთგან, „პოლიციის თანამშრომლები და მომიტინგებიც“, – გვამცნობდნენ მეორეჯან. საინფორმაციო გამოშვებებში ერთი შეხედვით უმნიშვნელო „ც“ სასურველ აქცენტს ეფუქტურად სვამდა. თუმცა იმ ფაქტს, რომ ადამიანები ორივე მხარეს დაშავდნენ, ისევე, როგორც საკაძის მოედანზე გადანაცვლებულ აქციაზე ხალხის სიმირეს, ყველა მაუწყებელი გადმოსცემდა

ისეთ საკითხებს შორის, რომელთაც თვე-ნახევრის განმავლობაში საარჩევნო საკითხები გადაფარეს, შემდეგი თემებიც მოხვდა:

პოლონეთის პრეზიდენტისა და სამთავრობო დელეგაციის დალუპვა ავიაკატასტროფაში, რამაც რამდენიმე დღის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებების პირველი ბლოკები სრულად მოიცვა: გლოვა პოლონეთში, ავიაკატასტროფის დეტალები, გლოვა საქართველოში, დეტალები მოსკოვიდან, გლოვა ევროპაში, ფოტოგამოფენა კაჩინსკიზე, ქართველი ლტოლვილები კაჩინსკის შესახებ, სააკაშილის ვიზიტით მადლიერი პოლონელები მაშინ, როცა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ օბამა გოლფის სათამაშოდ წაიდა.

თემებს შორის იყო ბუნებრივი კატაკლიზმებიც, რომელთა პოლიტიკებასაც მარტივად ახერხებენ მაუწყებლები. სოფელ ველისციის დატბორვის საფრთხეზე მომზადებული სიუჟეტები იმის სანიმუშო მაგალითი უფრო იყო, როგორ მუშაობს ხელისუფლება საგანგებო სიტუაციებში, ვიდრე სოციალურად აქტუალური პრობლემის წარმოჩენა. „სულ მცირედი საფრთხეც რომ იყოს, ჩვენ ვალდებულები ვართ, მოვხსნათ იგი“, – აცხადებდა მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ველისციის შესახული გარემოს დაცვის მინისტრი. სალამოს საინფორმაციო გამოშვებებმა რამდენიმე დღის განმავლობაში სანიმუშო მიმდევრობა გამოიჩინეს საკითხისადმი: ველისციები წყლის დონემ 10 სმ-ით დაინია, ვე-

ლისციებში დატბორვის საფრთხე მოიხსნა, ველისციებში გამოიდარა... ასე დეტალურად სხვა არანაკლებ აქტუალური სოციალური საკითხები იშვიათად თუ შექდება.

„კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებასაც „უშველა ბუნებამ“: დველი თბილისის დატბორილ ეზოში მოსახლეობა გამგეობის წარმომადგენელს საკუთრებული უურადღებობის გამო. „გამგებელი არ მოსულა იმიტომ, რომ ჩვენი გადამდები ჯგუფი იქ იყო“, – ახალი უურნალისტმა.

„კავკასიასა“ და „მაესტროზე“ წინასაარჩევნო კონტექსტში ჯდებოდა წამალაშვილი-არველაძის სატელეფონო საუბარზე ბრიტანული ექსპერტის დასკვნა და „იუთუბზე“ გამოქვეყნებული სატელეფონო საუბრები მალინისნებს – მერაბიშვილს და ქუთელიას, ალდამორგ და ლორთქიფანიძეს შორის კავკასიის ხალხთა შეკრებასა და გენოციდის აღიარებაზე. ამ ორმა თემაზ ამ ირ არხზე საქმაოდ მნიშვნელოვანი დრო და ადგილი დაიკავა.

კიდევ ერთი საყურადღებო ასპექტი სამთავრობო ქრონიკაა. ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატებიდან პრეზიდენტმა „რუსთავი 2“-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკეთესი თბილისი, მხოლოდ გიგი უგულავას კი არა, მთელი გუნდის დამსახურებაა. ამიტომაც მისი და მთავრობის სხვა წევრების გამოჩენა ახალ ამბებში ამ განცხადების შემდეგ მმართველი პარტიის კანდიდატების „გუნდურ მხარდაჭერად“ აღიქმება. შესაბამისად, კოდუას თანამდებობრივი დაქვეითება „კავკასიაზე“ გასულ სიუჟეტში შიდასახელისუფლო დაპირისპირებით აისხნა და ეთერში ის ამონარიდიც კი მოხვდა პრესიდან, რომ „უგულავა უნივერსიტეტებს აკონტროლებს“. უმრავლესობის წევრს დავით დარჩიაშვილს კი იმის განმარტება მოუხდა, რომ „გუნდი მთლიანიბაშია და ეს სამინისტროს შიდა საქმეებია“.

„აქამდე ქუთაისში არ იყო კორტები, მოშლილი იყო სტადიონები და ქუთაისელები ცურვას სწავლობდნენ პარეტზე. თუ კარგად მოიქცევით, წყალსაც ჩავასხამთ“, – განაცხადა ქუთაისში სავარჯიშო დარბაზის გახსნისას, „მე მიყვარს ქუთაისი“ წარწერიან მაისურში გამოწყობილმა პრეზიდენტმა.

„მაესტრომ“ კი ქუთაისში მომხდარ ინციდენტზე გამაბევილა ყურადღება და მაყურებელს ამცნო, როგორ მოუყიდა შელაპარაკება ქუთაისელ ქალბატონს პრეზიდენტის დაცვასთან და როგორ „გარიდეს“ იქაურობას ძალის გამოყენებით.

„შესრულებული დაპირება“ – ასე წარადგნა „კურიერმა“ პრეზიდენტის მისაქციელში ვიზიტი, სადაც ელექტრონერგიის ინდივიდუალური მრიცხველების დადგმა ერთ თვეში დასრულდება. ორი წლის წინანდელი დანაპირები პრეზიდენტმა ბრატულების ოჯახს უკვე შეუსრულა და მოსახლეობისგან ახალი „დავალებებიც მიიღო“.

„მაესტროს“ სიუჟეტში პრეზიდენტის მისაქციელში ვიზიტის შესახებ უურნალისტმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის გამ სასწავლო პროცესი ჩაიშალა და მოსაწავლებები მასნავლებლებიანად სახელდახოლო ამომშრალი გუბების გასწროვ ჩამნკრივეს. პრეზიდენტის გვერდით კი ის ადამიანები აღმოჩნდნენ, ვისაც შარშან გამრიცხველიანებას დაპირდა.

რეალურად კი, არც „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის და არც „მაესტროს“ სიუჟეტების მთავარი ღერძი მისაქციელის გამრიცხველიანება არ ყოფილა, პლოიტიკურმა კონტექსტმა საკითხის სოციალური მნიშვნელობა მთლიანად გადაფარა.

დაბოლოს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) უკანასკნელი კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 58%-თვის დემოკრატია სიტყვის, მედიის თავისუფლებაა, 25%-თვის კი – სამართლიანი არჩევნები. წინასაარჩევნოდ ქართული მედიისობების ეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა. ც



სტატიის გამოცემა შესაძლებელი გახდა მერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით. სტატიიში გამოთქმულ შეერთებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატა მედიისობების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



მომხრე

**ზაალ ანდრონიკაშვილი**ლიტერატურათმცოდნე, ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაციზმი მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ბოროტება იყო. რაიონის და გენერალოგიაზე და გენოციდის ლოგიკაზე დამყარებული რეჟიმი სწორედ თავისი ანტიპუმანური იდეოლოგით განსხვავდებოდა სხვა სისხლიანი ტოტალიტარული რეჟიმებისაგან.

1945 წლის 7 მაისს რეიმსში (საფრანგეთი) აღიანისის შტაბბინაში გერმანიის, ვერმახტის ნარმომადგენელმა უპირობო კაპიტულაციას მოაწერა ხელი. კაპიტულაცია 1945 წლის 8 მაისს შევიდა ძალაში, მას შემდეგ, რაც კარლ-სპორსატში (ბერლინი) წითელი არმიის შტაბბინაში მისი რატიფიკაცია მოხდა.

გამარჯვების დღეს ევროპის უმეტეს ქვეყანაში (მათ შორის ბალტიის ქვეყნებში) – 8 მაისს, ხოლო საბჭოთა კავშირის 12 ყოფილ რესპუბლიკაში, სერბეთსა და ისრაელში – 9 მაისს, ნორვეგიაში, დანიასა და ნიდერლანდებში გათავისუფლების დღეს 5 მაისს აღნიშნავნენ.

გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმზე და ზოგადად ფაშიზმზე გამარჯვება XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, თანამედროვე სამყაროს წესრიგის დამფუძნებელი მოვლენაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ნაცისტური გერმანიის და „ლერძის“ სახელმწიფოების მონინაალ-მდეგე აღიანისდან ნარმოიშვა.

რატომ არის ეს დღე ჩვენთვის მნიშვნელოვანი?

1) ნაციზმზე გამარჯვება ნიშნავს, რომ ჩვენ დღეს ისეთ სამყაროს ნაწილად მივიჩნევთ თავს, რომელიც – გაერთიანებული ერების დეკლარაცია რომ გავიხსენოთ – „იცავს სიცოცხლეს, დამოუკიდებლობას და რელიგიურ თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს და სამართლიანობას ... ერთობლივ ბრძოლაში ველური და სასტიკი ძალების წინააღმდეგ“.

2) II მსოფლიო ომში 700 000 ქართველი იღებდა მონაწილეობას. 300 000-მა ნაციზმთან ბრძოლაში დადო თავი. ამ ადამიანების ხსოვნა ჩვენთვის დაუვინწყარი უნდა იყოს. ადრე ნათქვამს გავიმეორებ: საბჭოთა საქართველოს იტორიაში საამაყო შეიძლება ბევრი არაფერი ყოფილიყო, მაგრამ ქართველების წვლილი ნაციზმის დამარცხებაში მართლაც საამაყო არის და იქნება.

3) ნაციზმზე გამარჯვების და მსოფლიოს ნაცისტური ბატონობის საფრთხისაგან გათავისუფლების აღნიშვნა დღეს დამატებით მნიშვნელობას იმის გამოც იძენს, რომ საქართველოში გაჩნდა რელიგიურ ლოზუნებებს ამოფარებული ნაციზმის საფრთხე. სწორედ ნაციზმზე გამარჯვების დღე არის იმის სიმბოლო, რომ საქართველოში ნაცისტურ იდეოლოგიას მომავალი არ აქვს და არასოდეს ექნება.

P.S. საქართველოში ზოგიერთს ვერ გაუგია, რით განსხვავდებოდა ქართველების მონაწილეობა II მსოფლიო



## 9 მაისის ღია შემიზუდვის ბამახვიდულობის დღე

ომში წითელი არმიის შემადგენლობაში მათი მონაწილეობისაგან სსრკ-ს ან სხვა ქვეყნების დაპყრობით ომებში და მიაჩნია, რომ საზეიმო არაფერი გვაქვს, რადგანაც ჩვენ თითქოს საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ვზეომობდეთ. ეს შეხედულება მცდარია. დღეს ჩვენ აღვნიშნავთ არა საბჭოთა კავშირის გამარჯვებას დიდ სამამულო ომში, მიუხედავად იმისა, რომ II მსოფლიო ომის დროს სსრკ-ს შემადგენლობაში შევდიოდით, არამედ ანტიპიტლერული კოალიციის გამარჯვებას ნაცისტურ გერმანიაზე და მის მოკავშირეებზე. ეს გამარჯვება – ცივილიზაციის გამარჯვება ბარბაროსაბაზე – ერთნაირად ეკუთვნის ყველას, ვინც ნაციზმის წინააღმდეგ იპრძოდა: ამერიკელებს და რუსებს, ბრიტანელებს და ფრანგებს, ებრაელებს და ქართველებს. ■



უცხობი ჯარისკაცის საფლავი, 9 მაისი

# უცხოსნები - თუ იმის აღნიშვნა, თუ დრო პატივის მიგვაჩა?



**მოწინააღმდეგე  
ლევან რამიშვილი**  
„თავისუფლების ინსტიტუტის“ გამგეობის  
თავმჯდომარე

საბჭოთა ხელისუფლების დასრულების შემდეგ საქართველოში 9 მაისის დღესასწაული გაუქმდა და მეორე მსოფლიო ომის დასრულება, ისევე როგორც მთელ ცივილურებულ სამყაროში, აღინიშნებოდა 8 მაისს. თუმცა, ევროპაშიც ამ დღეს არა გამარჯვებას, არამედ ომის დასრულებას აღნიშნავენ.

9 მაისის აღნიშვნა შევარდნაძის ხელისუფლებაში და-

ბრუნებისა და საბჭოური დღესასწაულის რესტავრირების შედეგად აღდგა.

ჩემი აზრით, 9 მაისის აღნიშვნა უაზრობაა. რატომ უნდა აღვნიშნოთ ეს თარიღი ან რა უნდა აღვნიშნოთ ამ დღეს?

მეორე მსოფლიო ომი არ ყოფილა საქართველოს ომი. საქართველო ამ დროს დამოუკიდებელი ქვეყანა არ იყო. ის იყო ოკუპირებული ბოროტების იმპერიის მიერ. ამ ბოროტების იმპერიას ჰქონდა ომი მეორე ბოროტების იმპერიასთან და ქართველები, ნებით თუ უნებლიერ, ამ ოში ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ.

არც სტალინის და არც ჰიტლერის მხარეზე ბრძოლა სა-ამაყო არ არის, მაგრამ იმ ქართველებს, ვინც ნაცისტების მხარეზე იბრძოდნენ, ის მიზანი მაინც ჰქონდათ, რომ საკუთარი ქვეყანა გაეთავისუფლებინათ. საბჭოთა მხარეს მებრძოლებს კი არანაირი მიზანი არ ჰქონდათ, მათ უბრალოდ უბრძანეს, ჯარში გაინვის და აომეს.

1945 წელს ჩვენთვის ტოტალიტარიზმი არ დამარცხებულა. ამის შემდეგ ეროვნული თავისუფლება კიდევ კარგა ხანს ვერ მოვიპოვეთ და ქართველებს ამ ოში რა აქვთ აღსანიშნი, არ მესმის.

გიორგი მეთერთმეტეც იბრძოდა ავღანეთში. იბრძოდა იმ იმპერიის ფარგლებში, რომელშიც იყო და ნაწილობრივ მის ინტერესებს იცავდა. ხომ არ აღვნიშნავთ ამ თარიღს, მიუხედავად იმისა, რომ იქაც დაიღუპა ხალხი. რით განსხვავდებიან ბერლინისა და ყანდალარის მისადგომებთან დალუპული ქართველები ერთმანეთისგან? ორივე შემთხვევაში, ქართველები სხვა ქვეყნის სამსახურში იდგნენ და გამარჯვება არ უნდა იყოს სახელმწიფო ბრიტანული. 9 მაისს ჩვენ არანაირი გამარჯვება არ მოგვიპოვებია, ამიტომ ამ თარიღის გამარჯვების დღესასწაულად გამოცხადება ცოტა ცინიკურიც კი არის.

9 მაისი წითელი ტოტალიტარიზმის გამარჯვების დღეა და არა ყავისუფერი ტოტალიტარიზმის მარცხის. ეს სტალინისტური დღესასწაული და საბჭოთა ბოროტების იმპერიის გამარჯვება თავისუფალ ჩეხებზე.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გერმანული ნაციზმი და საბჭოთა სტალინიზმი ერთმანეთს გაუთანაბრა და ორივე დაგმო. ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა დღედ კი – 23 აგვისტო, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაფორმების თარიღი დააწესა.

როგორც ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყანამ, საჭიროა, ჩვენც დავაწესოთ ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე. ამასთან ერთად, დამატებით, თუ ფაშიზმის დამარცხების დღესაც აღვნიშნავთ, ეს 9-ში კი არა, 8-ში უნდა გავაკეთოთ. ამ შემთხვევაშიც, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ფაშიზმის დამარცხების დღესთან ერთად კომუნიზმის დამარცხების დღეც აღვნიშნოთ. ასეთ თარიღად შეიძლება სსრკ-ს დაშლის დღე – 31 დეკემბერი დაწესდეს. ■

# საქართველოს ნიუსტარი მო



რამდენიმე დღის წინ ილიას უნივერსიტეტის წინ გამოჩნდა, ჩვენ უნდა გავიაზროთ, რას წარმოადგენს ეს ორი ჯგუფი და რა სურთ მათ. ის, რაც დაინტერესობით, კარგად არ დამთავრებულა. შეუძლიათ ამ ჯგუფებს შერიგება, თუ ეს ისეთი ბრძოლაა, სადაც ერთი მხარე გამარჯვებულია, ხოლო მეორე – დამარცხებული?

**მარკ მალენი**

ჯგუფს, რომელიც ილიას უნივერსიტეტის წინ გამოჩნდა, სჯერა, რომ იცავს საქართველოს, უფრო სწორად – ქართველობას. „ქართველობის“ მათეული განმარტება ბუნდოვანია, მაგრამ ეს რაღაცით დაკავშირებულია საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და გულისხმობს ნაციონალური იდეის (მათივე ინტერპრეტაციით) დაცვას. მათ სჯერათ, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არა მხოლოდ დასასვებია, არამედ აუცილებელიც არის და ამისი გავეთება მათი მოვალეობაა.

მათ არ მოსწონთ, რაც დღეს საქართველოში ხდება. მათ უნდათ საქართველო, რომელშიც არ გაიმართება, მაგალითად, „ჰელოუინი“. გაუგებარია, ვინ განსაზღვრავს, თუ რა არის მისაღები და რა – მიუღებელი. იგივე ტიპის დამოკიდებულებები აქვთ ე.წ. პოლიტიკურ მუსლიმებს ზოგიერთ ქეყანაში. საქართველოში დაპირისპირების ხელისშემწყობი გახდა წიგნი, რომელიც დაკავშირებულია საიდუმლო სერობასთან. მუსლიმურ სამყაროში, დაპირისპირების საბაბი გახდა მუჭამედის კარიკატურები დანიურ გაზეთში. აქვთ მათ უფლება, რომ

**■ ვინც ყვირის, ხშირად იმათი  
სახელით გამოდის, ვინც ჩუმად არის.  
ხანდახან ეს სიჩუმე სტრატეგიულია,  
რადგან ასოცირება მომგებიანია და  
ავტორიტარულ ინსტიტუტს არ უწევს  
ხალხის გაუცხოება იმით, რომ კითხვებს  
პასუხი გასცეს. თუმცა, რაღაც მომენტში,  
სიჩუმე თანხმობას გულისხმობს.**

ხალხს დაუშალონ „ჰელოუინის“ აღნიშვნა? რა ურთიერთობები არსებობს სამყალაქო აქტივიზმს, კანონსა და კანონს აღმსრულებლებს შორის? ბოლო კითხვა 2003 წლის ნოემბერში ძალიან აქტუალური იყო. თუმცა, მოდი, კიდევ ერთხელ მიუუბრუნდეთ. თუ „ქართველობის“ განმარტება შესაძლებელია, სჭირდება კი მას დაცვა? და ვინ უნდა დაიცვას?

ქართული სახელმწიფო არსებობს იმისთვის, რომ დაიცვას არა ქართველობა, არამედ ინდივიდუალური უფლებები, და, რა თქმა უნდა – ბიზნესი და ეკონომიკა. ბოლო ხანებში მთავრობა ცდილობს, ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები მიიღოს, რომლებსაც მათი მხარდამჭერები ეკონომიკური თავისუფლების დაცვად განიხილავენ.

როგორ არის დაცული სხვა ტიპის თავისუფლებები საქართველოში? შეუძლიათ თუ არა მოქალაქეს, დაწეროს და გამოაქვეყნოს წიგნი, რომელშიც საიდუმლო სერობაზე რასაც უნდა იმას იტყვის? შეგიძლია იყო კათოლიკე ან ათეისტი?

შეგიძლია ჩაატარო „ჰელოუინი“? ვინ განმარტავს იმას, თუ რას ნიშნავს ქართველობა და კარგი ქართველი? რას ნიშნავს კანონი? სახელმწიფო? ეკლესია? არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მღვდლებთან ერთობლივად მოქმედებს? პოლიცია ამჯერად სულ არ ცდილობდა, ისეთივე ენთუზიაზმით აღეკვეთა კანონის დარღვევა, როგორც – მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილი მიტინგების შემთხვევაში. ხელისუფლება ხმამაღლა აცხადებს, რომ მხარს უჭერს ეკონომიკურ თავისუფლებებს, მაგრამ როგორ განიხილავს ის სხვა ტიპის თავისუფლებებს? ადგილობრივ არჩევნებამდე ხალხისთვის ამის გარკვევა მნიშვნელოვანია.

როგორ უყურებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია თავის როლს ამ ყველაფერში? ეკლესია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ რა როლი უნდა ითამაშოს მან ახლა? რა ხდება სხვა ქვეყნებში? რას გვეუბნებიან ქრისტეს სჩავლებან? რა არის საქართველოს ინტერესში?

ეს კითხვები საქართველოს-თვის უნიკალური არ არის.

მთელი მუსლიმური სამყარო სწორედ ამ კითხვებზე ცდილობს პასუხის გაცემას. საფრანგეთი აცხადებს, რომ ბურქა არ შეიძლება იყოს ფრანგული. იმიგრაცია ბრიტანეთის წინასაარჩევონ დისკუსიებში აქტუალური თემაა, თუმცა არა იდენტობების ბრძოლის გამო, არამედ – სამუშაო ადგილების. ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, 2008 წელს სარა პეილინი აქტიურად საუბრობდა „ნამდვილ ამერიკაზე“, და გულისხმობდა იმ ამერიკას, რომელიც მას ეთანხმებოდა, ხოლო ვინც მას არ ეთანხმებოდა, ალბათ „ყალბ ამერიკაში“ მოიაზრებდა.

ვინც ყვირის, ხშირად იმათი სახელით გამოდის, ვინც ჩუმად არის. ხანდახან ეს სიჩუმე სტრატეგიულია, რადგან ასოცირება მომგებიანია და ავტორიტარულ ინსტიტუტს არ უწევს ხალხის გაუცხოება იმით, რომ კითხვებს პასუხი გასცეს. თუმცა, რაღაც მომენტში, სიჩუმე თანხმობას გულისხმობს. ■

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიაზ

# ესაზღვის პირები "ბაზის" პირენაზე ცთხმი

ტელეკომპანია „კავკასიის“ თოქ-შოუში დაწყებული დებატები ხელჩართული ჩეუბით დასრულდა.

მაია წიკლაური



მალხაზ გულაშვილი და ლელა გაფრინდაშვილი ტელეკომპანია „კავკასიასთან“, 8 მაისი 2010

ფოტო: ლევან გულაშვილი

„პროტესტს“ გამოვთქვამ, მოვი-  
თხოვ პოლიციისგან 4 მაისს მომხდა-  
რი აქციის ამპები გამოიძიოს, გამო-  
არკვიოს, ვინ იყვნენ ეს ადამიანები,  
ვინც სხვებს ურტყამდნენ. ახალგაზრ-  
დებს კი მოვუწოდებ, რომ ბევრი იკი-  
თხონ სახარება, რაც შეიძლება მეტი,

რომ არ აყვნენ სხვის პროვოკაციას“, – განაცხადა ომბუდსმენის ოფისთან  
არსებული ტოლერანტობის ცენტრის  
უფროსმა ბეჭა მინდიაშვილმა და ხე-  
ლოვნებათმომოდნე თეო ხატიაშვილ-  
თან, ასევე ილიას უნივერსიტეტის  
პროფესორ სერგო რატიანთან ერთად

გადაცემა „ბარიერის“ სტუდია დატო-  
ვა.

სწორედ ამის შემდეგ დაიძაბა ვი-  
თარება ტელეკომპანია „კავკასიის“  
ეზოში. ეს იყო ლოგიკური შედეგი იმ  
დაპირისპირებისა, რაც 4 მაისს ილიას  
უნივერსიტეტის ეზოში დაიწყო და

მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ტელეკომპანია „კავკასიასთან“ შეკრებილმა ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა სტუდიიდან პროტესტის ნიშანად გასულ სტუმრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ხმაურზე სხვა სტუმრებმაც დატოვეს სტუდია, რის შემდეგაც ეზოში ჩხუბი ატყდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ტელეკომპანიასთან მისული ხალხი და „კავკასიის“ თანამშრომლები. ჩხუბმა სტუდიაშიც გადაინაცვლა და მასში „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ.

მალხაზ გულაშვილმა, რომელიც ამ დროს გადაცემა „ბარიერში“ მონაწილეობდა, განაცხადა, რომ ეზოში შეკრებილ ადამიანებს არ იცნობდა. ტელევიზიის თანამშრომლები და გადაცემის ზოგიერთი სტუმარი კი ჰყვებიან, რომ ეს ადამიანები „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“, და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრები იყვნენ.

„კავკასიის“ ერთ-ერთი თანამშრომელი გიორგი გეგეჭყორი იხსენებს, რომ უურნალისტ ნინო ზურიაშვილის-თვის მოქნეული ხელი მას მოხვდა. „სიტუაცია აირია. დამინტენი ცემა, ორ მანქანას შუა დამაგდეს და მირტყამდ-

ნენ წიხლებს. ზურგი მაქვს ნატკენი და ფეხი. მერე შიგნითაც შევიდნენ და ჩვენს თანამშრომლებს აგინებდნენ, ურტყამდნენ“, – ამბობს გეგეჭყორი. მისი თქმით, ის პირები, ვინც მას სცემდნენ, ამას მართლმადიდებლობის სახელით აკეთებდნენ.

ნინო ზურიაშვილის თქმით, ერთ-ერთ მათგანს ის „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირიდან“ იცნობს. „მიღებდა და მეუბნებოდა, რომ ვარ სამარცხვინო ადამიანი, იმიტომ რომ ვიცავ ჰომოსექსუალებს და მათ უფლებებს“, – ამბობს ზურიაშვილი.

ჩხუბის შემდეგ ტელეკომპანიასთან სასულიერო პირებიც მივიდნენ. სოფელ ჭოპორტის ეკლესიის მოძღვარი მამა ვახტანგი აცხადებდა, რომ ეს ყველაფერი ტელეკომპანია „კავკასიის“ და „თავისიუფლების ინსტიტუტის“ თანამშრომლებმა დადგეს და მართლმადიდებელ ახალგაზრდობას მოუწყვეს პროვოკაცია.

ერთ-ერთი თვითმხილევლი, ზაზა სვანაძე, რომელიც ტელეკომპანია „კავკასიასთან“ იმყოფებოდა, იხსენებს, რომ აგრესიულობით მღვდლებიც გამოირჩეოდნენ. მათ თვალნინ უცნობმა პირებმა სასტიკად სცემეს დავით აქუბარლიას. „დააგდეს იატაკზე და მიაყენეს შეურაცხყოფა“, – ამბობს სვანაძე.

„სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრი შოთა აფხაძე კი ჩხუბის დადგმას ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელობას აპრალებს: „ვიცი, რომ ჰქონდათ მოლაპარაკებები და ეს უმსგავსობა დაგეგმილია“, – განაცხადა აფხაძემ.

ინციდენტი პოლიციის მისვლის შემდეგ დასრულდა. 20-ზე მეტი პატრულის თანამშრომელი მობილიზებული იყო, როგორც ტელევიზიაში, ისე მის ეზოში და ლეონიძის ქუჩაზე.

ჩხუბის შედეგად დაშავდნენ როგორც „კავკასიის“ თანამშრომლები, ისე ტელეკომპანიასთან მისული დაჯგუფების წევრები. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წარმომადგენლები – დავით შალამბერიძე, ავთანდილ ზუმბაძე და ზვიად ბლიაძე პოლიციამ დააკავა და ისინი დიღომში, პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს. ■



პოლიცია ტელეკომპანია „კავკასიასთან“, 8 მაისი 2010



ტელეკომპანია „კავკასიის“ ეზო, 8 მაისი 2010

პროფესიი

# მოძრაობა „ნინ“

ახალგაზრდული მოძრაობა „ნინ“ თავისი იდეების დასაცავად ნებისმიერი ფორმით იბრძვის.

ანიტა თვალი



მოძრაობის „ნინ“ აქტივისტები, 2010

„მამათმავლებო, მოვდივართ!!! ცუდად გაქვთ საქმე!!! სულიერად გაგანადგურებთ!!!“ – ეს ახალგაზრდული მოძრაობის – „ნინ“ ერთ-ერთმა წევრმა, გიორგი გაბედავის სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ რამდენიმე დღის წინ დაწერა.

ორგანიზაციამ „ნინ“, რომელიც 2009 წლის შემოფენისაზე დაფუძნდა, საზოგადოების ყურადღება 3 მაისს, ერევლე დესაძის წიგნის „საიდუმლო სირობის“ გაპროტესტებისას მიიცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ გამართულ აქციაზე მათ „მამათმავლობის“ პროცესიანირებაში „თავისუფლების ინსტიტუტი“ და უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაქე „დაადააშაულეს“ და მისი გადადგომა მოითხოვეს. თუმცა, მოძრაობის აქტიურობა ამ აქციით არ შემოფარგლულა, 4 მაისს ისინი ილიას უნივერსიტეტთან კვლავ გამოჩნდნენ და ამჯერად „სიტყვის თავისუფლების დასაცავად“ გამართული აქციის ჩატარება გაპროტესტეს. „უნივერსიტეტიდან დაგვირევეს, – პიდარასტები აქციას გიმართავენ, – და ჩავედით“, – იხსენებს გიორგი გაბედავა. ამ ორგანიზაციაში პომოსექსუალებს ან

„პიდარასტებად“ ან „მამათმავლებად“ მოიხსენიებენ – პირველ ტერმინს დასამცირებლად, მეორეს კი რელიგიური ცოდვის აღსანიშნავად ხმარობენ.

მოძრაობა „ნინ“ რამდენიმე მეგობარ-მა გიორგი აბაშიძემ, რატი მაისურაძემ, გიორგი მალრაძემ, ლაშა თოფურიამ და ზურა ჩაჩანიძემ დაარსეს. ისინი ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობდნენ და ერთმანეთიც აქციებზე გაიცნეს.

მოძრაობის ხელმძღვანელი შოთა აფხაძე, ორგანიზაციის ასაკით ყველაზე უფროსი დამფუძნებელია. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მაგისტრანტი, „თანასწორობის ინსტიტუტის“ აქტიური წევრი იყო. პარალელურად, იგი პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ თემებზე გაზით „ჯორჯიან თაიმსაა“ და „საქართველო და მსოფლიოში“ წერდა. ამბობს რომ პაციფისტია, ხელისუფლებას მიღიტარისტულ პოლიტიკის გამო აკრიტიკებს და საქართველოში წაციონალისტური იდეების გავრცელებისთვის იბრძვის.

„ჩვენ როგორც ქართველ ისე ოს და აფხაზ ახალგაზრდებში ვიწყებთ ძალიან დიდ პროპაგანდას, იმისათვის, რომ გავაგებინოთ, რა არის ქართველი ნაციონალური იდეა, რა არის ქართველობა და როგორ უნდა გავაერთობოთ საქართველო“, – ამბობს შოთა აფხაძე. ერთი მხრივ, ის აცხადებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვისთვის იბრძვის, მეორე მხრივ კი, „ფეისბუქზე“ წერს, – „ისე გავაკეთებ, რომ საქართველო მხოლოდ ქართველების-თვის და მართლმადიდებლებისთვის იწნება, ყველა ვინც წინააღმდეგობას განევს, დაისჯება! ერის და ლვთის ხელით!“

ორგანიზაციის წევრების თქმით, მოძრაობის მისია მართლმადიდებლობის დაცვა. „ჩვენი ცხოვრების მიზანია მართლმადიდებლობისთვის ბრძოლა, ფორმებს კი დრო გვაჩვენებს“, – ამბობს მოძრაობის წევრი თენგიზ ომანიძე, რომელიც ამ ჯგუფს ერთი თვის წინ შეუერთდა. თენგო 21 წლისაა, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და თან კონსერვატივულ პარტიაში მუშაობს. ის ასევე

არის ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი ცეკვო-ში.

ახალგაზრდული მოძრაობა „წინ“, ერთი თვეეა, რაც „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან“ ერთად, მაღაზაზ გულაშვილის მიერ დაარსებული „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ შემადგენელი ნაწილი გახდა.

„ვიცნობდი მაღაზაზ გულაშვილს და ვიცოდი, რომ საერთო მიზნისთვის ვიბრძვით, ჩევნი თავი მას თავად შევთავაზეთ“, – ამბობს შოთა აფხაიძე.

„წინ“-ის წევრები თითქმის ყოველდღე სმი-ს ოჯისში იყრიბებიან. ორგანიზაციის პრესცენტრი მიხსნის, რომ „ოფისი ნაქირავები არ არის, ის სავარაუდოდ მეგობარმა მაღაზაზ გულაშვილს დაუთმო“. ვაკეში დიდ კერძო სახლს მაღალი რკინის კარიბჭე და საკუთარი ეზო აქვს. ქუჩიდანვე ჩანს სახლის ფასადზე გაკრული გერბი – ორთავიანი არწივი გვირგვინითა და ბოლნური ჯვრით. როგორც ახალგაზრდული ფრთის და „წინ“-ის ხელმძღვანელი შოთა აფხაიძე გვიხსნის, არწივი სიძლიერის ნიშანია და საერო და საეკლესიო ხელისუფლების ერთიან მმართველობას გულისხმობს,

მართულ აქციებს თავდაცვით ქმედებებად აფასებენ. მათი თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ცინიკური პასუხი გასცა მათ მოთხოვნას, უნივერსიტეტის შენობაში გაეხსნათ სამლოცველო კუთხე. „გვითხრეს, – კაფუშიც ხომ არ გაგიხსნათ“, – და საპასუხოდ „მართლმადიდებლობის შეურაცხყოფელი წიგნის პრეზენტაცია მოაწყვეს“, – ამბობს ერეკლე ფაზოშვილი. მოძრაობის წევრები იმასაც ამბობენ, რომ მათ პატრიარქის კურთხევა არ აქვთ, რაც ხშირად მათი გაყიცხების საბაბი ხდება. მაგრამ „წინ“-ის ერთ-ერთი წევრი ლაშა თოფურია არ იზიარებს მოსაზრებას, რომ მათ ყველა ნაბიჯზე პატრიარქის-გან კურთხევა უნდა აიღონ. „ქრისტეს დასაცავად კურთხევა არ არის საჭირო. ეკლესის სახელით არ ვაკეთებთ ამ ყველაფერს, ჩევნი მორალით ვაკეთებთ. მართლმადიდებლობაზე მონოპოლია არ აქვს დაწესებული საპატრიარქოს და მე მაქვს უფლებას, რომ დავიცვა ჩემი რჩენა“, – ამბობს ლაშა თოფურია

ისინი აქციაზე ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე პასუხისმგებლობას არ იღებს და ამბობენ, რომ იძულებულები

არამედ ანათემას გადაცემენ და ის ველარ შევა ეკლესიაში, არც სარწმუნოების მიმართ ხმის ამოღების უფლება მიეცემა, რადგან სარწმუნოების განხილვა მკრეხელობაა“. საქართველოს „გაბრწყინების“ ერთადერთ გზას ის თამარ მეფის ეპოქის ანტყოში გადმოტანაში ხედავს „დავით აღმაშენებლის ეპოქაში მართლმადიდებლურმა რელიგიამ შეუნარჩუნა ქართველებს ქართველობა. საქართველო მართლმადიდებლობის გარეშე განადგურდება“, – ამბობს დავით ოქროპირიძე.

მიუხედავად დიდი იდეოლოგიური მსგავსებისა, ახალგაზრდული მოძრაობის „წინ“ წევრები უარყოფებ რაიმე სახის კავშირს რუსულ ფაშისტურ იდეოლოგ ალექსანდრ დუგინთან, რომელმაც ევრაზისტულ დოქტრინა შეიმუშავა და ერთიანი ევრაზიის იდეა წარმოადგინა, რომელშიც დომინანტი სახელმწიფო რუსთან, საქართველო და უკრაინა კი – მისა ნაწილები.

შოთა აფხაიძე თავის თავსა და ორგანიზაციას უფრო მეტად სერბულ „არწინის ვეფხვებს“ ადარებს. „არწინ“ 90-იან წლებში სერბებში შექმნილი არაფორ-

## ■ მოძრაობის ოფისს ვაკეში მაღალი რკინის კარიბჭე და საკუთარი ეზო აქვს. ქუჩიდანვე ჩანს სახლის ფასადზე გაკრული გერბი – ორთავიანი არწივი გვირგვინითა და ბოლნური ჯვრით. „არწივი სიძლიერის ნიშანია და საერო და საეკლესიო ხელისუფლების ერთიან მმართველობას გულისხმობს“, – ამბობს ორგანიზაციის ხელმძღვანელი შოთა აფხაიძე.

გვირგვინი კონსტიტუციური მონარქიის სიმბოლოა, ჯვარი კი – მართლმადიდებლობის.

„ჩევნ უნდა ვიაროთ მხოლოდ და მხოლოდ წინ, იმიტომ, რომ უკან დასახევი არაფერი არ გვაქვს“, – ამბობს შოთა აფხაიძე. „წინ“-ის ერთ-ერთი წევრი 19 წლის ერეკლე ფაზოშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს და 4 მაისს გამართულ აქციაშიც მონაწილეობდა. „პომოსექსუალისტი რომ გამოვა და გაპევის, რომ ერთი ვართ, ერთი კი არა, ავადმყოფები არიან, ადამიანები არ არიან. მე არ ვარ პაციფისტი, მე ვარ ქართველი მეომარი და ვინც არ უნდა შემაგრინს დედა, საკადრის პასუხს გაცემ“, – ამბობს ერეკლე ფაზოშვილი.

მოძრაობის წევრები 3 და 4 მაისს გა-

იყვნენ, პასუხი გაეცათ შეურაცხყოფაზე. „ჩევნ ფიზიკურ ძალადობას გვიკრძალავს რელიგიური მრნამსი და უნინდესი, მაგრამ როცა დაგარტყამენ, შემოარტყამ მეორე ლოყაში, აბა, რას იზამ“, – ამბობს „წინ“-ის ერთ-ერთი წევრი დავით (დანიელ) ოქროპირიძე.

დავითი სასულიერო სემინარის პირველი კურსის სტუდენტთა და მისი სამუშაო კუთხე ქართველი პატრიარქების ფოტოებითა მოწყობილი. მისი აზრით, დღეს რელიგიას სათანადო ადგილი არ უკავია ქვეყნის ცხოვრებაში. დავითი თვლის, რომ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს, მმართველი კი მეცე – ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენერლი გახდეს. მისი აზრით, ამ სახელმწიფოში ადამიანს „არ დასჯიან ჩამოხრიობით, გა-

მალური „სერბ მოხალისეთა გვარდიის“ ხელმძღვანელის, ქელკო რაზნატოვიჩის ზედმეტსახელი იყო. კრიმინალურ ავტორიტეტს ბრალი ედებოდა ეთნიკურ წმენდაში მონაწილეობაში, წამებაში, გაუპატიურებასა და მკვლელობებში. ის 2000 ათას წელს მოკლეს.

„ჩევნ არ ვაპირებთ ავტორიტეტით ქუჩიდანვე სიარულს, მაგრამ საბრძოლო სული და სერბული მართლმადიდებლობა კარგადაა შეხამებული ქართულთან, ფაქტობრივად ერთი ლირებულებები გვაქვს და ერთნაირი ისტორია. არკანელები დღესაც არიან. მე ვმეგობრობ მათ ახალგაზრდულ ფრთასთან. ჩევნ ლეგიონების ჩამოყალბებას არ ვაპირებთ, მაგრამ თუ დაგვესხმებიან, თავის დაცვა უნდა შევძლოთ“, – მეუბნებაში შოთა აფხაიძე. ■

სეულარული სახელმიწოდო

# საცისაფილა ღ ცალის უჩვევნის ნინაშვილი

საქართველოს ეკლესია და ხელისუფლება არჩევნის წინაშე დგას. ეკლესია უნდა გაემიჯნოს რელიგიურ ექსტრემისტებს, ხელისუფლებამ კი მათ მიმართ ადეკვატური პოლიტიკა გაატაროს, რათა ქვეყანაში მოქალაქეებს ჰქონდეთ საშუალება, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით ისარგებლონ.

## ნინო ბექიშვილი



აქცია ილიას სახელმიწოდის უნივერსიტეტის წინ, 4 მაისი 2010

ალექსანდრე აჭარაშვილი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ორი ძირითადი პრობლემის წინაშე დადგა. ერთი მხრივ რუსთი, რომელიც ვერა და ვერ ელეონდა გემრიელ ლუქისა და ხან ფარულად, ხანაც ღიად გვებრძოდა და გვებრძეს, მეორე მხრივ – ეთნონაციონალიზმი, რაზეც ჩვენი ეროვნული იდენტობის აგებას შევეცადეთ, და ეს სავალალიდ, ჯერ – სამოქალაქო, შემდეგ კი სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ომებით დასრულდა. სამწერაო ისაა, რომ ამ მძიმე გამოცდლებამ ვერაფერი გვასწვდო. 2008 წლის აგვისტოში ისევ ომში ჩავტით და ორი წლის შემდეგაც ვერ გაგვირკვევია – შეიძლებოდა თუ არა ამ ობის თავიდან აცილება, ჩვენ დავიწყეთ ომი თუ რუსეთმა, გავიმარჯვეთ თუ დავმარცდით.

მაშინ, 20 წლის წინ კიდევ ერთი მნიშვ-

ნელოვანი რამ მოხდა – მართლმადიდებლურმა რწმენამ პრივატულიდან საჯარო სივრცეში გადაინაცვლა და ისე, რომ სულ არ გასჭირვებია, პირდაპირ და ნარნარად ჩანაცვლა კომუნისტური იდეოლოგია. ის, რაც ყველაზე ინტიმური და პირადია, სახალხოდ, საჯაროდ გამოიფინა. სკოლებში და საავადმყოფოებში, პარლამენტში და მთავრობის წევრების კაბინეტებში ლენინის კუთხები ხატების კუთხებით შეიცვალა. მოგვიანებით ლენინის ძეგლის ადგილი თბილისის მთავარ მიედანზე წერეთლის უნიჭერ კიჩა – წმინდა გიორგის მოქაროვილმა ქანდაკებამ დაიკავა, რომლის დადგმაც მკაფიო ნიშანი იყო იმისა, რომ რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლება არ იყო თავისუფალი ტოტალიტარული იდეოლოგიის გავლენისგან – ზურაბ წერეთელი დღემდე საბჭოთა ხე-

ლოვნებას ქმნის.

ილუზია, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფლება შეიძლებდა სახელმწიფოს სეკულარულ იდეაზე და სამართლიანობის პრინციპებზე აშენებას, მალევე გაიფანტა. ბასილ მკალავიძეილის დაპატიმრების შემდეგ, როდესაც დემონსტრაციულად გაუსწორდა მეამბოხე მღვდელსა და მის მრევლს, ხელისუფლების ოპონენტებმა მთავარ ლოზუნგებად ორი ფრაზა აქციეს – „ეკლესიებს გვინგრევე!“, „რწმენას ებრძვან!“. სააკაშვილის გუნდმა ამ მაგიურ ძრალდებებს ვერაფერი დაუპირისპირა და დანებდა. ხელისუფლებისა და ოპოზიციის უდიდესი ნაწილი დღემდე ერთმანეთს ეჯიბრება კამერების წინ საუთარი რელიგიური გრძნობების დემონსტრირებაში. ქართველი ხალხი მიტინგებზე ნასწავლ-

მა რელიგიურობამ და მასონობი ლოცვების გამოცდილებამ იმ ელექტროატად ჩამოაყალიბა, რომელიც წებისმიერ ულირსს მისცემს ხმას, თუკი ის მთავარ ლოზუნგად მართლმადიდებლობისა და ქართული ტრადიციების დაცვას გახდის. ხალხი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მუდმივად ომებისა და პოლიტიკური თუ სოციალური არასტატილურობის პირობებში ცხოვრობს. სწორედ მიტომ ახალ, თავისუფალ საქართველოში მოქალაქეებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების და ფიქრის ჩვევა არ ჩამოყალბდათ. ამით კარგად სარგებლობს ხელისუფლებაც და ეკლესიაც.

ხელისუფლებამ ავგისტოს ომის შემდეგ ქართული ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელად რუსეთის სახით ნამდვილი მტრის ხატი შექმნა, რომლის ჯიბრზეც ჩვენ სულ წინ და წინ უნდა ვიაროთ (მასენდება კომუნისტური ლოზუნგი „დავენიოთ და გაუსწინოთ ამერიკას!“). პატრიოტიზმის ის ფორმა კი, რასაც ე.წ. „პატრიოტთა ბანაკები“ ახალგაზრდებს ასწავლიან, საბჭოთა დროს და პიონერთა ბანაკებს გვახსენებს. ოლონდ აქაც კომუნიზმის დაიდო იდეები რელიგიურობითაა ჩანაცლებული – პატრიოტთა ბანაკები ჯერ პიმს მღერიან და შემდეგ კოლექტიურად ლოცულობენ.

ეკლესია, სადაც უკვე დიდი ხანია, თეოლოგიური საკითხების კვლევით აღარ არიან დაკავებული, მრევლს, ფსევდორელიგიურობის გარდა, ვერაფერს სთავაზობს (ეს, ცხადია, ყველაზე არ ვრცელდება, მაგრამ ძირითადად ასეა). აქცენტი მხოლოდ გარეგნულ, ზედაპირულ მხარეზე კეთდება – ქალი შარვლით ეკლესიში ვერ შევა, მარხვის დროს კი სუპერმარეტები სამარხო ტორტებითა და ნაყინებით ისება. მაგრამ მაინც უცნაურია, რომ ჩვენს თანამოქალაქეებს პროტესტი მაშინაც კი არ უწინდებათ, როცა გამდიდრებულ, უცხოურ ჯიბეზზე შემომსხდარ უბირ სასულიერო პირებს უსმენენ, რომლებიც მხოლოდ მორჩილებას და ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებას ქადაგებენ.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ 70-წლიანმა საბჭოთა გამოცდილებამ თავად ეკლესიასაც დაასვა დალი. მას შემდეგ, რაც საეკლესიო ელიტა კომუნისტებმა ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში გაულიტეს, ეკლესია ბედს შეეგუა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული თამაშის წესები მიიღო. დღეს ცოტა სასაცილოც კია, როცა ეკლესიას, „კვბ“-სთან თანამშ-

რომლობის გამო, პასუხს ვთხოვთ. ცხადია, ამ ურთიერთობის გარეშე, ეკლესია უბრალოდ ვერ იარსებებდა, საკითხავი ისაა, რას გულისხმობდა ეს თანამშრომლობა და კონკრეტული სასულიერო პირები კონკრეტულად რა დავალებებს ასრულებდნენ.

საქართველო, კონსტიტუციის მიხედვით, სეკულარული სახელმწიფოა, თუმცა დიდი ძალაუფლებისა და სიძირდობის მფლობელი ეკლესია (ცოტა გასაკვირი კია, როგორ მოახერხა დარიბ-ლატაკ ქვეყანაში ეკლესიამ ასე გამდიდრება) ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობს. განსაკუთრებით კარგად სამართალდამცავებთან ურთიერთობა გამოსდით. ამიტომაც, სიტყვა „მართლმადიდებლური“ ჩვენში ისეთი მაგიური ძალა მიეცა, რომ მის წინაშე ახალი საქართველოს სიმბოლო, ძლევამოსილი პოლიციაც კი უძლურია. დამამავა სასულიერო პირები და მათი მრევლი, რომლებიც თბილისის ცენტრში ხან თამამშევების საფლავებს შეურაცხყოფენ, ხან ჰელოუინის დღესასწაულის მონაწილეებს არბევენ, ხანაც უნივერსიტეტის წინ გამოხატვის თავისუფლების დასაცავად შეკრებილ ახალგაზრდებს სცემენ, ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში ხელშეუხებლები არიან. უკეთეს შემთხვევაში, პოლიცია მხოლოდ გამშველებლის როლში გამოიდის და დამნაშვებებს ვერ ან არ აპატიმრებს. არადა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის 2002 წელს დადებული კონსტუტუციური შეთანხმების მიხედვით, მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიორებია „ხელშეუგალი“, სცვებზე იმუნიტეტი არ ვრცელდება.

უკანასკნელი დღების მოვლენებმა ცხადად დაგვანახა, რომ ის დრო დაბრუნდა, როცა შევარდნაბის ძალოვნები ბასილ მკალავიშვილის ექსტრემისტულ ჯგუფს ვერაფერს უპირისპირებდნენ მაშინ, როცა ისინი წიგნებს წავადნენ და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს სასტიკად უსწორდებოდნენ. ასეა დღესაც, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრების კანონდარღვევებს პოლიცია და, შესაბამისად, სახელმწიფოც არ იჩინევს.

ეკლესიაზე, ცხადა, საზოგადოებრივი აზრი და განწყობები მოქმედებს. მაგრამ, რა ვენათ, როცა პოლიტიკოსთა უდიდესი ნაწილი მმკ-ს იდეებს იზიარებს, ქრისტიანდემორატებმა კი უკვე გააკეთეს განცხადება, სადაც ახალგაზრდა მწერლის პროვოკაციული წიგნი გაკიცხეს? გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული

აქციები ლიად მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის წევრებმა დავით ზურაბიშვილმა და ლევან ბერძენიშვილმა დაგმეს. დანარჩენი პოლიტიკოსები, ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად არიან – ხმას არ იღებენ. მაგრამ თუკი ბასილ მკალავიშვილი თოიციალურად მაინც განდევნილი იყო ეკლესიიდნ და ვიღაც შორეული ეპისკოპოსის მიერ იყო ხელდასხმული, მართლმადიდებელ შშობელთა კაშშირის წევრი სასულიერო პირები საქართველოს კათალიკოს-პატრიორებს მორჩილებენ. ასევე უცნაურია, რატომ არ აპროტესტებს საპატრიორები მალხაზ გულაშვილის მიერ საკუთარი პროფესიალური ორგანიზაციის თვის „მართლმადიდებლური“ მოძრაობის დარქმევას. რა საერთო შეიძლება ჰქონდეს სიყვარულისა და სათნოების მქადაგებელ მართლმადიდებლობას კაცომიზულებული იდეოლოგიასთან, რომელიც ძალან ჰეგავს თანამედროვე რუსულ ფაშიზმს და, სავარაუდოდ, სწორედ რუსეთიდან ფინანსდება? ეს ყველაფერი ყველაზე მეტად თვითონ ეკლესის ავტორიტეტს აზარალებს.

საპატრიორები თითქოს ღიაა დაიაღოგის-თვის, მაგრამ – ერთი პირობით. ეკლესის საქმეებში ჩარევის უფლება არავის აქეს, არც მაშინ, როდესაც მისი სახელით მოქმედი ექსტრემისტები თანამოქალაქეებს ქუჩებში სცემენ და არბევენ. ცხადა, ეკლესია ასე დიდხანს ვერ დარჩება. მას მოუწევს არჩევნის გაეთხება – ან უნდა გაემიჯნოს მათ და საეკლესიო სამართლის მიხედვით დასაჯოს, ან მთლიანად მოუწევს, ან მთლიანად მოუწევს სახელმწიფოს აღნაბულებებზე, რასაც დავით ისაკაძე და მისი ეგზალტირებული მრევლი სჩადას.

დილემის წინაშე დგას ხელისუფლებაც – უნდა დაგვანახა, რომ ის დრო დაბრუნდა, როცა შევარდნაბის ძალოვნები ბასილ მკალავიშვილის ექსტრემისტულ ჯგუფს ვერაფერს უპირისპირებდნენ მაშინ, როცა ისინი წიგნებს წავადნენ და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს სასტიკად უსწორდებოდნენ. ასეა დღესაც, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრების კანონდარღვევებს პოლიცია და, შესაბამისად, სახელმწიფოც არ იჩინევს.

დილემის სამართლის აზრი და გამოცდილების გამოცდილების და აირჩიოს: რა უფრო დააზიანებს ქართველ ხალხს – ხელისუფლების მიერ თუნდაც ეკლესიის განცხადება – ან უნდა გაემიჯნოს მათ და საეკლესიო სამართლის მიხედვით დასაჯოს, ან მთლიანად მოუწევს, ან მთლიანად მოუწევს სახელმწიფოს აღნაბულებებზე, რასაც დავით ისაკაძე და მისი ეგზალტირებული მრევლი სჩადას. და ამას უკანასკნელი დღესაც ერთად არ აპატიმრებს. არადა, სახელმწიფოს უფლება არავის აქეს, არც მაშინ, როდესაც მისი სახელით მოქმედი ექსტრემისტები თანამოქალაქეებს ქუჩებში სცემენ და არბევენ. ცხადა, ეკლესია ასე დიდხანს ვერ დარჩება. მას მოუწევს არჩევნის გაეთხება – ან უნდა გაემიჯნოს მათ და საეკლესიო სამართლის მიხედვით დასაჯოს, ან მთლიანად მოუწევს, ან მთლიანად მოუწევს სახელმწიფოს აღნაბულებებზე, რასაც დავით ისაკაძე და მისი ეგზალტირებული მრევლი სჩადას. და მშესახურ ასე დავით ისაკაძე და მისი ეგზალტირებული მრევლი სჩადას.

# კათაცი ჯურის მნიშვნელობა პოლიტიკის წარიზე

„ქართული ქუჩისთვის“ ანუ ჩვეულებრივი ქართველების უმრავლესობისთვის კონსტიტუცია არ არის ავტორიტეტული დოკუმენტი, არც მასში გაცხადებული ადამიანის საყოველთაო უფლებები და თავისუფლებებია ჰუმანიზმის უმაღლესი გამოვლინება. საზოგადოებრივი აზრი საქართველოში უფრო იქითკენ იხრება, რომ სამართლიანობა და ჰუმანიზმი თავისებური – ნაციონალისტური და ულტრაკონსერვატორული მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

## გიორგი ცხადაია

იმათ, ვინც პოლიტიკის შეფასებით არიან დაკავებულები, ერთი ჩვევა აქვთ: უფრო ხშირად აანალიზებენ იმას, რაც ხდება, ანუ უკვე მოხდა და ნაკლებად – იმას, რაც პოტენციურად საფრთხის მატარებელია. მაგალითად, ქართული შოვინიზმი და რელიგიური ფუნდამენტალიზმი ის მნიშვნელოვანი საფრთხეებია, რომელსაც აქამდე სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. ვგულისხმობ არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ აანალიზებსაც. როდესაც ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის წინ მომხდარ ინციდენტზე საქართველოს ერთ-ერთ მკვლევარს მოვუყევი, მიპასუხა, – რატომძაც ქართულ ნაციონალიზმს სერიოზულად არ ალიქამენ და გეთანხმები, რომ შიშები, რომელიც განუხებს, ლეგიტიმურია.

ხალხის განწყობების დანახვას საკანონო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მუსლიმური სამყაროს მკვლევრები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ ახლო აღმოსავლეთის გაგება გინდა, პირველ რიგში, მუსლიმურ ქუჩას უნდა შეხედო, სწორედ ქუჩაში შეიძლება გაიგო ის, თუ რა ხდება ხალხის გულებში. ვფიქრობ, ეს აქსიომა საქართველოზეც უნდა გავრცელდეს. ამიტომ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ როგორი განწყობებია ქუჩებში, ანუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

თუ პოლიტიკის მკვლევრები ხანდა-ხან გვერდს უვლიან ხალხის განწყობებს, ჰუმანიტარული დარგების სპეციალისტები პირიქით, გამუდმებით საზოგადოების კულტურულ მიდრეკი-



შექა მინდიაშვილი და შოთა აფხაზე აქციაზე ილიას სახელობის უნივერსიტეტის წინ, 4 მაისი 2010

ფოტო: ნინო აბაშიძე

ლებებს აანალიზებენ ხოლმე. საქართველოში, მაგალითად, ქართველი მეცნიერი გიორგი მაისურაძე, რომელიც ფილოლოგია და ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, დიდი ხანია, რაც ნერს იმ საშიში განწყობების შესახებ, რომელიც რელიგიური ექსტრემიზმისა და შოვინიზმის მეტად გააქტიურებით შეიძლება დასრულდეს. დღეს ვრწმუნდები, რომ ეს საკითხი მართლაც შეიძლება გახდეს პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ილიას უნივერსიტეტთან მომხდარმა ინციდენტმა სწორედ ამ საფრთხის რეალურობა დაგვინახა. ისეთი პოლიტიკიური ჯგუფები, როგორიცაა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი და ახლად დაფუძნებული მალხაზ გულაშ-

ვილის სახალხო მართლმადიდებლური ორგანიზაცია, განსაკუთრებული აგრესითა და რადიკალიზმით გამოირჩეოდნენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი გამოღიოდნენ მთელი ქართველი ერის სახელით და არ ერიდებოდნენ არათუ ფიზიკურ შეურაცხყოფას, არამედ მოკვლითაც იმუქრებოდნენ. მათ წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიების გატარებას პოლიცია ერიდებოდა და უნივერსიტეტის სტუდენტების გარკვეული ნაწილის სიმპათიაც მოიპოვეს; უფრო მეტიც, ამ ჯგუფებმა მოახერხეს ის, რომ დაარწმუნეს გარშემომყოფი ადამიანები, რომ „მამათმავლების მიტინგს“ არბევდნენ.

იმავე დღეს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში ომბუდსმენის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის

დირექტორი ბექა მინდიაშვილი ესაუ-ბრებოდა ოპონენტს, ფსიქოლოგთა გოგონების თუმცა, მთავარი თემა იყო არა მიტინგზე მომხდარი ძალადობა, რომელშიც იქ მისული სასულიერო პირებიც იყვნენ ჩამოსული, არამედ იმ წიგნის დაბეჭდის მორალურობა-ამორალურობის საკითხი, რომელზეც მოეღლი ეს ამბები ატყდა. ამ ფონზე ექს-ტრემისტულ ჯგუფებს ექმნებათ ისეთი წარმოდგენა, რომ საზოგადოება მათ ქმედებებს ამართლებს. ამავე დროს ეს ჯგუფები თავიანთ სადამსჯელო აქციებს წარმოადგენენ, როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობებს ჰომოსექსუალების წინააღმდეგ, რაზეც საზოგადოებას, რომელშიც ჰომოფობია საყოველთაო ნორმა, უარყოფითი რეაქცია არ აქვს. ჰომოფობიური განწყობები ბევრ დასავლურ ქვეყანაშიც არსებობს, მაგრამ ამავე დროს ამ ქვეყნებში მკვეთრად უარყოფითად აფასებენ, როდესაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებუ-

ადამიანის თავისუფლებებისადმი მსგავსი დამოკიდებულება მოდის საბჭოთა ტრადიციიდან, რომელიც გულისხმობდა კონსტიტუციაში დაწერილი ნორმების აპსოლუტურ უგულებელყოფას და უპატივცემულიბას. კონსტიტუცია ფარატინა ქალალდი იყო, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში არანაირი მნიშვნელობა ჰქონდა.

ყველაზე საშიში და არაპროგნოზირებადია ახალგაზრდების განწყობები. ხშირ შემთხვევაში, ინტერნეტ სივრცეში გაკეთებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი მათვის მიუღებელი ადამიანების დემონიზაციას ცდილობენ. ახალგაზრდები, რომელთა სოციალიზაცია 90-იან წლებსა და მომდევნო სანებში მოხდა, განსაკუთრებული შევინიშმით და უმცირესობებისადმი დისკრიმინაციული მიდგომით გამოიჩინა. ილიას უნივერსიტეტთან მომხდარ შეხლა-შემოხლაში ძალიან ხშირად ისმოდა ქუჩერი და ძელბიჭური გამოთქმები და დამა-

რული ტექსტები, არამედ როგორც რელიგიური ტექსტები. ილია ჭავჭავაძის და სხვა ქართველი განმანათლებლების ნაწარმოებების განხილვა კი ძირითადად ნაციონალისტურ და ეთნოშოვინისტურ კონტექსტში მიმდინარეობს და არა ლიბერალურ-დემოკრატიული ლირებულებების კუთხით. მსოფლიო ისტორიის და ლიტერატურის ცოდნას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება და გარესამყაროზე დამახინჯებული წარმოდგენები იქმნება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „ქართულ ქუჩაში“ მორალური უპირატესობის გაუჭირდებათ, განსაკუთრებული ჯგუფებს არ გაუჭირდებათ, განსაკუთრებით - ახალგაზრდა თაობის გულის მოგება. იმ ჯგუფებს კი, ვინც გამოხატვის თავისუფლებას და სეკულარიზმს იცავენ, თითქმის არანაირი საზოგადოებრივი მხარდაჭერა არ გააჩნიათ. კრიტიკულ სიტუაციებში, როგორც გამოჩნდა, საზოგადოებრივი აზრიც მათ წინააღმდეგ არის მიმართული. ქუჩაში მოქალაქეთა განწყობები ისეთია, რომ ხელისუფლება რწმუნდება, რომ ნებისმიერი რელიგიური ტიპის ორგანიზაციის ძალადობრივი ქმედებების აღვეთა რელიგიურ და ნაციონალურ იდენტობაზე შეტევად აღიქმება. ამ შემთხვევაში, საზოგადოებრივი განწყობები მუდმივი ცვლადია, რადგან რომელი პარტიაც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მათი გათვალისწინება და კონსტიტურისადმი მორჩილება ყველას მოუწევს. ნებისმიერი ხელისუფლება პირველ რიგში საკუთარი რეიტინგითაა დაკავებული. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი გამოსაგალი საზოგადოებრივ განწყობებზე მუშაობაა, რაც შესაბამის სტრატეგიას მოითხოვს. დასავლეთში ჩვენს მეგობრებსაც ადეკვატური წარმოდგენა უნდა შეექმნათ, თუ რა ხდება საქართველოში და, ამ კულტურული რეპრესიების ფონზე, რა მომავალი აქვს ლიბერალურ დემოკრატიას. 1979 წელს არავის ეგონა, რომ რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კულტურის მქონე ქუჩანა - ირანი თეორეტიულ რეჟიმიდა გადაიქცეოდა. იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი მოძრაობები არ გამოვიდა, რომელიც გაუქმდიდ ინტერნეტ სივრცეში გაკეთებულ რადიკალურ კომენტარებს, რომელიც აშკარად ჭარბობს ტოლერანტულ და ლიბერალურ განცხადებებს. კონსტიტუციისადმი და

## ■ „ქართულ ქუჩაში“ მორალური უპირატესობის მოპოვება ექსტრემისტულ რელიგიურ ჯგუფებს არ გაუჭირდებათ, განსაკუთრებით - ახალგაზრდა თაობის გულის მოგება.

ბის, შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩასახშობად ძალადობას გამოიყენებენ. საქართველოს ეს ტრადიცია არ აქვს: იმავე მიტინგზე რადიკალი მართლმადიდებლური ორგანიზაციების წევრებისგან ისმოდა საქართველოს კონსტიტუციის შეურაცხმყოფელი გამოთქმები.

„ქართული ქუჩისთვის“ ანუ ჩვეულებრივი ქართველების უმრავლესობისთვის კონსტიტუცია არ არს ავტორიტეტული დოკუმენტი, არც მასში გაცადებული ადამიანის საყოველთაო უფლებები და თავისუფლებებია ჰუმანიზმის უმაღლესი გამოვლინება. საზოგადოებრივი აზრი საქართველოში უფრო იქითვებ იხრება, რომ სამართლიანობა და ჰუმანიზმი თავისებური - ნაციონალისტური და ულტრაკუნძურატორული მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. ჩემი ნათევამის საილუსტრაციოდ მოყიდვანდი ინტერნეტ სივრცეში გაკეთებულ რადიკალურ კომენტარებს, რომელიც აშკარად ჭარბობს ტოლერანტულ და ლიბერალურ განცხადებებს. კონსტიტუციისადმი და

სასათებელი საუბრის მანერა. მეორე დღეს აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც გამოხატვის თავისუფლების დაცვის მოთხოვნით გამოდიოდა, თავისივე საცხოვრებელ სახლთან „უბნის ბიჭებმა“ სცემეს, რადგან, როგორც უთხრეს, იგი წინა დღის მიტინგზე ქრისტიანული ქვეყნის ნორმების წინააღმდეგ გამოდიოდა. ქუჩურ და ქურდულ კონტრულტურაში აქამდე ნაციონალიზმის ელემენტები ასეთი გამოკვეთილი არ ყოფილა, რადგან ის საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა და მულტიერიზმი ნიშნით გამოირჩეოდა. ახლა კი ქუჩურმა კონტრულტურაში წარმატებით შეითვისა არა მხოლოდ ეთნონაციონალისტური, არამედ რელიგიური ექსტრემიზმის ელემენტები.

ქართველი ახალგაზრდების სოციალიზაციის მძღავრი აგენტია სკოლა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ნაციონალისტი და ულტრაკუნძურატორი მასნავლებლებით არის დაკომპლექტებული. თითქმის ყველა სკოლაში ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები ისწავლება არა როგორც ლიტერატურის ტემა, რომის ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კულტურის მქონე ქუჩანა - ირანი თეორეტიულ რეჟიმიდა გადაიქცეოდა. იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი მოძრაობები არ გამოვიდა, რომელიც გაუქმდიდ ინტერნეტ სივრცეში გაკეთებული რადიკალურ კომენტარებს, რომელიც აშკარად ჭარბობს ტოლერანტულ და ლიბერალურ განცხადებებს. კონსტიტუციისადმი და

# ჩატოვნალები "ქრისტიან-დემოკრატიული პარტია ყველაზე პრაგმატულია დღეს არსებულ ოპოზიციურ სპექტრში.

თამარ კაკაბაძე



„ქრისტიან-დემოკრატების“ ყრილობა, 7 მაისი 2010

ფოტო მარიამ გაგაბაძე

„ეს სიტყვები მანამდე არასოდეს მითქვამს, მაგრამ დღეს, როდესაც უკან ჩამოვიტოვეთ ყველა ძირითადი პოლიტიკური კონკურენტი და აღმოგჩნდით ჩვენი მთავარი პოლიტიკური მონინააღმდეგის – „ნაციონალური მოძრაობის“ პირსპირ, მე ვამბობ ამ სიტყვებს – დრო მოვიდა! ჩვენ მზად ვართ ძალაუფლების ხელში ასაღებად!“ – განაცხადა თვითმმართველობის არჩევნებამდე სამი კვირით ადრე გორგი თარგამაქმა.

თავდაჯერებულობა და თანმიმდევრულობა „ქრისტიან-დემოკრატების“ წინა-საარჩევნო ტაქტიკა.

ფილარმონიის სცენაზე, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პარტიული სიის პრეზენტაციაზე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები და პარტიული სიის პირველი 15 ნომერი იდგა. სიის სათავეში ინგა გრიგოლიაა – კანდიდატი საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე.

„ქრისტიან-დემოკრატები“ თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამის კულმინაციურ ფაზაში შედიან. ლიდერთა საჯარო გამოსვლები სულ უფრო მეტად ემოციუ-

## ■ გამომწვევი და პოპულისტური დაპირებების პარალელურად, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია ყველაზე პრაგმატულია არსებულ ოპოზიციურ სპექტრში.

რო და პოპულისტური ხდება.

„სააკაშვილივით მატყუარა კი არ ვიქნებით, ხალხს შევუსრულებთ დააპირებს. ჩვენთან არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ ხალხს არასოდეს მოუწყობენ 7 ნოემბერს, რომლებიც ტელევიზიაში არ შეუვარდებან უურნალისტებს... რომლებიც ცხიდან არ გამოუშებენ სანდრო გრიგოლიანს მკვლელებს“, – ხმამაღლა, თითქმის ყვირილით მიმართავდა ინგა გრიგოლია შეკრებილებს. თავისი გამოსვლა გრიგოლია რამდენჯერმე შენყვიტა, ყოველ ასეთ პასაჟს მქუხარე ტაში მოჰყვებოდა.

პირველად ამომრჩევლების ყურადღე-

ბის მიქცევა „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ჯერ კიდევ თებერვალში შეძლეს, როცა მათი წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. მერობის კანდიდატის გაი ჭანტურიას პროგრამა – „გაზი – 10 თეთრი, დენი – 5 თეთრი, წყალი – უფასო“ – წინასაარჩევნო სეზონის მთავარ დაპირებად იქცა. ამ თემის განხილვას ქართულმა მედიამ მნიშვნელოვანი დრო დაუთმო.

არც ერთი სხვა ოპოზიციური პარტიის სლოვანი თუ წინასაარჩევნო დაპირება არ აღმოჩნდა ასეთი პოპულარული.

ფილარმონიაში „ქრისტიან-დემოკრატებს“ კიდევ ერთხელ მოუხდათ იმის მტკიცება, რომ ენერგოტარიფების ხუთვერ გაიაფება „ბლეფი და პოპულიზმი არ არის“.

ბლეფია თუ არა ეს დაპირება, მეორეხარისხოვანი გახდა. თვითმმართველობის არჩევნებამდე სამი კვირით ადრე ბევრად უფრო აქტუალურია კითხვა – რამდენად ეფექტურად იმუშავა ამ დაპირებამ?

მარტში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი IRI-ის მიერ მომზადებული კვლევის თანახმად, კითხვაზე – „ვინ მოაგვარებს ყველაზე უკეთ უმუშევრობის პრობლემას?“ – გამოკითხულთა 9 პროცენტი პასუხობდა – გიორგი თარგამაძე. მას ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ოპოზიციის ლიდერებს შორის.

„ქრისტიან-დემოკრატები“ ახერხებდნენ, მთელი წინასაარჩევნო პროცესის მანძილზე არ დაეკარგათ აქტუალობა.

როცა თბილისში ჭანტურიას ტარიფებზე ჭრაიპა მობეზრდათ, ლონდონში სასავალებლად წასული ყოფილი ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია ჩამოვიდა და „ქრისტიან-დემოკრატების“ ახალი სახე გახდა. ქალაქში მოფენილი პლაკატები ჭანტურიას გამოსახულებით, მის გვერდით მდგომი თარგამაძისა და გრიგოლიას ბილბორდებმა ჩაანაცვლეს.

წინასაარჩევნო პერიოდის არც ერთ ეტაპზე თარგამაძის გუნდს დრო არ

დაუკარგავს ოპოზიციასთან გაერთიანებაზე. როდესაც არასაპარლამენტო ოპოზიცია აცხადებდა, რომ გამარჯვებისთვის აუცილებელია გაერთიანება, „ქრისტიან-დემოკრატები“ მუდმივად ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ხელისუფლების მარტონიც აუცილებლად დაამარცხებდნენ.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ეს რაციონალურობა, სისტემურობა და თანმიმდევრულობა ამ პოლიტიკურ პარტიას ბიზნესკორპორაციას ამსგავსებს, სადაც ყველა დეტალი წინასწარ გათვლილი და გათვალისწინებულია.

„გააზრებულად შექმნილი პარტიაა. ცივი გონიერითა გაანგარიშებული, თუ რა ნიშაა დასაკავებელი ქართულ პოლიტიკაში. ეს არის კულტურული და ეკონომიკური პოპულარიზმის ნაჯვარი, თუმცა რესპექტიბელურ ფარგლებში“, – ამპობს პოლიტიკოლოგი გაი ნოდია, განათლების ყოფილი მინისტრი.

გამომწვევი და პოპულისტური დაპირებების პარალელურად, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია ყველაზე პრაგმატულია დღეს არსებულ ოპოზიციურ სპექტრში. ისნი არასოდეს ითხოვნო იმას, რასაც იციან, რომ ვერ მიაღწევენ. მაგალითად, როგორ მთელი დანარჩენი ოპოზიცია 2009 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ქუჩაში იდგა, „ქრისტიან-დემოკრატები“ ამ ბრძოლას გაემიჯნენ. მანამდე მათ ასევე გადაუხვიეს ოპოზიციის საყოველთაო არჩევანს და 2008 წლის არჩევების შემდეგ პარლამენტში შესვლა ამჯობინეს მის მიღმა დარჩენას.

პალიტენტში შესვლითა და ქუჩის აქციებთან გამიჯვნით მათ „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტის მუდმივი სტიგმა დაიმსახურეს.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც ერთი ეს ნაბიჯი არ იყო მოკლებული რაციონალურობას. წინასაარჩევნო პერიოდშიც თარგამაძის გუნდი განსხვავებული ტაქტიკით მოქმედებდა. როგორც სხვა ოპოზიციური პარტიები, ამომრჩევლებთან შეხვედრების ნაცვლად, ერთიანობის ფორმულებს უკირკიტებდნენ, „ქრისტიან-დემოკრატები“ ამომრჩევლებს პოპულისტური ლოზუნგებით ხიბლავდნენ.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ამ ადეკვატურობას მეტნილად ისიც განაპირობებს, თუ ვინ არის მათი ლიდერი. გიორგი თარგამაძემ დაამტკიცა, რომ ცივი გონებით თამაში შეუძლია.

თარგამაძეს ვერ უწოდებ ქარიზმულ ლიდერს. მოსახლეობასთან ურთიერთობაში ის უფრო ხელოვნურია. წინასაარჩევნო შეხვედრების დროს ის დაუზარლად ართმევს ყველას ხელს და ყურადღებით ისმენს მათ პრობლემებს. თუმცა, მის ქცევაში უფრო დაყენებული მანერულობა იგრძნობა, ვიდრე გულწრფელობა.

თარგამაძე არ არის ლიდერი, მით უმეტეს – ხალხის ლიდერი, რომელსაც მასების მართვა შეუძლია. აქამდე ის მხოლოდ ოდიოზური პიროვნებების ჩრდილქვეშ არსებობდა. თავისი კარიერის მანძილზე მას პირველად უწევს სრულფასოვანი ლიდერის როლის შესრულება. თუმცა ხელისუფლებისაც მისი დამოუკიდებლობის ეჭვი დღესაც არსებობს.

დამოუკიდებლობის ხარისხი არასადროს ყოფილა თარგამაძის პოლიტიკური კარიერის განმსაზღვრული. მას, როგორც წესი, მუდმივი მოკავშირები არ ჰყავს, ისევე – როგორც გამოკვეთილი მტრები. პოლიტიკურ ლიდერებთან მოკავშირეობას მისთვის ყოველთვის უფრო მეტი დი-

ვიდენდები მოჰქონდა, ვიდრე მისი უშუალო „პატრონებისთვის“.

თარგამაძეს აქამდე არაფრით დაუდასტურებია არც ის, რომ მყარი ღირებულებები აქვს. ერთადერთი, რაც ზუსტად შეიძლება ითქვას – ის ყოველთვის საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს.

„ქრისტიან-დემოკრატების“ აქტივობა იმის მანიშნებელია, რომ ამ პარტიას გრძელვადიანი მიზნები აქვს და მხოლოდ ერთ არჩევნებზე არ არის ორიგინტირებული.

მაგრამ, რამდენად გრძელვადიანი შეიძლება იყოს ეს მიზნები?

ფილარმონიაში გამართულ ღონისძიებაზე თარგამაძე პირველად თქვა, რომ მისი ძალა მზადაა „ხელში ძალაუფლების ასაღებად“.

მისი პოლიტიკური წარსულის მიხედვით, ის იმ ლიდერთა შორის არ უნდა იყოს, ვინც დამოუკიდებელი ძალებით გადაწყვეტს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. ც



ქანტურია, თარგამაძე და გრიგორია ამილჩეველთან შეხვედრაზე, 6 მაისი 2010

# NDI-ს წარენა - მოსახლეობის საჭირობებისა და პრბლემების ასახვა, მოქალაკების დამოაღიძება დამოაღიძები პრცესების მიზანი

„ადგილობრივი არჩევნების წინ მთავრობა ხელსაყრელ პოზიციაშია“, – განაცხადა NDI-ს დირექტორმა ლუის ნავარომ 6 მაისს გამართული კვლევის პრეზენტაციაზე.

კვლევა, რომლის მიზანიც იყო მოსახლეობის საჭიროებებისა და პრობლემების ასახვა, ამერიკის „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ დაკვეთით, „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ ჩაატარა. 11-26 აპრილს საქართველოს მასშტაბით 2 378 რესპონდენტი გამოიკითხა.

გამოკითხულთა 53 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო დღეს სწორი მიმართულებით ვითარდება. „ჩვენი კვლევა მიუთითებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მეტ-ნაკლებად კმაყოფილია მთავრობის მუშაობით“, – განაცხადა ნავარომ.

გამოკითხულთა ნახევარი ფიქრობს, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტები საკმარისია. აღნიშნავენ გზების, გაზმომარაგების, წყალმომარაგების, გარე განათების, კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესების, ნაგვის გატანის, კანალიზაციის მოწესრიგების საკითხებს.

გამოკითხულთა მხოლოდ 36% მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატია. 46 პროცენტი პირიქით ფიქრობს. დემოკრატიის არსებობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი მოსახლეობის რიცხვი, 2009 წლის დეკემბერთან შედარებით, 2%-ით გაიზარდა.

საქართველოს ნატო-ში განვითარებას მხარს უჭერს 62 პროცენტი.

გამოკითხულთა 32 პროცენტის-თვის მთლიანად ან ნაწილობრივ მისაღებია რუსეთთან ურთიერთობა. 52 პროცენტის-თვის კი – მიუღებელი. თუმცა გამოკითხულთა ძალიან

მცირე ნაწილი იწონებს ოპოზიციური პარტიების ნარმომადგენელთა ვიზიტებს მოსკოვში. რუსეთის პრემიერ ვლადიმირ პუტინთან ზურაბ ნოღაიძელის ვიზიტი დადგებითად მხოლოდ 11-მა პროცენტმა შეაფასა. ირაკლი ალასანიას ვიზიტი მიუწენდნი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან შეხვედრა 22 პროცენტისთვის აღმოჩნდა მისაღები, ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტიც მხოლოდ 12-მა პროცენტმა მოიწონა. სამაგიეროდ, გამოკითხულთა 64%-თვის მისაღებია ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის და რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო სივრცის გახსნა.

კვლევის მიხედვით, საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა უმუშევრობა, ტერიტორიული მთლიანობა და სიღარიბე. გამოკითხულთა 70% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს.

რესპონდენტთა 13%-ის აზრით, მათ მდგომარეობა 2008 წლის არჩევნების შემდეგ უკეთესობისკენ შეიცვალა. 55%-თვის მდგომარეობა არ შეცვლილა. 30 პროცენტის მდგომარეობა კი გაუარესდა. გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობას აზრით, მათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილობრივი პრობლემაა კომუნალური გადასახადები.

რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ რომელიმე პარტიას არჩევნებში მხარს დაუჭერს იმ შემთხვევაში, თუ ის ყურადღებას დასაქმებაზე, სიღარიბესა და ტერიტორიულ მთლიანობაზე გაამახვილებს.

თუმცა, ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ პოლიტიკური პარტიები არ პასუხობენ ხალხის მოთხოვნებს, არ ინტერესდებიან მოსახლეობის აზრით არჩევნებს

შორის პერიოდში და არ სთავაზობენ მოსახლეობას ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარების გზებს.

გამოკითხულთა 95% ამბობს, რომ 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რომელიმე პოლიტიკოსი, მაურიტარი დეპუტატი ან პარტიის აქტივისტი საერთოდ არ დაკავშირდა.

კვლევაში არჩევნებთან დაკავშირებული რამდენიმე მთავარი პრობლემა იკვეთება. 46% ფიქრობს, რომ მთავარი გადასაჭრელი საკითხი ამომრჩეველთა სიის ხარვეზებია. 32%-ის აზრით, პრობლემა ამომრჩეველთა მოსყიდვაა, 24-24% ფიქრობს, რომ არჩევნებს პრობლემას საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაყრა და ერთი ადამიანის მიერ, სხვების ნაცვლად, ხმის მიცემა შეუქმნის.

გამოკითხულთა 75 პროცენტი საარჩევნო უნდებში ვიდეოთვალების დაყენებას უჭერს მხარს.

გამოკითხულთა 36% ფიქრობს, რომ არჩევნები ძალიან ან ნაწილობრივ კარგად ჩატარდება, 22 პროცენტის აზრით, არჩევნები არც კარგად ჩატარდება და არც გაყალბდება, 9 პროცენტის აზრით კი, არჩევნები ან ნაწილობრივ ან მთლიანად გაყალბდება.

რესპონდენტების დიდი ნაწილი ექვსი თვეს განმავლობაში ყველაზე საჭირო რეფორმად სასამართლოს დამოუკიდებლობას, საკუთრების დაცვასა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ასახელებს.

გამოკითხულთა 84%-ზე „მოდელირებულმა ქრონიკამ“ უარყოფითად იმოქმედა. 48%-ის აზრით, გადაცემაზე პასუხისმგებელია „იმედი“, 28 პროცენტის აზრით კი – მთავრობა. ■

## მოლიტვის ბაზიფისის ბაზიფისი

ჯერ კიდევ 2007 წელს საქართველოს პრეზიდენტი ლაგოდეხელებს გაზიფიცირებას დაპირდა და ქალაქის ცენტრში გაზი საკუთარი ხელით აანთო. თუმცა, ბუნებრივი აირი იმ დროს არც ერთი ლაგოდეხელის ოჯახში არ მოსულა. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ რეზინის იმ მილში, რომელსაც ცეცხლი პრეზიდენტმა მოუკიდა, თხევადმა აირმა გაიარა, და რომ იმ დროს ხალხთან ერთად პრეზიდენტიც მოატყუეს. დაპირება, არც ერთი ოჯახი ბუნებრივი აირის გარეშე, დღემდე დაპირებად რჩება.

ხათუნა გოგაშვილი, სტუდია „მონიტორი“



2007 წლიდან პრობლემის მოგვარება რამდენჯერმე სცადეს, გასულ წელს ბუნებრივი აირი მხოლოდ რამდენიმე უპანში გაუშვეს და ისიც მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე. ხალხმა დანაპირები ადგილობრივ ხელისუფლებას ბევრჯერ შეასენა, თუმცა – უშედეგოდ იმედი, რომ ბუნებრივი აირის პრობლემა ლაგოდეხში მოგვარდება, კიდევ ერთხელ გაჩნდა მას შემდეგ, რაც კომპანია „ლაგოდეხგაზი“ აზერბაიჯანულმა კომპანია „სოკარჯორჯიმ“ შეისყიდა და 3 წლის ვადაში მთელი რაიონის გაზიფიცირებაზე აიღო პასუხისმგებლობა. ამის შესახებ პასუხისმგებლობა „სოკარჯორჯიას“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 13 მაისის №306 განკარგულების საფუძველზე დაეკისრა, სადაც განსახორციელებელი სამუშაოების შესრულება 3 წლის ვადითაა განსაზღვრული. სამუშაოები „სოკარჯორჯიას“ 2008 წელსვე უნდა დაეწყო. თუმცა, აგვისტოს ომის გამო, სამუშაოების დაწყების ვადებმა კიდევ ერთხელ გადაიწია. მორიგი დაპირების თანახმად, გაზიფიცირება ლაგოდეხისა და მიმდებარე სოფლების ტერიტორიაზე 2009 წლის ბოლომდე უნდა მომზდარიყო, მაგრამ ესეც არ შესრულებულა.

ვადების დარღვევის გარდა, გაზიფიცირების პროცესში „ლაგოდეხგაზის“ მხრიდან სხვა დარღვევებიც ულინდება. დაირღვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივნისის №12 დადგენილება – „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარე-

ბის წესების” შესახებ. დადგენილებაში პირდაპირაა განმარტებული მომსმარებლის უფლებები და ლიცენზიანტი კომპანიის ვალდებულებები, რაც ძველი აბონენტების უფასო მომსახურებას გულისხმობს. კერძოდ, „ლაგოდეხგაზი“, კანონის შესაბამისად, ვალდებულია, ძველი აბონენტის დაზიანებული გაზგანილობა, ასევე მისი მრიცხველი, სხვა სახის დანადგარები და მოწყობილობები აღადგინოს, შეცვალოს და დაამონტაჟოს თავისი ხარჯებით.

ძველ აბონენტს წარმოადგენს ყველა ის ფიზიკური პირი, რომელიც ბუნებრივ გაზის მოიხმარდა 2008 წლის 1 აგვისტომდე.

ახალი აბონენტი კი წესების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, არის ის მომსმარტებული, რომელიც ადრე არ ყოფილა მიერთებული გაზგამანაწილებელ ქსელთან და, შესაბამისად, მას არ

„გიგზავნით კომისიაში 2010 წლის 15 აპრილს შემოსულ მოქალაქე ვ. აირაპეტოვას განცხადებას.

შეგახსენებთ, რომ კომისიის მიერ 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული წესი ბუნებრივი გაზის მინდებისა და მოხმარების აღსადგენად არ ითვალისწინებს არავთარ გადასახადს. გთხოვთ, 10 დღის ვადაში განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ შესაბამისი ზომები.

„ლაგოდეხგაზმა“ მხოლოდ სემეკის მითითებების შემდეგ გაუნია ვალერი აირაპეტოვს კანონით გათვალისწინებული უფასო მომსახურება.

აირაპეტოვისგან განსხვავებით, ლაგოდეხში ბევრია ისეთი აბონენტი, რომელსაც სემეკისთვის არ მიუმართავს, სიტყვიერი განმარტებით კი, „ლაგოდეხგაზმა“ უფასო მომსა-

„ჩვენი კომპანია ყველა მოქალაქეს კანონის დაცვით ემსახურება“, – ამბობს „ლაგოდეხგაზის“ დირექტორი ზურაბ ხელაშვილი

„ლაგოდეხგაზის“ თანამშრომლები გაზის მიერთებისათვის საჭირო სამუშაოების შესასრულებლად სხვადასხვა ოდენობის თანხას გვთხოვთ, მოთხოვნილი თანხა შეადგენს ზოგჯერ 180-ს, 200-ს, ხანდახან – 700 ლარსაც კი. იყო შემთხვევა, როცა 1000 ლარიც მოითხოვს. არადა, ჩვენ როგორც ვიცით, მომსახურების საფასური მხოლოდ ახალმა აბონენტებმა უნდა გადაიხიადონ. ძველ აბონენტებს კი უფასოდ უნდა მოემსახურონ. ჩვენ ამის უფლებას კანონი გვაძლევს. „ლაგოდეხგაზის“ თანამშრომლები კი ხალხს ფულს სძალავენ“, – ამბობს ლალი ევტუშენკო.

ლაგოდეხის მოსახლეობამ რეაგირებისთვის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას კოლექტიური განცხადებითაც მიმართა. პასუხში, რომელიც მოსახლეობამ სემეკისგან მიიღო, ვკითხულობთ:

„აღნიშნული საქოთხის განხილვისას აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძის მოწყობა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიანტის ვალდებულებაა (ამასთან, აღრიცხვის კვანძის მოწყობის ვალდებულება არც ადრე მიღებულ აქტში არის ასახული, როგორც მომსმარტებლის ვალდებულება).“

განაწილების ლიცენზიანტის მიერ აქტის შედგენა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში განხილული იქნება როგორც კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მინდებისა და მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის დარღვევა“. აქვე განმარტებულია, რომ აღნიშნული კანონის დარღვევის შემთხვევაში, კომისია „ლაგოდეხგაზის“ მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს გაატარებს. ─

## ■ ვადების დარღვევის გარდა, გაზიფიცირების პროცესში „ლაგოდეხგაზის“ მხრიდან სხვა დარღვევებიც ვლინდება.


მიეწოდებოდა ბუნებრივი გაზი, ხოლო ის, რომელიც მიერთებულია გამანაწილებელ ქსელზე და მარაგდებოდა ბუნებრივი გაზით, მიუხედავად გაზის მინდების შეწყვეტის ხანგრძლივობისა, არ ითვლება ახალ მომსმარტებლად.

„ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძი მოწყობილი მაქვს. გაზის 15 წლის ნინვილებით, ამის შემდეგ გაზმომარგება რაომნში მოთავსად შეწყდა. 2010 წლის თებერვალში მივმართე „ლაგოდეხგაზას“, როგორც ძველმა აბონენტმა, ვითხოვე ბუნებრივი გაზის აღდგენა, რისთვისაც მომთხოვეს 170 ლარისა და 17 თეთრის გადახდა და გამომინერეს შესაბამისი ქვითარი. თანხის მოგროვების შემდეგ, 8 აპრილს კვლავ მივმართე თხოვნით და წარვადგინე ძველი ქვითარი, რის შემდეგებაც გამომინერეს ახალი გადახდის ქვითარი 212 ლარისა და 92 თეთრის ოდენობით, ამის შემდეგ უკვე ფაქტზე რეაგირების თხოვნით სემეკ-ს მივმართე“, – ამბობს ლაგოდეხელი ვალერი აირაპეტოვი

პასუხში, რომელიც ამის შემდეგ უკვე „ლაგოდეხგაზმა“ 22 აპრილს სემეკისგან მიიღო, ვკითხულობთ:

ხურებაზე კატეგორიულ უარს იღებენ და თანხის გადახდა იძულებით უწევთ. ასე მოხდა ლაგოდეხში მცხოვრები ვაჩიკ პოლოსიანის შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ პოლოსიანც ძველი აბონენტია, „ლაგოდეხგაზს“ თანამშრომლებმა გაზგაყვანილობის სამუშაოების შესახებ ფორმა 2 შეადგინეს, სადაც დეტალურად განერეს ხარჯები, მრიცხველის მონტაჟისთვის, გაზსადენის გამოცდისთვის, ონკანის მონტაჟისთვის და სხვა სახის სამუშაოებისთვის. საერთო ჯამში, თანხის ოდენობამ 200 ლარი შეადგინა. რაც პოლოსიანების ოჯახმა გადაიხადა და მხოლოდ ამის შემდეგ აღუდგინეს მათ ბუნებრივი გაზი.

არსებული ფაქტების მიუხედავად, „ლაგოდეხგაზში“ ირწმუნებიან, რომ მათი მხრიდან კანონდარღვევას ადგილი არ აქვს.




უურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში.  
უურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

# უცან მოგვალი

„ანტიმონპოლიური სამსახური“ აღდგა. სწორია თუ არა მთავრობის კომპრომისი, მხოლოდ წლების შემდეგ გაირკვევა.

ნინო გოგუა



დავა „ანტიმონპოლიური სამსახურის“ გამო 2005 წელს, ამ სტრუქტურის მოულოდნელად გაუქმების გამო დაიწყო. ბოლო ხეთი წლის განმავლობაში ანტიმონპოლიური სამსახურის აღდგენის მომზრები ბენზინის და ნამლების მაღალ ფასებს სახელმწიფო რეგულაციის არარსებობა აბრალებდნენ.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მედიკამენტების გაასაფეხბამ ანტიმონპოლიური სამსახურის მომზრების რიცხვი შეამცირა, 29 მაისს კი სამსახურის აღდგენის გამო უთანხმოება საერთოდ შეწყდა. თუმცა ამის მიზეზი არა ხელისუფლების მიმართ პროტესტის გაქრობა, არამედ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება:

„ანტიმონპოლიური სამსახური აღდგება და ეს იქნება დამოუკიდებელი სტრუქტურა“, - განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა.

პოლიტიკის ცვლილების მიზეზი ევროკავშირის რეკომენდაცია გახდა. ბოლო 4 წელია, ევროკავშირის ექსპერტები ყოველწლიურად აღნიშნავდნენ ანგარიშებში: „კონკურენციის შესახებ კანონი არ არეგულირებს მომხმარებლისათვის

საზიანო შეთანხმებებს, ბაზარზე უპირატესი მდგომარეობით სარგებლობის და კომპანიათა გაერთიანების შემთხვევებს“. თუმცა, საქართველოს მთავრობამ ეს შენიშვნა მხოლოდ მას შემდეგ გაითვალისწინა, რაც ანტიმონპოლიური სამსახურის აღდგენა ევროკავშირთან საგაჭრო ხელშეკრულების დადების აუცილებელ მოთხოვნად იქცა.

ანტიმონპოლიური სამსახურის აღდგენის იდეა 2003 წლის „ვარდების რევლუციის“ შემდეგ პირველად ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა უვანიამ წამოაყენა. 2009 წლის 2 მარტს „ეკონომიკური პალიტრისტების“ მიცემულ ინტერვიუში უვანია აცხადებს: „მონოპოლიებს ბევრ შემთხვევაში ბაზარი წარმოშობს. კომპანიას, რომელიც ანარმოებს შედარებით იაფ პროდუციას და ის უფრო ხელმისაწვდომია ხალხისთვის, თავად ბაზარი აქცევს მონოპოლიისტად. პრინციპული პოზიცია მაქვს, რომ ანტიმონპოლიური სამსახური უნდა აღდგეს“, - აღნიშნავს უვანია.

ამ იდეით უვანია პრინციპულად შეენინააღმდეგა ქვეყნის ეკონომიკურ კურსს. 2005 წლიდან მოყოლებული კასა ბენდუქიძისა და „რეფორმების ჯგუფის“ თა-

ოსნობით, რამდენიმე საკანონმდებლო რეფორმა გატარდა იმ იდეით, რომ მონოპოლია გარდაუვალი ბოროტება არაა, თუ მას ბაზარი ბუნებრივად წარმოშობს. „საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია, ბაზარზე იყოს თანაბარი კონკურენცია, რადგან კონკურენციის პირობებში დომინანტი კომპანიებიც იძულებულები არიან, შეინარჩუნონ ფასი და ხარისხი, რათა მომხმარებელი არ დაკარგონ. ამ პრინციპს არ ემორჩილებიან ის კომპანიები, რომლებსაც პრივილეგიების მინიჭებით სახელმწიფო თავად აქცებს მონოპოლიისტად“, - განმარტავენ პრემიერ-მინისტრის აპარატში.

ევროკავშირის მოთხოვნით, ანტიმონპოლიური სამსახურის გაუქმების შემდეგ შექმნილ „კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტოს“, რეკომენდაციის მიცემის ნაცვლად, მარეგულირებელი ბერკეტები გაუჩნდება.

აქამდე „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის სააგენტოს“ ძირითადი ფუნქცია სახელმწიფო პროგრამებზე დაკვირვება იყო. „ვახორციელებდნენ კონტროლს, რათა სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისას მთავრობას რომელიმე კომპანიისთვის არ მიენიჭებინა

უპირატესობა და არათანაბარ პირობებში არ აღმოჩენილიყონ კერძო მეწარმეები“, – აცხადებს „ლიბერალთა“ საუბარში სტრუქტურის ყოფილი ხელმძღვანელი გორგი წერეთელი.

მოუხედავად ამისა, სააგენტოს 2008 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სამინისტროებისა და კანონმდებლობის მოუმზადებლობის გამო, სახელმწიფო დაბამარების გაცემის წესის ცვლილებაზე შეთანხმება ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. ჰქონდა თუ არა გავლენა კონკურენციის სააგნენტოს რეკომენდაციებს 2009 წელს, ეს მონაცემები გამოქვეყნებული ჯერ არაა.

უკროკავშირის რეკომენდაციის მიხედვით, სააგენტოს ექცება უფლებამოსილება, აკონტროლოს საწარმოების გაერთიანება და მათი წილი ბაზარზე; განსაზღვროს, უშლის თუ არა კონკრეტული კომპანიის გავლენა თავისუფალ კონკურენციას ხელს; მოამზადოს არგუმენტაცია და გადასცეს სასამართლოს, რომელიც კომპანიის დანაწევრების გადაწყვეტილებას მიღებს.

წინადადება მთავრობამ „უპრეცედენტო ცვლილებად“ შეაფასა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდის შენარჩუნება იწინასწარმეტყველა.

„დღეს, ეკონომიკურ ფილოსოფიაზე – რა მოგვწონს და რა არ მოგვწონს – აღარ ვმსჯელობთ. თუ გვინდა ის უპირატესობები, რასაც იძლევა ეკონოკავშირთან ვაჭრობა, მათი პირობები უნდა მივიღოთ. ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ფაქტორებიც თამაშობს დიდ როლს. მეორე მხარეა, რომ ეს ისე გავაკეთოთ, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს მომხმარებელს და კომპანიას. ჩვენი გამოწვევაა, მივიღოთ ეფექტი და არა კორუფცია“, – აცხადებს პრემიერ-მინისტრის მოჩველი ვახტანგ ლეუავა.

რეგულაციის გამაცრებაში კორუფციის საფრთხეს ხედავს ეკონომიკის ექსპერტი პაატა შეშელიძე: „როცა ბიზნესის თამაშის წესებს ბიუროკრატები ადგენენ, კომპანიები იწყებენ იმაზე ფიქრს, როგორ მოისყიდონ ისინი. კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ პროდუქტის რაოდენობაზე ლიმიტის დაწესების შემდეგ, მოგების

სავაჭრო ხელშეკრულება“ გაცილებით შორი მომავლის – ათეული წლის პერსპექტივით.

ამ პერიოდში არსებობს ალბათობა, რომ თუ ბაზრის რეგულაცია კომპანიების რიცხვის შემცირებას გამოიწვევს, საქართველოს ეკონომიკამ იქამდე დაიხიოს უკან, ვიდრე საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკებები წაიწევს წინ.

მეწარმეებს არსებითად ახალი ცოდნის შეძენა მოუწევთ, რათა პროდუქტია ევროკავშირის სარისხის სტანდარტს სრულად – ყველანაირი პარამეტრით შეუსაბამონ. ევროკავშირის ოფიციალური აგნარიშის მიხედვით, 2007 წელს საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის 23% მოდიოდა ევროკავშირის ძევებზე. 2008 წელს ამ მაჩვენებელმა 43%-მდე მომატა, მაგრამ ომისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ისევ დაიკლო. რუსული ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ ევროკავშირთან ვაჭრობის ხელშეკრულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველი ფერმერებისთვის იძენს.

კახა ბენდუქიძის აზრით, „საქარ-

## ■ არსებობს ალბათობა, რომ თუ ბაზრის რეგულაცია კომპანიების რიცხვის შემცირებას გამოიწვევს, საქართველოს ეკონომიკამ იქამდე დაიხიოს უკან, ვიდრე საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკებები წაიწევს წინ.

„ანტიმონპოლიტიკი სამსახურის შექმნა, რა თქმა უნდა, არის უუსევლა, მაგრამ იმ ფორმატში შექმნა, როგორსაც ვაპირებთ, არის ალბათ ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი ეკონომიკური განვითარებისთვის. ცხადია, სააგნენტოს წევრების იბიჯტურობაში ვერასდროს ვიქებით დარწმუნებულები. ამიტომ ძალიან მიშვნელოვანია ინსტიტუციური მოწყობა“, – აცხადებს კახა ბენდუქიძე.

სააგნენტოსთვის ბაზრის მარეგულირებელი ბერკეტების მინიჭება, ქვეყანაში აქამდე გატარებულ რეფორმებთან ერთად, საკანონმდებლო ნორმებსაც ენინალმდეგება. მათ შორის კანონს „თავისუფლად ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც კრძალავს ისეთი საერთაშორისო ნორმების მიღებას, რომელიც ბაზრის ბენებრივ მდგომარეობაში ჩარევას გულისხმობს.

მარეგულირებელი ორგანოების შექმნას კრძალავს „ეკონომიკის თავისუფლების აქტი“. 2009 წელს მიხეილ საკაშვილის

შენარჩუნების მიზნით, კომპანიები ფასს გაზრდან“, – აცხადებს შეშელიძე.

რომელი კომპანიები ფლობენ ბაზარზე დიდ წილს და, შესაბამისად, ვის შეიძლება შეექმნას ბიზნესის შევრნორების საფრთხე, როგორც სტატისტიკის დეპარტამენტმი „ლიბერალს“ განუცხადეს, კომერციული საიდუმლოება გახლავთ. ამ საწარმოების ბედი იმზეა დამოკიდებული, თუ რა ვალდებულებების დაკმაყოფილებას მოითხოვს ვაჭრობის სააგნენტო მათგან. ზღვარი, რომელსაც ბაზარზე კომპანიის მიცულობა არ უნდა გადასცდეს, ევროკავშირში მკაფიოდ დაგენერილი არაა. ანტიმონპოლიტიკი პოლიტიკის დეტალები საქართველოს პარლამენტმა თავად უნდა გადაწყვიტოს.

მხოლოდ ახლა დაინყო მოლაპარაკებები იმის გადასაწყვეტად, დაინყება თუ არ კონსულტაციები სავაჭრო ხელშეკრულების დადებისთვის. როგორც „ლიბერალს“ ევროკავშირის წარმომადგენლობამ განუმარტა, „ლრმა და ყოვლისმომცველი

თველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, მაგრამ თუ შედეგად მივიღებთ მხოლოდ ლაპარაკს – რომ ეს ხელშეკრულება მომავალში ამჟამადება და, ამის სახაცვლოდ, მოგვიწვევს ბევრი საქართველოდან ვაჭრობის ხელშეკრულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველი ფერმერებისთვის იძენს.

კახა ბენდუქიძის აზრით, „საქარ-

თუმცა, ერთხელ უკვე გაუქმებული რეგულაციების წანილის უკან დაბრუნება გარდაუვალია. „თავისუფლად ვაჭრობისა და კონკურენციის სააგნენტოს“ ბერკეტების გაზრდა ევროკავშირის მოთხოვნილებების მხოლოდ დასახულის სავაჭრო ხელშეკრულების მომდევნო რეკომენდაცია სურსათის უკენებლობის კონტროლის მექანიზმების შემოღებას ითვალისწინებს. ■

საქართველო ეპონომიკა ბაზრის ნაციონალური

# საბერძნეთის - შილები პატიოტიზაცია

რაც მეტი დრო გადის, უფრო მეტად უნდა შევეგუოთ ფაქტს, რომ მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენები სულ უფრო მეტ ასახვას ჰქონებს ჩვენი ქვეყნის შიდა პროცესებზეც. თუნდაც ის, რაც დღეს საბერძნეთში ხდება და, როგორც ჩანს, კიდევ საკმაო ხანს გაგრძელდება, საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილის კეთილდღეობაზე საკმაოდ მნვავედ აისახება.

## რევაზ საყევარიშვილი



საპოტესტო აქცია სალონიკი, 1 მაისი 2010

როგორც ევროკავშირის ეკონომიკურმა ექსპერტებმა და ევროზონის ქვეყნების მთავრობებმა გამოოთვალეს, საბერძნეთს იმაზე მეტი ფინანსური დახმარება ესაჭიროება, ვიდრე ამას ევროზონისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის უკვე შეთანხმებული პაკეტი ითვალისწინებს.

2012 წლის ბოლომდე საბერძნეთს 150 მილიარდი ევრო დასჭირდება, დახმარების პაკეტი კი ამ ეტაპზე ჯერ მხოლოდ 110 მილიარდ ევროს მოიცავს. თუმცა, დახმარების გაწევის საკითხი ჯერ მხოლოდ 110 მილიარდ ევროს მოიცავს. თუმცა, დახმარების გაწევის საკითხი ჯერვერობით მაინც პარში გამოეკიდა. საქმე ის არის, რომ, ამ დახმარების მიღების სანაცვლოდ, საბერძნეთი გადასახადების გაზრდას, სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას და საბიუჯეტო სექტორ-

ში ხელფასების კლებას დათანხმდა. ამან კი საზოგადოებაში იმხელა საპროტესტო ტალღა გამოიწვია, რომ ქვეყნის ხელისუფლებას სულ უფრო მეტად უჭირს სახელმწიფოს მართვა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

საქართველოსთვის ეს ფაქტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ საბერძნეთი ერთ-ერთი პირველია იმ ქვეყანათა ნუსხაში, სადაც ქართველი შრომითი მიგრანტების წილი საკმაოდ მაღალია და ეს ნაკადი ბოლო დრომდე სულ უფრო იზრდებოდა. საბერძნეთში ლეგალურად თუ არალეგალურად წასულ შრომით მიგრანტთა შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემი არ არსებოს, არაოფიციალური სტატისტიკით კი იქ წასული საქართველოს

მოქალაქეების ოდენობა რამდენიმე ათეულ ათას ადამიანს შეადგენს.

დღეს საბერძნეთში, ეკონომიკური კრიზისის უკიდურესი გამწვავების ნიადაგზე, ქართველი შრომითი მიგრანტების ეკონომიკური მდგომარეობაც საგრძნობლად დამტმდა. კრიზისის გამო, საბერძნეთში საწარმოები იხურება და იქ დასაქმებულები, მათ შორის საქართველოს მოქალაქეები, უმუშევრები რჩებიან. სამუშაოს საერთოდ კარგავენ ან ხელფასებს უნახევრებენ დამლაგბლებად, მომვლელებად და შინამოსამსახურებად მომუშავე მიგრანტებსაც, უპირატესად – ქალბატონებს. იგივე მდგომარეობაშია საბერძნეთში არალეგალურად მომუშავეთა საკმაოდ დიდი არმიაც, რომელიც არალეგალურობის მოტივით ისედაც საგრძნობლად დაბალი ანაზღაურებით მუშაობდა, დღეს კი უკვე ამ შემოსავლის გარეშე დარჩენაც ემუქრება.

ეს ყველაფერი, ცხადია, პირდაპირ აისახება იმ ფულად ნაკადებზე, რომელიც საბერძნეთიდან საქართველოში მოედინება და ბევრი იჯახის ფინანსურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

სტატისტიკურადაც დადასტურებულია, რომ საბერძნეთი საქართველოში ფულადი ტრანსფერების განხორციელების მხრივ ყოველთვის დონორი ქვეყნების პირველ ოთხეულში იმყოფება. ამ ნუსხაში, როგორც წესი, პირველი ყოველთვის რუსეთია, რომელიც ფულადი გზავნილების დაახლოებთ ნახევარს ან უფრო მეტს უზრუნველყოფს. მას კი, როგორც ბოლო თვეების სტატისტიკა კიდევ ერთხელ გვი-

დასტურებს, უმნიშვნელო სხვაობით და მეორე-მეოთხე პოზიციათა მონაცემებით სწორედ საბერძნეთი, აშშ-და უკრაინა მოსდევენ.

წლევანდელ პირველ კვარტალშიც საბერძნეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა საზღვარგარეთიდან განხორციელებული ფულადი ტრანსფერების მთელი ოდენობის 7-8%-ის ფარგლებშია, რაც არ არის სახუმარო ოდენობა. თუმცა, საბერძნეთში კრიზისის გაღრმავების კვალიბაზე, ამ პოზიციის მნიშვნელოვან გაუარესებას მოელიან, რაც საქართველოზე ფულადი რესურსების შემოდინების შემცირებით, სიღარიბის დონის კიდევ უფრო მეტად გაზრდითა და უმუშევარი მიგრანტების ნაკადის მოპრუნებით შეიძლება გამოიხატოს.

საგარეო ფაქტორების გამო, სიტუაცია უკვე არა მხოლოდ ქართველ მიგრანტებს, არამედ ქართულ კომპანიებსაც დაუმტიმდათ. მაგლითად, საქართველოში ცემენტის უმსხვილესი მნარმოებელი „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ აზერბაიჯანის ბაზრიდან

ლის ექსპორტიორებს გასული წლის მოსავლის მეოთხედი კვლავ გასაყიდი აქვთ. ქართული თხილი გამკაცრებული კონტროლის ქვეშ მას შემდეგ მოეცია, რაც პორტუგალიასა და ჩეხეთში შეტანილ პროდუქციაში მომწამვლელი ნივთიერებები აღმოჩინეს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს დაუყოვნებლივ დაეგზავნათ გაფრთხილება, რომ ქართული თხილი უვარგისია და ისინიც ამ პროდუქტს აღარ ეტანებიან.

ამ ფაქტორებმა კიდევ უფრო მეტად შეიძლება გააუარესოს საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო, რომელმაც პირველ კვარტალში 681 მილიონი დოლარი შეადგინა. საგულისხმოა, რომ თხილის ექსპორტი, რომელიც „მინუსებში წავიდა“, წლევანდელ პირველ კვარტალში მთელი ექსპორტის 4,3%-ს შეადგენდა და მისი კლება საკმაოდ მძიმე დარტყმაა ქვეყნის ისედაც მნიშვირი საქართველო რესურსებისთვის. აღარაფერს ვამბობ ფეროშენადნობებზე, რომლებიც ექსპორტის ლიდერ პოზიციაზე 16,8%-იანი წილით, მაგრამ შეიძლება

დას აფიქსირებს, მაგრამ თავისთავად საინტერესოა ამ ზრდის ანატომია – ის უპირველესად არა ეკონომიკის ზრდით გამოწვეულ შემოსავლების მეტობას ეყრდნობა, არამედ – უკიდურესად გამკაცრებულ ადმინისტრირებას.

თავის მხრივ, ეს გამკაცრებული ადმინისტრირება სულ უფრო ხშირად რომ ეყრდნობა არასათანადო ინსტრუმენტებს, ერთი გარემოებითაც დასტურდება: სახელმწიფოსთან დავაში გამარჯვებული მენარმების რიცხვი სულ უფრო იზრდება. სასამართლო სტატისტიკით, სახელმწიფოსთან დავაში გამარჯვებული მოდავე ბიზნესმენების 50% გამოდის, რაც პრაქტიკულად ნიშნავს, რომ სადავოდ ქცეული მნიშვნელოვანი ყოველი მეორე საქმე სახელმწიფო ადმინისტრაციის მხრიდან უხარისხოდ ან კანონდარღვევით მიმდინარეობს. ეს კი ნიშნავს, რომ გამტყუნების შემთხვევაში, სახელმწიფოს, შესაძლოა, სულ უფრო მეტი საჯარიმი გადასახადის გასტუმრება მოუხდეს, რაც ისევ ბიუჯეტის დანაკლისა.

## ■ დღეს საბერძნეთში, ეკონომიკური კრიზისის უკიდურესი გამწვავების ნიადაგზე, ქართველი შრომითი მიგრანტების ეკონომიკური მდგომარეობაც საგრძნობლად დამძიმდა. კრიზისის გამო, საბერძნეთში საწარმოები იხურება და იქ დასაქმებულები, მათ შორის საქართველოს მოქალაქეები, უმუშევრები რჩებიან.

გამოაძევეს. ექსპორტის შეჩერების შედეგად კომპანია ყოველდღიურად 1,5 მილიონ დოლარს ზარალობს. „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ რამდენიმე კვირაა, აზერბაიჯანელებისგან ახსნა-განმარტების მიღებას უშედეგოდ ცდილობს. თუმცა, აზერბაიჯანული მხარე ექსპორტის შეჩერების მიზეზებზე არ აღარაკონა. არადა, „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაში“ ათასამდე ადამიანია დასაქმებული და თუ ექსპორტი არ აღდგა, წარმოების და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების შემცირება გარდაუვალი.

ევროპულ ბაზარზე კონტროლის გამკაცრების შემდეგ ქართული თხილის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. 2010 წლის პირველ კვარტალში, ბაზარში ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი მთელი 12%-ითაა შემცირებული. შედეგად თხი-

ლის მაჩვენებლის დათმობა მოუხდეს. ამ შემთხვევაში, მიზეზი სულ სხვაა: იმის გამო, რომ საწარმოს მენეჯმენტმა თანამშრომლებთან მშვიდობიანი მორიგება ვერ მოახერხა, სანარმო გაფიცვამ მოიცვა და წარმოება გაჩერდა.

ეს კი, თავისთავად, ორ მნიშვნელოვან პრობლემაზე მიუთითებს: ერთი მხრივ, შრომის უფლებების თვალსაზრისით არსებულ საკმაოდ სავალალო სურათზე, მეორე მხრივ კი საქართველოს საქართველო პოტენციალის უკიდურეს სიმნირზე, რომელიც ერთი კომპანიის მუშაობს შეფერხების ან გაჩერების გამო, შესაძლოა, უმწვავესი პრობლემის წინაშე დადგეს.

ასეთ ვითარებაში სახელმწიფო შემოსავლების ბაზა შემცირების საფრთხის წინაშე დგას. მართალია, წლის პირველი კვარტლის შედეგად მთავრობა შემოსავლების 1,2%-იან ზრ-

ბიუჯეტს დანაკლისი, სავარაუდოდ, სხვა მხრიდანაც შეიძლება დაემუქროს. მაგალითად, ხუთ მენარმეს „იაფი კრედიტის“ პროგრამით აღებული სესხი ჩამოანერეს. ჯამური თანხა 100 ათას ლარს აჭარბებს, რომელიც სახელმწიფომ და ბიზნესმენებმა, როგორც გამოდის, ერთობლივად წყალში გადაყარეს. ამ თანხით მენარმებმა განმუხურში ე.წ. „ბუნგალოები“ და ლია კაფეები ააშენეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს პერიოდში განმუხური-ანაკლიის მასშტაბური დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობა იწყება, ეს ობიექტები, როგორც გაირკვა, უნდა დაინგრეს. შესაბამისად, პრეზიდენტის ინიციატივით, ამ მენარმეებს იაფი კრედიტის პროგრამით აღებულ სესხის დაპრუნებას აღარ მოსთხოვენ. ცნობისათვის: იაფი სესხის პროგრა-

# ურნალ ლიგარალის შეხვედრა სტუდენტებთან



**13 მაისს, ხუთშაბათს 17 სთ-ზე**

გაიმართება უურნალ „ლიბერალის“ რედაქციის შეხვედრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

**ლიგამუსი,  
ილიაუნის წიგნის მაღაზია**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

91 23 26

899 48 62 41

მა წელს აღარ გაგრძელდა. მიზეზად გაცემული სესხების დაუბრუნებლობა დასახელდა. ახლა, როგორც ჩანს, შემდეგი ეტაპი იწყება – ამ სესხების ჩამონერა ანუ საბიუჯეტო სახსრების (ათეულობით მილიონი ლარის) უშედეგოდ გაფლანგვის აღიარება.

მიღებული სახსრების არდამპრუნებელთა პრობლემა მარტო „იაფი კრედიტის“ პროგრამას არ უდგას. „კრედიტ-ინფოს“ საბანკო სიაში ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა კვლავ იზრდება. მარტო 2010 წლის 1 აპრილის შემდეგ ნეგატიური სესხების ჩანაწერები კიდევ 5,5 ათასით გაიზარდა და უკვე 313 ათასს გადააჭარბა.

მართალია, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ პირველად დაფიქსირდა შემთვევა, როცა საბანკო სექტორმა კვარტალი (2010 წლის იანვარი-მარტი) 15-მილიონიანი მოგებით დაასრულა, მაგრამ ბანკების მიერ მარტის თვის მოგებით დახურვის პარალელურად, სისტემაში ვადაგადაცილებული სესხები კიდევ 5,5 მილიონით – 217 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

ბანკები მოგების მაჩვენებლის ზრდის ძირითად მიზეზად 2010 წლის პირველ კვარტალში გაცემული სესხების მოცულობის ზრდას ასახელებენ. თუმცა, აქ არსებობს ერთი ძალიან საგულისხმო რისკი: ბანკებმა გააძირეს სამომხმარებლო აკრედიტება, რაც, შესაძლოა, ძველი ისტორიის გამეორების საფუძველი გახდეს: კრედიტები, რომლებიც არა შედა ეკონომიკის განვითარებას, არამედ იმ სამომხმარებლო საქონლის შექნას ხმარდება, რომელიც საქართველოში არ ინარმოება, ხელს უწყობს კრიზისის გალრმავებას.

საგულისხმო ისიც, რომ საქართველოს საბანკო სექტორში დეპოზიტების მოცულობამ მორიგი რეკორდი დაამყარა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 1 აპრილისათვის დეპოზიტების მოცულობამ 3,6 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც, 1 მარტთან შედარებით, 62 მილიონით მეტია. ამასთან, დეპოზიტების ზრდის პარალელურად კონცენტრაცია გაიზარდება. ამასთან, დეპოზიტების მოცულობის ზრდა კი უკვე 71,3% სწორედ დოლარშია განთავსებული.

არადა, გავლენიანი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და სარეიტინგო სააგენტოების შეფასებით, ქართული საბანკო სექტორისთვის მაღალი დოლარიზაცია სერიოზული რისკის შემცველია.

ბიუჯეტისთვის კი სარისკოა ლარის კურსის გაუფასურება, რომელიც, მართალია – მცოცავი ტემპით, მაგრამ მაინც აქტიურად ხორციელდება. საქმე ის არის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში საგარეო ვალდებულებების მომსახურებისას, დოლართან მიმართებაში, ლარის კურსი 1,7 პუნქტის ნიშნულზეა განსაზღვრული, 7 მაისის მდგომარეობით კი, ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა უკვე 1,7940 პუნქტი შეადგინა. შესაბამისად, იზრდება ნებს გასასტუმრებელი საგარეო ვალდებულებების რენტბილი აკრეფილი ბიუჯეტიდან იხარჯება.

წელს ბიუჯეტში საგარეო ვალდებულებების გასასტუმრებლად 287,6 მილიონი ლარი გაიწერა. აქედან ვალების მომსახურებისთვის 152,2 მილიონი ლარი დაიხარჯება, ხოლო ძირითადი ნაწილის დაფარვისთვის – 135,4 მილიონი ლარი. საერთოდ, 2010 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საგარეო ვალმა უკვე 3 მილიარდ 522 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მომდევნო წლების ბიუჯეტის საკმაოდ მიმეტ ტვირთია.

მეორე მხრივ, ლარის დაცემა ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლებს გაზრდის (რომელთა დაანგარიშება, უპირატესად, დოლარის კურსით ხდება) და გაზრდილი ინფლაციის პირობებშიც ბიუჯეტი დამატებითი შემოსავლების მიღებას მოახერხებს, თუმცა ეს სოციალურ ფონს კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს. ც



სტატია მომზადდა ეროვნული ფინანსურის ფინანსური დახმარებით, პრიტანელ-ქართული პროფესიულ ქსელის მიერ გამოირჩეული CSE-PFM პროექტის ფარგლებში. სტატიას შენარჩუნებული საუნივერსიტეტო უურნალი „ლიბერალი“. სტატია არ წარმოადგენს ეროვნული პროფესიული ქართული ქსელის პოზიციას.

# "შეღავათი" ჩასი სუჟისტისთვის

„გაი“-ს ნაპრძანები აქვს, რუსი ტურისტები შეიყვაროს.

ადგილობრივ მძღოლებს კი ეს არ ეხებათ.

## ინალ ხაშიგი

საგანგებოდ რუსი შურნალისტების-თვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა იმ გადაწყვეტილების შესახებ ისაუბრა, რომელიც აფხაზეთში საკუთარი ტრანსპორტით ჩასულ რუს მოქალაქეებზე გავრცელდება. ნაპრძანებია მათი არშემჩნევა.

„მე ვუპრძანე შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო ავტონინ-ბეჭის ყველა თანამშრომელი გავაფრთხილე, რომ რუსულნომრიანი მანქანები არ გააჩერონ – არც ერთი მანქანა. თუ ვინმეს დავინახავ ან შემთხვევით დავიჭრ, მაშინვე სამსახურიდან გავაგდებ“, – დაიმუქრა ქვეყნის მეთაური.

პრეზიდენტის მიერ ასეთი ბრძანების გაცემის მოტივი სრულიად გასაგებია – არავსათვის საიდუმლო არ არის, რომ მანქანიანი ტურისტები (ისინი ძირითადად რუსები არიან) საკურორტო სეზონზე აფხაზეთის ინსპექციის თანამშრომებისთვის ოფიციალურ ხელფასზე დამატებულ, გაუთვალისწინებული შემოსავლის კარგ წყაროს წარმოადგენენ. მართალია, ბალაფშს ღიად არ ულაპარაკია, რომ მთელი პრობლემა ფულის გამოძალვა, მაგრამ მისი ის სიტყვები, რომ „საკუთარი უკულტურობის გამომჟღვენების ნაცვლად, ადამიანებს უნდა დავეხმაროთ, როცა მათ ეს სჭირდებათ“ – სწორედ ამ შინაარსს ატარებდა. „რუს ტურისტებს ფული არ გამოართვათ“, – რეალურად თითქმის ასე უღერდა პრეზიდენტის განკარგულება.

თუმცა, ამ განკარგულებას ძნელად თუ დაარქმევ სიახლეს. ყოველ შემთხვევაში, გასული ორი საკურორტო

სეზონის დროს ბალაფშმა ამ აკრძალვის თაობაზე უკვე განაცხადა. მაგრამ, შესაძლოა, იმის გამო, რომ ახლანდელი პრესკონფერენცია სპეციალურად რუსი შურნალისტებისთვის იყო მოწყობილი, იმ ცნობამ, რომ ინსპექციორებმა ქრთამი არ უნდა აიღონ, ერთგვარი სიახლის იმპულსი შეიძინა. რათქმა უნდა, განსაკუთრებული ილუზიები არავის აქვს, რომ ინსპექციის მუშაკები ამიერიდან დაშინდებიან და კანონმორჩილად აარიდებენ თვალს გზაზე რუს მოქალაქეებს. ასე რომ იყოს, მესამე ნელია ზედიზედ, ამის გამოცხადებას აზრიც არ ექნებოდა.

პრეზიდენტის ამ განკარგულების სამართლებრივ ნაწილში სულ სხვა ასპექტია დაფარული; და რაგინდ კეთილშობილური მიზნებითაც უნდა იყოს ის ნაკარნახევი, იურიდიული თვალსაზრისით, აბსოლუტურად გაუმართავია, რადგან იმთავითვე დისკრიმინაციულია. „შეღავათიანი“ მგზავრობა ხომ მხოლოდ რუსებს ეხებათ. სხვა ქვეყნებიდან ჩასული ტურისტები, მართალია, არც ისე ხშირად ირჩევენ თავიანთი დასვენების ადგილად აფხაზეთს, და მათი არშემჩნევა შესაძლებელია. მაგრამ, ადგილობრივ ავტომფლობელებიც, რაღა უნდა უყო? დოკუმენტის ლოგიკიდან გამომდინარე, მათი გაჩერება და „გაწევა“ ისევ ძველებურად შეიძლება, რადგან „ინდულგენცია“ ოფიციალურად რუსებისთვისაა დაშვებული.

სხვათა შორის, თავად რუსეთის ტურინდუსტრიის წარმომადგენლებიც არ არიან განსაკუთრებულად აღფრთოვანებულები სერგეი ბალაფშის განკარგულებით. რუსეთის ტურინდუსტრიის კავშირის პრესმდივანი

ირინა ტიურინა ეჭვობს, რომ მოძრაობის წესების დაუსჯელად დარღვევის ოფიციალური უფლება აფხაზეთში დასვენებისთვის საუკეთესო რეკლამა იქნება და რუსეთიდან ტურისტების მნიშვნელოვან რაოდენობას მიზიდაგავს. „ასეთი ინსტრუქციის მიცემა შეიძლებოდა არა საჯაროდ, არამედ ინსპექტორებისთვის შიდასაუწყებო განკარგულების სახით. ასე კი რაღაც უხერხულად გამოვიდა“, – ამბობს ტიურინა.

შეიძლება ამ განკარგულების არაეფექტურობა არასწორად დასმული აქცენტების ბრალი იყოს. უფრო ლოგიკური იქნებოდა, არა რუს მოქალაქეების გზებზე გაჩერების აკრძალვა, არამედ კორუფციისთვის ტოტალური ბრძოლის გამოცხადება, თუნდაც – გზებზე მაინც. ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ ჩამოსული ტურისტები კი არა, კმაყოფილები იქნებოდნენ ადგილობრივი ავტომფლობელებიც, რომლებიც, ამ განკარგულების კონტექსტში, სამსხვერპლო ცხვრებს უფრო ჰგვანან, ვიდრე საკუთარი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებს. ■

სტატიაში გამოყენებული  
ტერმინლოგია ეკუთვნის ავტორს  
და არა „ლიბერალს“

 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**  
სამსახური კაბინეტი

სტატია მომზადებულია ჰაინრიშ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიშ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

თვესაზრისი

# აგვისტოს ნანგრევებში

ანგარიში „აგვისტოს ნანგრევებში“, იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ მსოფლიოს გავაცნოთ ერთად თავმოყრილი მრავალი ისტორია, ფაქტი და დოკუმენტური მასალა მასობრივად ჩადენილი სასტიკი და არაპუმანური მოქმედებების შესახებ, რამაც ცეცხლის ალში გაახვია ათობით სოფელი, სიცოცხლე წართოვა – ასობით, და საჟუთარი კერა დააკარგვინა ათიათასობით ადამიანს. ქართველებისა და ოსების კეთილმეზობლური თანაცხოვრების პერსპექტივა კი დიდი ხნით გადავადა.

**თინათინ ხიდაშელი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი**

დღეს აგვისტოს ომზე ბევრი ინტერება. კომპიუტერზე ერთი ლილაკის დაწესუნებით ზღვა მასალა მოედინება. ქართული ვერსიები, რუსული ვერსიები, ოსური ვერსიები, ევროპის ხედვა, ამერიკის ხედვა; აგერ უკვე ვენესუელა და ნიკარაგუაც დაინტერესდნენ ჩვენი ბედით. ბევრს წერენ ამის მიზეზებზე, შედეგებზე, გეოპოლიტიკაზე, სხვათა სტრატეგიულ ინტერესებზე, საქართველოს შეცდომაზე, რუსეთის იმპერიულ ამბიციებზე, მაგრამ სულ უფრო და უფრო ნაკლებს ლაპარაკობენ ადამიანურ ტრაგედიაზე, იმ ათიათასობით დევნილზე, რომლებმაც უკვე მერამდენედ დაკარგეს მინა-წყალი და სახლ-კარი, დაკარგეს მშვიდობა. ჩვენი მიზანი სწორედ მათი ისტორიების, ტრაგედიისა და ტკიფილის ფურცლებზე გადმოტანა და კითხვებზე პასუხის ძიება. ამასთანავე, პასუხისმგებლობის მოთხოვნა ყველასთვის, მიუხედავად მათი პოლიტიკური წონის, გავლენისა და სტატუსისა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, 2008 წლის აგვისტოს ომი 90-იანი წლების მობის შესახებ უთქმელი სიმართლის, ჩადენილი დანაშაულისათვის დაუსჯელობის, და თითქმის 20-წლიანი უსამართლობის შედეგიც არის. მხოლოდ ომის მიზეზების და შედეგების ფუნდამენტური კვლევით, დამაშავების დასჯითა და სრული სიმართლით არის შესაძლებელი, გავარღვით 20-წლიანი მოჯადობული წრე და მშვიდობა დაუბრუნოთ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ რეგიონს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში და საქართველოდან ათიათასობით ახალი დევნილი გაჩნდა. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, საქართველოს მრავალ სხვა დიდისა და პატარა ქალაქში ჩვიდმეტი წლის წინანდელი



ტარიელ ბასიშვილი, ბოლო ქართველი ლიახვის ხეობიდან

აჩრდილი დაბრუნდა, სიკვდილის, სისასტკის, სიღარიბის, გაუსაძლისი ყოფის აჩრდილი. საჟაერო დაბომბვით, შეუჩერებელი სროლებით, ალმოდებული სახლებით, საყვარელი ადამიანების დაკარგით შეშინებული ქართველები და ოსები გარბოდნენ და თავშესაფარს ეძებდნენ ყველგან, სადაც ტყვიას არ ისროდნენ და სადაც სიკვდილს დაემალებოდნენ.

74 წლის ერევანი ცოლ-ქმარი – სამსონ და ცილა გახტანგიშვილები თავიანთ ისტორიას სწორედ 17 წლის წინ ნაახისა და განცდილის გახსენებით იწყებრნ. მაშინ, 1991 წელს რუსებმა დაკავეს და ოსებს გადასცეს. სამსონ ვახტანგიშვილი ორი კვირ ტყვეობაში იყო, მას სცემდნენ, აწამებდნენ. მაშინ სმენა დაკარგა და ჯანმრთელობაც შეერყა. ტყვეობიდან გათავისუფლებულმა ცხოვრება თავიდან დაიწყო. ამჯერად ტყვეობას გადაურჩა, მაგრამ მეორედ შეკონიებული ცხოვრება ისევ დაენგრა. ყველაფერი დაეწვა, სახლი, ბალები, ნათესები და 2008 წლის

**დარწმუნებული ვარ, 2008 წლის აგვისტოს ომი 90-იანი წლების ომების შესახებ უთქმელი სიმართლის, დაუსჯელობის, და თითქმის 20-წლიანი უსამართლობის შედეგიც არის.**

12 აგვისტოს სოფელი კიდევ ერთხელ გაურკვეველი დროით დატოვა.

საჟუთარი სახლებიდან კიდევ ერთხელ აყრილი და გაქცეული დევნილები, სამსონ ვახტანგიშვილის მსგავსად, თავს აფარებდნენ სკოლებში, საბავშვო ბალებში, ადმინისტრაციულ შენობებში, ახლობლებთან, ნათესავებთან, უბრალოდ კეთილი ნების ადამიანებთან. გორის, ქარელის, ხაშურის რაიონების, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონტის, კოდორის ხეობების მოსახლეობა მორბოდა და მათ

უკან მოსდევდა ბოლო 20 წლის მანძილზე ორ ომგამოვლილი საქართველოსათვის უწეველი სისასტიკე. ინვოდა და ნადგურდებოდა ყველაფერი, რაც ამ ადამიანებს თავის წარსულთან და ანშესათან აკარგშირებდა. იმ დღეებში ვიღდაცამ თქვა, – აი, თურმე რას ნიშნავს „აღიგავა პირისაგან მინისაო“. ამ სიტყვებმა ყველა ქართველისათვის მნიშვნელობა შეიძინა და მნარე რეალობად იქცა.

წინამდებარე ნაშრომის ამოცანა არ არის ჭეშმარიტების დადგენა, მაგრამ შევეცადეთ, გაგვერდვა უსაზღვრო პროპაგანდისტული ლაბირინთი და ჩვენი მკვლევრების მიერ გამოკითხული ათასობით თვითმმილველის მონათხრობის საფუძველზე აღვედგინა დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობასა და გორის რაიონში 2008 წლის აგვისტოში დატრიალებული ტრაგედია. ჩვენ წელიწადნახევრის განმავლობაში სიმართლეს ვეძებდით. რადგან მტკიცედ გვნამს, რომ მხოლოდ სიმართლით შეიარაღებული შევძლებთ ხვალინდელი დღის შენებას, თანაცხოვრებას და მშვიდობის მოპოვებას.

ისტორია გვასწავლის, რომ ომის პირველი მსხვერპლი სიმართლეა. ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, არსებობს ორი სიმართლე, ორი ისტორია, რომელსაც მხარეები ჰყვებიან, პროპაგანდისტული საშუალებები ტირაჟირებენ, ფილმებს იღებენ და ყველა დროის ხელისუფალი საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებისათვის იყენებენ. ომში ხმირად მართლაც ორი სიმართლეა, ორივე მხარე, შესაძლოა, გულწრფელია გადაწყვეტილების მიღების მომენტში, დარწმუნებულია, რომ ომი კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალია, ან მოსალოდნელი უზრო დიდი უზრდურების თავიდან აცილებისათვის ყველაზე სწორი არჩევანია. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიყდეს, რომ ომს ისტორიულად ურჩითა დასჯის საშუალებადაც იყენებდნენ. სწორედ ამიტომ ისტორია ხმირად წინააღმდეგობრივია – ისტორიული ფაქტები, გეოგრაფია, ციფრები, თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა, გმირები და ჯალათებიც განსხვავებული არიან.

აგვისტოს ომს თითქმის ორი წელი გვაშორებს. რეალობა სახეზეა, ემოციები ცოცხალია, ადამიანების უმრავლესობა კვლავაც დევნილობაში ცხოვრობს; მეტიც, მოძალის შიში და უარესის მოლო-

დინი პერიოდულად კიდევ უფრო ამძიმებს მათ ყოველდღიურობას. სწორედ ამგვარი რეალობით დამძიმებულებმა, ომის ენ. „ცხელი ფაზის“ დასრულებისთანავე გადაწყვეტილ სიმართლის ძიება.

► სიმართლის, რომელიც ცხინვალში დაბობილ და დანგრეულ სახლებშია დამალული;

► სიმართლის, რომელიც გადამზვარი ქართული სოფლების ფერფლითა დაფარული;

► სიმართლის, რომელიც სიკვდილს გამოქცეული ქართველების ნაღვლიანთვალებში იკითხება;

► სიმართლის, რომელიც ტყვეობაში მყოფი, ნაწამები და შეურაცხყოფილი ქართველებისა და ოსების ქრილობებში ჩანს;

► სიმართლის, რომელიც ომის გმირების საფლავებში ჩაიკარგა.

ჩვენ არც პროფესიონები ვართ და არც მოსამართლები, რომ საპრალდებო დასკვნა დავწეროთ ან ვინმეს განაჩენი გამოვუტანოთ. ჩვენი მიზანი არ არის ვინმეს გასამართლება. მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მშვიდობისა და მომავალში გარდაუცალი თანაცხოვრებისათვის სიმართლის პოვნა ყველას გვჭირდება: მსხვერპლსაც და ჯალათსაც, შორიდან მაყურებელსაც და ტრაგედიის თანამონანილესაც.

შეუძლებელია, ათასობით ადამიანის ტრაგედია მხოლოდ საინფორმაციო ომის კუთვნილებად იქცეს, სადაც მჭევრმეტყველი კომენტატორები პერიოდულად შეახსენებენ ერთმანეთს 2008 წლის

აგვისტოს და ნიშნის მოგებით ჩადენილ დანაშაულზე მიუთითებენ. ვფექტობთ, არც ის იქნება სამართლიანი, თუკი შიდა ქართლის მოსახლეობის ტრაგედია მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში აისახება, სადაც ხმირად სიმართლე გროვლიტიკური მიზანების მიზანების ან პოლიტიკური კორექტულობის მსხვერპლი ხდება.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირე ტერიტორიით და მცირე მოსახლეობით. შიდა ქართლი უზარმაზარი დედმინის კიდევ უფრო პატარა წერტილია. შესაბამისად, ჩვენი ტრაგედიის მასშტაბი ვერასოდეს გაუტოლდება გენოციდის რეანდაში, ეთნურ წმინდას ყოფილ იუგოსლავიაში, დარფურისა და კამბოჯის ტრაგედიას. მაგრამ ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირით შეუძლებელი და უსამართლოა პასუხისმგებლობისაგან გათავსუფლების ლეგიტიმაცია. თუკი დანაშაული ჩადენილია, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი. საერთაშორისო სამართლი და დემოკრატიული სამყაროს მიერ შექმნილი დაცვის მექანიზმები თანაბრად უნდა მოქმედებდეს ყველა შემთხვევაში და იმისდა მოზედავად, თუ რა ზომის ან გავლენისაა ესა თუ ის სახელმწიფო. მსოფლიო წესრიგის კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენება და ორმაგი სტანდარტით მოქმედება კაცობრიობას საბოლოოდ გაცილებით მძიმე შედეგებამდე მიიყვანს, ვიდრე – ათასათასობით უფლებაყრილი ქართველი დევნილისათვის საკუთარი სიმართლის დამტკიცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. **■**

## ნებაჩიში აბვისტოს ნებაჩვებში

5 მაისს ფრიდმა „ლია საზო- გადოება-საქართველოში“	ვად ჩადენილ სასტრი და არაპემნურ ქმედებას	გეგმავს. სასამართლოში უკვე დევს რესერის სახელ- მწიფოს სარჩელი საქართვე- ლოს წინააღმდეგ საქარ- თველოს ხელისუფლებას
და სუმა არასამათავრობო	ასახავს. წინის ტრიაჟი 1000	კი კურვების სასამარ- თლოსთვის იუგიცალურად არ მიუმართავს. თუკი პასუხისმისამართლის სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
ორგანიზაციაში 2008 წლის	ცალია და ის ორ ენაზე – აგვისტოს რესერ-საქართვე- ლოს ომის დროს ადამიანის	რიცხვის სამართლის მისმა გამოიცა. ანგარიში მისმა უფლებათა და პუბლიკობრივი მოქმედება თებერვლის ბოლოს პალიტა საკუთარი სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
აგვისტოს რესერ-საქართვე- ლოს ომის დროს ადამიანის	გამოიცა. ანგარიში მისმა უფლებათა და პუბლიკობრივი მოქმედება თებერვლის ბოლოს პალიტა საკუთარი სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>	კი კურვების სასამარ- თლოსთვის იუგიცალურად არ მიუმართავს. თუკი პასუხისმისამართლის სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
უფლებათა და პუბლიკობრი- ვლის ბოლოს პალიტა საკუ- თარი სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგე- ნის შესაძლებლობის წართმე- ვა. ასე არასამათავრობო	ავტომობილის გამოიცა. ანგარიში მისმა უფლებათა და პუბლიკობრივი მოქმედება თებერვლის ბოლოს პალიტა საკუთარი სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>	კი კურვების სასამარ- თლოსთვის იუგიცალურად არ მიუმართავს. თუკი პასუხისმისამართლის სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
რესერ-სამათლის წირის მისმა უფლებათა და პუბლიკობრი- ვლის ბოლოს პალიტა საკუ- თარი სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგე- ნის შესაძლებლობის წართმე- ვა. ასე არასამათავრობო	ასახავს. წინის ტრიაჟი 1000	კი კურვების სასამარ- თლოსთვის იუგიცალურად არ მიუმართავს. თუკი პასუხისმისამართლის სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
200- გვერდიან ნაშრომს,	პროკურორი ლუს მარჯნო	განვითარებულ გამოიცა. ანგარიში მისმა უფლებათა და პუბლიკობრივი მოქმედება თებერვლის ბოლოს პალიტა საკუთარი სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
რომელიც 1000-ზე მეტი	ოკამპო იუნისს დასაწყისში	კი კურვების სასამარ- თლოსთვის იუგიცალურად არ მიუმართავს. თუკი პასუხისმისამართლის სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
დევნილი ოჯახის ჩვენებას	საქართველოში ვაზიტს,	კი კურვების სასამარ- თლოსთვის იუგიცალურად არ მიუმართავს. თუკი პასუხისმისამართლის სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
ეფუძნება და საქართველოს	დენისილებთან შეცვერდას და	კი კურვების სასამარ- თლოსთვის იუგიცალურად არ მიუმართავს. თუკი პასუხისმისამართლის სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>
ტერიტორიაზე მასობრივი	საქმის ადგილზე შესწავლას	კი კურვების სასამარ- თლოსთვის იუგიცალურად არ მიუმართავს. თუკი პასუხისმისამართლის სიმართლის დამტკი- ცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევა. <b>■</b>

# გაცნობისახალი სამსახური

24-ე სკოლაში მომხდარმა ინციდენტმა მანდატურების საპილოტე პროგრამის მთავარი ხარვეზი გამოავლინა.

რუსულან ფანოზიშვილი



მანდატურები სკოლაში

ფოტო ლევან ბრიანაძე

მანდატურების სკოლებში შესვლი-დან ერთი კვირის შემდეგ ტელეარხებზე ახალი კლიპი გამოჩნდა, რომელიც სკოლაში იდილიურ სიტუაციას აღნერს: სასამოვნო მუსიკის ფონზე, მანდატურები სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში ეხმარებიან, კეთილად უღიმიან, რჩევებს აძლევენ, ეთა-მაშებიან კიდევ. კლიპის დასასრულს, გა-სარებულ ბავშვებს ხელს გადაჭვევენ და კლასისკენ ერთად მიემართებიან. ბოლო კეთილია – მანდატურები და ბავშვები

დამეგობრდებიან, ყველა ბეჭნიერი და კმაყოფილია. კლიპის თანმხლები ტექსტი კი იუწყება, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინ დაწყებული პროექტის წარმატებით გასაგრძელებლად უკვე მანდატურობის მსურველთა ახალ ნაკადს იწვევენ მოსამზადებლად.

რეალობა კი კლიპში დადგმული სიტუაციისგან ოდნავ განსხვავდება. „ამ კლიპმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბავშვების გაღიზიანებას. მათ ტელევიზორში ნახეს, როგორები უნდა ყოფილიყვნენ, თურმე,

**■ „მანდატურების კონტროლის უფლება თვითონ სკოლას უნდა მისცე, თუმცა ეს გამორიცხულია მაშინ, თუ სამინისტრო გარედან დანიშნავს მანდატურს, ხელფასს მისცემს, ფორმას ჩაცვამს და მისი ყველა ნაბიჯი ეცოდინება“.**

მანდატურები და როგორ იქცეოდნენ  
ისინი სინამდვილეში”, – აღნიშნავს 24-  
ე სკოლის ფსიქოლოგი და მე-11 კლასის  
დამრიცხებელი მზია რუხაძე.

24-ე სკოლაში პროგრამის დაწყები-  
დან ერთ კვირაში მანდატურებსა და მე-  
11 კლასელ ლუკა ნაცვლიშვილს შორის  
მომხდარ კინზღლიქტს პავშვების პრო-  
ცესტი მოჰყვა. ლუკა მასნავლებელმა  
გაკვეთილიდან ცოტა ხნით იმიტომ გა-  
მოუშვა, რომ ცუდად იყო და აუცილე-  
ბლად უნდა ეჭამა საჭმელი. მანდატურე-  
ბმა კი გაკვეთილის დროს გარეთ მყოფი  
მოსახვლე რომ დაინახეს, კლასში და-  
ბრუნება მოსთხოვეს. ამ დიალოგს სკო-  
ლის მასნავლებელი რუსუდან თევზაძე  
შეესწრო, რომელიც იხსენებს: „ლუკა  
პოლში იდგა და მანდატურებს ხენწით  
უხსნიდა, რომ მასნავლებელმა გამოუშვა  
და აუცილებლად უნდა შეეჭამა ფუნიუ-  
შა, თორემ ცუდად გახდებოდა. მანდა-  
ტურები კი ისევ უმეორებდნენ, ხმამა-  
ლალ ტონზე, მე მომეჩვენა უხეშად, რომ  
კლასში უნდა დაბრუნებულიყო. ლუკა  
ემოციური ბავშვია, სხვაგვარად მიმარ-  
თვა უნდა“.

რუსულან თევზაქემ მანდატურებისა  
და ლუკას დახმარება გადაწყვიტა და ისე,  
რომ მანდატურებს არც დალაპარაკებია,  
ლუკას სასწავლო ნაწილთან წაყვანა სცა-  
და. პრობლემაც ამ დროს დაიწყო: მან-  
დატურებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა  
ის, რომ რუსულან თევზაქემ მოსწავლე  
სასწავლო ნაწილთან მათ დაუკითხავად  
ნაიყვანა. მოგვიანებით თევზაქეს ისიც  
უთხრეს, რომ როცა მანდატური ბავშვს  
შენიშვნას აძლევს, იქ მასწავლებელს ჩა-  
რევის უფლება არ აქვთ. თუმცა, ამგვარი  
აკრძალვის შესახებ არა მხოლოდ თევზა-  
ქემ, არც სხვა მასწავლებელებმა წინასწარ  
არაფერო იცოდნენ.

მოგვიანებით მანდატურებმა მოსწავლე თავიანთ თოახში მარტო შეიყვანეს, მასწავლებლებს კი კარი მოუხურეს და არც ერთი მათგანი შეგნით აღარ შეუშვეს. მასწავლებლები მათგან არც ასეთ საქაზიელს ელოდნენ.

გაუგებრობა 24-ე სკოლაში მოსწავლეებს, მასნავლებლებსა და მანდატურებს შორის პროგრამის დაწყების დღიდან მწიფებრივი დოკუმენტი მოსწავლეები ისსენებენ, რომ თავიდან ისინი სკოლის ახალი თანამშრომლების წარბეჭერულმა სახეებმა გააღიზიანა. მათი თქმით, მანდატურები მოსწავლის დაიწყებით უჩიტეს მი-

მართავდნენ და აგდებულად ექცეოდნენ. შემდეგ კი წესებსაც არღვევდნენ და ბავშვებს უფლებების გადამეტებით შერეკლნენ.

„ტუალეტში შემოდიოდნენ და  
გვჩერეკვდნენ, ტანზე ხელის შეხებით.  
ამის უფლება, როგორც ვიცით, არ ჰქონ-  
დათ, — იხსენებს სკოლის მოსწავლე ნაკა-  
ქურდაძე, — გარდა ამისა, „ნუ მებლატა-  
ვები“ და ასეთი ტერმინებით მოგვმარ-  
თავდნენ“. მის მონაყოლს სკოლის სხვა  
მოსწავლები და ზოგიერთი მასწავლებე-  
ლიც ადასტურებს. ღუკა ნაცვლაშვილი-  
სა და მანდატურების შელაპარაკება პიკი  
აღმოჩნდა.

ამ პატარა ინციდენტშია ამდენი  
გაუკვევლობა იმიტომ წარმიშვა, რომ  
მანდატურების ქცევის განმსაზღვრელი  
შინაგანანერის ჯერ სკოლებისთვის არა-  
ვის წარუდგენია. სკოლის დირექტორი  
გა მურღულია ამბობს, რომ გარკვეუ-  
ლი ქცევის წესები პროგრამის დაწყების  
დროს მასწავლებლებს, მართალია, გააც-  
ნეს, მაგრამ „სასკოლო ცხოვრებას ახლა-  
ვს უამრავი ნიუანსი, ყველაფერს ერთად  
ვერანარი კოდექსის ვერ გაითვალისწი-  
ნებს“. წესების იმ ნუსხაში, რაც მასწავ-  
ლებლებს წარუდგინეს, ასეთი დეტალები  
განსაზღვრული არ არის. გაუგებრობები  
კი სწორედ დეტალების გამო ხდება.

თუმცა, დიდი გეგმების მიუხედავად,  
ჯერ არც განათლების სამინისტროში  
და არც რომელიმე სხვა სამთავრობო  
უწყებაში არ შექმნილა განყოფილე-  
ბა, რომელსაც მხოლოდ მანდატურების  
ხელმძღვანელობა და მათი მუშაობის  
გაკონტროლება დაევალუდოდ. და ვი-  
დრე ასეთი განყოფილება შეიქმნება,  
მანდატურებს განათლების სამინისტროს  
ადმინისტრაციის უფროსის ხელმძღვანე-  
ლობს.

„სკოლაში რომ შემოდიხარ, სკოლის  
ნაწილი უნდა იყო. ამისკთვის საჭიროა

ბავშვების ფსიქოლოგის კარგად ცოდნა,  
- ამბობს მზია რუხაძე, რომელიც, 14  
წელია, სკოლის ფსიქოლოგად მუშაობს,  
- ბავშვებს მეგობრულად უნდა მიუდგე  
და არა ისე, მკაცრად, ნარბების შეკვრით  
და მბრძანებლური ტრინით ესაუბრო.  
ჩემი აზრით, მნიშვნელურებს გამოყდილე-  
ბა აკლდათ. ბავშვებს, მაგალითად, ფა-  
მილარული მიმართვაც კი აღიზიანებთ.  
როთულ ასაკში არიან“.

თუმცა, 24-ე სკოლის მანდატურები ფიქრობენ, რომ ბავშვთა ფსიქოლოგია კარგად იციან. ერთი მათგანი ყოფილი უურნალისტია, ორი – იურისტი. მათ მსგავსად, სკოლის მანდატურებად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები შეარჩიეს და სკოლაში მუშაობის უფლება სამკვირიანი გადამზადების შედეგად მისცეს. 24-ე სკოლის მანდატური, ეკა უგრეხელიძე ამბობს, რომ ყველაზე მეტად სამკვირიანი კურსიდან ბავშვთა ფსიქოლოგია გამოადგა და მიაჩინა, რომ ეს საგანი სამი კვირის მანძილზე კარგად აითვისა. ლუკა ნაცვლიშვილთან შელაპარაკებას ეკა უგრეხელიძე და დანარჩენი მანდატურები კონფლიქტად არ აღიქვამენ. მათი აზრით, ბავშვი, რომელიც დერეფანში ფუნითუშას ჭამდა, გაკეთოლის მიმდინარეობის დროს კლასში აუცილებლად უნდა დაბრუნებლიყო. 24-ე სკოლის მანდატურები იმასაც ამბოქენ, რომ პრობლემა ბავშვებთან არ შექმნიათ, საქმეს თავს წარმატებით ართმევენ და ზუსტად ისეთ მეგობრულ ურთიერთობას აღწერენ, როგორც სატელევიზიო კონკრეტულად.

მანდატურების საჭიროება სკოლებში  
მზარდი ძალადობის გამო გაჩნდა. შს სა-  
მინისტროს მონაცემებით, ბოლო პერიო-  
დში სკოლებში დანაშაულები გაშვირდა.  
სკოლებში არსებულ ძალადობას UNICEF-  
ის კვლევაც ადასტურებს. თუმცა, ამ  
კვლევის მიხედვით, მოზარდების ძა-  
ლადობა საქართველოს რეგიონულ სკო-  
ლებში უფრო მწვავე პრობლემად დგას,  
ვიდრე – თბილისში. მოუხდავად ამი-  
სა, რეგიონების სკოლები მანდატურების  
საპილოტე პროგრამაში არ მოხვედრილა  
და მათი ჩართვა არც პროექტის მეორე  
ეტაზზე იგეგმება. განათლების სამინის-  
ტრო მომავალი სასწავლო წლიდან 600  
მანდატურს ისევ თბილისის სკოლებში  
გათანაწილებს.

ძალადობის პრობლემას 24-ე სკოლის  
მასწავლებლებიც ხელავანი, მათი აზრით,

ადამიანის უფლებების დაცველს,  
თამარა კარასტელევას, რომელ-  
საც მწვავე ლეიკემია აქვს და  
ქიმიოთერაპიის კურსს გადის,  
სასწრაფოდ ესაჭიროება დახმა-  
რება.  
ანგარიშები გახსნილია დოლარში,  
რუბლსა და ევროში.

## ჩიბი

Акционерное общество "Банк ВТБ  
(Грузия)"  
ИНН 202906427  
К/С 30111810855550000052RUR  
в ОАО "Внешторгбанк"  
Москва, Россия  
К/С 30101810700000000187  
БИК 044525187  
Получатель: Карапетев Алексей  
Вадимович  
Р/С 217654516 RUR  
Адрес получателя: г. Тбилиси, ул.  
Абашидзе 26 а, кв. 14  
ИНН получателя: 231517866804

## ეზემ

At: VTB Bank Georgia (Virtual Branch)  
SWIFT: UGEBGE22610  
At: VTB BANK (DEUTSCHLAND) AG  
FRANKFURT, GERMANY  
SWIFT: OWHBDEFF  
ACC: 217654516  
NAME: Karastelev Alexey Wadimovich

## ემცენი

At: VTB Bank Georgia (Virtual Branch)  
SWIFT: UGEBGE22610  
At: Deutsche Bank Trust Company Americas,  
New York, USA  
SWIFT: BKTRUS33  
ACC: 217654516  
NAME: Karastelev Alexey Wadimovich

ამ საკითხის გადასაჭრელად ეს კარგი ნო-  
ვაცია იყო. თუმცა, პედაგოგები იმასაც  
ამბობენ, რომ მანდატურები სკოლაში შე-  
სასვლელად არასაკმარისად მოამზადეს.  
ამით ხსნიან ისინი ბავშვების პროტესტს,  
როცა ლუკა ნაცვლიშვილთან მომხდარი  
შელაპარაკების შემდეგ უფროს კლასელე-  
ბი სკოლის ეზოში შეიკრიბნენ და მანდა-  
ტურებს პროტესტი გამოუცხადეს.

სკოლის დირექტორი გია მურულია  
ამბობს, რომ სკოლაში ინციდენტი არ  
მომხდარა, ეს უბრალო გაუგებრობა  
იყო და ყველაფერი მოგვარებულია. „ეს  
პროგრამა საპილოტეა, ყველანი დე-  
ბიუტანტები ვართ და რაღაც კითხვები  
პროცესებს ყოველთვის ახლავს ხოლ-  
მე... პილოტირების მთავარი აზრი არის  
ის, რომ ჩვენ ყველამ ერთად ვისწა-  
ვლოთ თანამშრომლობა“, – ამბობს  
მურულია.

ის, რასაც ქართულ საჯარო სკოლებში  
დღეს სწავლობენ, ამერიკის შეერთებული  
შტატების სკოლებში მეოცე საუკუნის  
60-იან წლებში დაწერეს. ამერიკულ  
სკოლებში ოფიცირებს თვითონ სკოლე-  
ბი ირჩევენ. იმასაც სკოლები წყვეტენ,  
როდის და რომელი ოფიცირი იქირაონ,  
ან გაათავისუფლონ. საქართველოსგან  
განსხვავებით, ამერიკელი „მანდატურე-  
ბი“ არც რომელიმე სამინისტროს მიერ  
დანიშნული სამსახურის წარმომადგენ-  
ლები არიან. ეს იქ სკოლების ავტონო-  
მიურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

„კონტროლის უფლება თვითონ სკო-  
ლას უნდა მისცე, – ალნიშნავს განათლე-  
ბის ექსპერტი სიმონ ჯანაშია, – თუმცა  
ეს გამორიცხულია მაშინ, თუ სამინის-  
ტრო გარედან დანიშნავს მანდატურს,  
ხელფასს მისცემს, ფორმას ჩაცვამს  
და მისი ყველა ნაბიჯი ეცოდინება“.

24-ე სკოლაში მომხდარი გაუგებრო-  
ბის შემდეგ მასწავლებლებმა განათლე-  
ბის სამინისტროს შესთავაზეს, – სხვა  
მანდატურები დაგვინიშნეთ, რადგან  
მათ მიმართ ნდობის ალდგენა რთული  
იქნებათ. თუმცა თხოვნა არ დაუგმაყო-  
ფილეს. სკოლის მანდატურები ამბობენ,  
რომ ამ ინციდენტს დროს მათ სამინის-  
ტროსგან შენიშვნა არ მიუღიათ, რადგან  
„სიმართლე ჩვენს მხარეს იყო“.

მანდატურებს სკოლაში „გარეშე პი-  
რებად“ აღიქვამენ იმიტომაც, რომ მათ,  
სკოლის სხვა თანამშრომლებთან შე-  
დარებით, მაღალი ხელფასები აქვთ.  
მანდატურის საშუალო ანაზღაურება

მასწავლებლებისას დაახლოებით ორ-  
ჯერ აღემატება. „ჩვენ სამ ლარზეც გვი-  
მუშავია, ეგ არაფერი, მაგრამ ახლა რაც  
ხდება, ეს ჩვენი მორალურად გადავლაა.  
ძალაუფლება ვისაც აქვს, ის არის ყვე-  
ლაფერი“, – ამბობს 24-ე სკოლის გეო-  
გრაფიის მასწავლებელი რუსუდან კიკ-  
ნაძე.

UNICEF-ის კვლევა კიდევ იმითაც  
არის მნიშვნელოვანი, რომ „ძალადო-  
ბაში“ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ  
ფსიქოლოგიური ძალადობაც იგუ-  
ლისხმება. გარიყვა, ჩაგვრა, ფსიქო-  
ლოგიური ზეწოლა – სკოლის მოსწავ-  
ლებს შორის ესეც არანაკლებ მწვავე  
პრობლემაა, რომელსაც ყურადღების  
მიქცევა სჭირდება. თუმცა, ეს უკვე,  
წესით, მანდატურების მოვალეობებს  
ცდება და სკოლების ფსიქოლოგების  
კომპეტენცია უფროა. მასწავლებლე-  
ბიც ამტკიცებენ, რომ კონფლიქტების  
აღმოფხვრაში ფსიქოლოგის როლის  
გაძლიერება აუცილებელია.

თუმცა, განათლების სამინისტრო  
საკუთარ პრიორიტეტად ჯერვერობით  
მხოლოდ სასკოლო დისციპლინის და-  
მყარებასა და მოსწავლების ფიზიკურ  
უსაფრთხოებაზე ზრუნვას აცადებს,  
ისიც – ამ ეტაპზე მხოლოდ თბილისის  
საჯარო სკოლებში. ამ პროცესის მთავა-  
რი ხარვეზია სკოლასა და მანდატურე-  
ბს შორის ბუნდოვნად ჩამოყალიბებული  
უფლება-მოვალეობები, სამინისტროს  
მხრიდან სკოლის თვითმმართველობის  
უგულებელყოფა და მანდატურების  
არასაკმარისი მომზადების დონე. კონ-  
ფლიქტი 24-ე სკოლაში ერთ კერძო შე-  
მთხვევად მაშინ შეიძლება დარჩეს, თუ,  
განათლების სამინისტრო მანდატურე-  
ბის პროექტის შემდეგ ეტაპზე ზრუნვის  
პარალელურად, პროექტის დასაწყისში  
გამოჩენილი ხარვეზების სწორად გა-  
ანალიზებას შეძლებს.

P.S. „ლიბერალი“ მანდატურების პროე-  
ქტთან დაკავშირებით რამდენიმე დღის  
განმავლობაში ცდილობდა პასუხის მი-  
ღებას სამინისტროს ადმინისტრაციული  
სამსახურის ხელმძღვანელისაგან, რომელ-  
საც ამჟამად მანდატურების საკითხე  
პასუხისმგებლობა ევალება. თუმცა, პა-  
სუხები ვერ მივღეთ, და ამიტომ სტა-  
ტიაში სრული სურათის შექმნისთვის  
არაერთი მნიშვნელოვანი კითხვა უპასუ-  
ხდდ დარჩა. ■

სახელმწიფო კიბილი

# პრეზიდენტის ცალისი 2010

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შექმნისა და გაცემის საკითხს ერთპიროვნულად კურირებს მიხეილ სააკაშვილი. პრეზიდენტი სახელმწიფო ჯილდოებს პოლიტიკური საჭიროებების შესაბამისად აწესებს და გასცემს.

## ნინო რობაქიძე



მიხეილ სააკაშვილმა იღია II პრეზიდენტის საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვა, 6 აპრილი 2010

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, სახელმწიფო ჯილდოებს ახალი პრემია შეემატება – მედალი სამოქალაქო თავდადებისთვის.

„ეს მედალი გადაეცემათ იმ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებიც ყველანარი ვალდებულების გარეშე ჩაიდენენ სამოქალაქო გმირობას. წარმოიდგნეთ, ადამიანი რომ მტკვარში იხრჩობა და ჩვეულებრივი გამვლელი რომ უშევლის, ხომ არ არის მოვალე? მაგრამ ის მამაცი მოქალაქეა. ასეთი ადამიანებიც არიან“, – განმარტავს პრეზიდენტის ადამიანისტრაციის საპარლამენტო მდივნის მოადგილე, ირაკლი გორდულაძე.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს უკვე მეშვიდე ახალი სახელმწიფო ჯილდოა. ლვანლმოსილი ადამიანების დაჯილდოების ცერემონიები კი – ან ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ მღელვარებას, უფრო ხშირად კი წინასაარჩევნო კამპანიას ემთხვევა.

ყოველი შემთხვევისთვის, ასეთია ტრადიცია. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე, პრეზიდენტის ურადების ცენტრში მოექცენ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ საზღვრის უკანონო გადაკეთის ბრალებით დაკავებული ურნალისტები – მალხაზ ბასილაა და დავით წონირია. მათი ტყვეობის ეპონისა და ტყვეობიდან გათავისუფლების ლოგიკური დასასრული იყო დიდი ზარზემი, რომელიც ფართოდ გააშექს ნაციონალურმა მაუწყებლებმა – როგორ უხდის პრეზიდენტი მადლობას უურნალისტებს გმირობისთვის და როგორ აჯილდოებს მათ ღირსების ორდენებით.

წინასაარჩევნო დაჯილდოების რიტუალზე, 2008 წლის განსაკუთრებულად ცხელი თემის – აფხაზეთის – სათაურქებში გაერთიანდა ერთი წლით ადრე განმუხურის პატრიოტთა ბანაკის ინციდენტის დროს „რუსთავი 2“-ის უურნა-

ლისტის ემა გოგოხიას გმირობაც.

„მე ვნახე ემა გოგოხია საკუთარი თვალით, როცა მნ ჩაიდინა ნამდვილი სამოქალაქო და საპრძოლო გმირობა. მან იმ კადრების მოსაპოვებლად, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა, გარისკა საკუთარი სიცოცხლე პირადად ჩემ თვალწინი“, – განაცხადა პრეზიდენტმა საზემო ცერემონიალზე.

კანონის მიხედვით, ორდენებითა და მედლებით დამსახურებულ ადამიანებს სწორედ სახელმწიფო მეთაური აჯილდოებს, მაგრამ კანდიდატების წარდგენა ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროების და სხვა რესპუბლიკური უწყებების მიერ ხდება. თუმცა ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ ვინ წარადგინა სახელმწიფო ჯილდოს კანდიდატად ან ემა გოგოხია, ან სულაც „პრეზიდენტის საპრეზიდენტო ორდენი“ დაჯილდოებული საზოგადო მოღვაწეები, „ლიბერალმა“ ვერ მოახერხა.

დაინტერესებული ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი არ არის არც დღემდე გაცემული 12 სახელმწიფო ჯილდოს კავალერთა სრული სია და არც იმ თანხის ზუსტი ოდენობა, რაც სახელმწიფო ჯილდოებს კონკრეტულ შემთხვევებში ახლდა თან. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი იმ მიზეზით თქვა, რომ ინფორმაცია დიდი მოცულობის იყო.

ამ თემაზე საუბარი არ ისურვეს არც საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა. შესაძლოა, მათი საერთო უარის მიზეზი ისიც იყოს, რომ ჯილდოები პრეზიდენტის ექსელუზივია, რაზეც კომენტარის გაკეთება სხვებს უჭირთ. სააკაშვილი არა მარტო პირადად გადასცემს ჯილდოებს გმირებს, არამედ უშეალოდ წყვეტს დასაჯილდოებელი მოქალაქეების სიასაც. მას არასდროს

გამოუყენებია კანონით დაშვებული შესაძლებლობა, დაევალებინა ამ საპატიო მისის განხორციელება ან პრემიერმინისტრისთვის ან პარლამენტის თავმჯდომარისთვის.

4 მაისს ინიცირებული სამიერადაქო თავდადების მედლამდე, ახალი ჯილდოების – პრეწინვალების საპრეზიდენტო ორდენის, წმინდა ნიკოლოზისა და თამარ მეფის ორდენების შემოღება შარშან ზაფხულს გადაწყვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საკითხის პარლამენტში წარდგენისას, არგუმენტად ის მოიყვანა, რომ შევარდნაძის პრეზიდენტის დროს დაწესებული 9 სახელმწიფო ჯილდო „სრულად ვერ უზრუნველყოფდა იმ პიროვნებათა დავანლის სათანადო შეფასებას, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძვით ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე“.

დაჯილდოების ამ „მოუქნელი“ სისტემის დასახვენად ახალი ჯილდოები 2004 წელსვე დაწესდა. დაჯილდოების ბოლო ცერემონიალი 6 აპრილს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა. პრეწინვალების

როგორც „პრეწინვალების საპრეზიდენტო ორდენი“; თანაც ეს ერთადერთი სახელმწიფო ჯილდოა, რომელშიც სიტყვა „პრეზიდენტი“ ფიგურირებს.

საქართველოს სასახელო მოქალაქეების დაჯილდოების იდეა ყოფილ პრეზიდენტს – ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. თუმცა მის მიერ გაცემულმა ერთ დროს ძვირფასმა ჯილდოებმა დღეს ბევრისთვის ფასი დაკარგა. გიგლა აგულაშვილი, რომელიც ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის გამოძიებისთვის ყოფილმა პრეზიდენტმა ღირსების ირდენით დააჯილდოვა, ამბობს, რომ ამ ჯილდოს დღეს ბიოგრაფიაშიც არ წერს. „ბოლოს ისე არიგებდნენ ამ ორდენებს, რომ, შეიძლება ითქვას, უმაღავ ამ ჯილდოს, არადა როცა მივიღე, ძალიან მნიშვნელოვანი მეგონა“, – ამბობს აგულაშვილი.

დღეს დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოა ეროვნული გმირის ირდენი. რამდენიმე თვის წინ მისი

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისნები არიან ნანი ბრეგვაძე, ნინა წერიალაშვილი, ნინი ბადურაშვილი, ზუმბა, ლექსენი, მირზა დავითაია და კახაბერ ბუხრაშვილი. პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სახელმწიფო ჯილდოების დებულებაში კი წერია, რომ „ვახტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის“.

ცხადია, ნანი ბრეგვაძის, ზუმბასა და დანარჩენების საბრძოლო მომზადების დონე არავის შეუმომზებია. საქართველოს პრეზიდენტმა ამ ადამიანებს კლიპის „გამარჯობა აფხაზეთო შენის“ შექმნა დაუფასა. ასე გახდა ლექს-სენი – იმ ორდენის კავალერი, რომელსაც,

## ■ ნანი ბრეგვაძის, ზუმბასა და დანარჩენების საბრძოლო მომზადების დონე არავის შეუმონმებია. საქართველოს პრეზიდენტმა ამ ადამიანებს კლიპის – „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ შექმნა დაუფასა.

საპრეზიდენტო ორდენი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ერთად, სხვადასხვა პროფესიის 16 წარმატებულ ადამიანს ერგო, მათ შორის – ექიმ ფრიდონ თოლდუას, მწერალ გურამ დორიანშვილს და არქიტექტორ მიკელე დელურის, რომელმაც საქართველოში პრეზიდენტის სასახლის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი შენობის და ევროპის მოედანზე აშენებული ახალი ხიდის პროექტი შექმნა.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განმარტავენ, აღნიშნული ირდენი კულტურის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტისა და სხვა დარგის მოღვაწებს საქართველოს წინაშე აღმატებული ლვანლისათვის ენიჭებათ. თუმცა, ზუსტად იმავე მიზანს ემსახურება, მაგალითად, ღირსების ორდენიც. ერთადერთი განსხვავება ამ სახელმწიფო ჯილდოებს შორის სახელია. არც „ღირსების ორდენი“ და არც „ღირსების მედალი“ ისე პომპეზურად არ ჟღერს,

მფლობელი ამერიკელი სენატორი ჯონ მაკენიცა გახდა.

„საქართველოში სახელმწიფო ჯილდოების დარიგება ძალიან ჰგავს კომუნისტების დროს რეუიმის ერთგული ამხანაგების დაჯილდოებას. ხომ ყველასთვის ცხადია, რომ ჯონ მაკენი საქართველოს ეროვნული გმირი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ საკაშვილის მთავრობის თავგამოდებული დამცველა?!“ – აცხადებს რესპუბლიკური პარტიის წევრი, ფრიდონ საყვარელიძე და განმარტავს, რომ დღეს ძირითადად მმართველი გუნდის მიმართ დამსახურებისა და ლოიალური დამოკიდებულებისათვის ჯილდოვდებან. „მივაღიათად, აჯილდოებენ მომლერალს, რომელსაც არასდროს უთქვამს უარი „ნაციონალური მოძრაობის“ კონცერტებში მონაწილეობაზე. გამონაკლის შემთხვევებს კი, როცა მართლაც დამსახურებულ ადამიანებს აფასებენ, ხელისუფლება წინასაარჩევნო პერიოდს ამთხვევს“.

წესით, „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის“ უნდა იღებდნენ.

„ასეთ კლიპებს ქმნის ეპოქა... ეს არის ახალი საქართველოს გზავნილი აფხაზეთისადმი და დანარჩენი მსოფლიოსადმი“, – აღნიშნა სააკაშვილმა „გამარჯობა, აფხაზეთო, შენის“ მონაწილეობის დაჯილდოებისას 2007 წლის 16 ოქტომბერს.

სახელმწიფო ჯილდოები სააკაშვილამდეც მხოლოდ მმართველის სახელს უკავშირდებოდა. სწორედ იმიტომ, რომ „შევარდნაძის ჯილდოდ“ თვლიდა, „ღირსების ორდენზე“ უარი თქვა მსახიობა ნოდარ მგალობლივილმა. დღემდე ეს სახელმწიფო ჯილდოზე უარის თქმის ერთადერთი პრეცედენტია. მას მერე სახელმწიფო ჯილდოების მფლობელებად მხოლოდ ისეთ ადამიანებს არჩევენ, ვინც პრეზიდენტს ორდენებზე უარის არ ეტყვის. ■



მაცხალებულთა მოხსენიების ფლენი, სოფელი ლენინოვკა, 2010

უხსირესობა, რომელიც ოფიციალურად არ არსებობს

# ახალი ახალი ცხოვილი

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ბოშები სრულფასოვან მოქალაქეებად იქცნენ.

**ავტორი: ეკა ჭითანავა, ფოტოები: თემო ბარძიმაშვილი**

„ოთხმოცდათოხმეტი წლის მოკვდები და ოთხი შეიღო გეყოლება“, – რუსულად ჩაიბუტებუტა 64 წლის თამარა პეტრენკომ და მტკიცედ შემომხედა. ჯერ მუხლებზე გაცრეცილი კარტები გაშალა, შემდეგ კი ჩემს ხელისგულზე ცხოვრების ხასს თითო გააყოლა.

თამარა ბოშაა, გარდაპირის რაიონის სოფელ გაჩიანში ცხოვრობს, 13 წლიდან მომავალს წინასწარმეტყველებს და ბოშების თემში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული პიროვნებაა.

უმცირესობათა საკითხების ეკროპული ცენტრის 2009 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოში 1000-მდე ბოშა ცხოვრობს. მათი მცირერიცხოვანი

თემი გაჩიანში, ლენინგრაში, თბილისში, ქუთაისში, ქიბულეთში, ბათუმსა და თელავშია მიმოფანტული.

მკითხაობა ისევე, როგორც ვაჭრობა, ცეკვა, სიმღერა და ბოლო დროს – მოწყვეტილი თხოვნაც, ბოშების იდენტობის ნაწილია. მათი ტრადიციები საუკუნების განმავლობაში მომთაბარე ცხოვრების წესის გავლენით ჩამოვალიბდა. მკითხავი თამარას მშობლებიც 30-იან წლებში კრასნოდარიდან საქართველოში ცენტრით ჩამოვიდნენ. „წინათ, ქვეყნიდან ქვეყანაში თავისუფლად ვმოგზაურობდით, – იხსენებს იგი, – ახლა კი ყველაფერი შეიცვალა“. მათი უმეტესობა ერთსართულიან სახლებში,

ძველ კორპუსებში, ან თუნუქის ფარდულებში ცხოვრობს.

ინდუსტრიული, ტექნოლოგიური და კიდევ სხვა მრავალი რევოლუციის ფონზე, სამუდმოდ ერთ ვიწრო და მარგინალიზებულ ეთნიკურ ჯგუფად რომ არ დარჩინილიყვნენ, ბოშებმა საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლა დაიწყეს. „ჩვენ სამშობლო არის ყველან, სადაც არის რომა“, – ამბობენ დღეს ისინი საზღვარგარეთ და ცდილობენ, ბოშა მხოლოდ მკითხავის, მათხოვრის, მოცეკვავის, ან ქურდაცაცას სინონიმი აღარ იყოს. „ჩვენ ვართ ექიმები, მწერლები, მეცნიერები, – აცხადებს თანამე-დროვე რომა, – გვინდა, მივიღოთ გა-

ნათლება და გავხდეთ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები“.

საქართველოში დამკვიდრებული ორი ბოშური კლანის – „კლასის“ და „კრიმის“ წარმომადგენლები საკუთარ მომავალზე დღეს ასე მასტუაბურად და ამბიციურად ვერ ფიქრობენ. ქართველი ბოშების უმრავლესობამ არ იცის წერა-კითხვა. კაცები, ხელმოწერის ნაცვლად, დღემდე ჯვარს ხატავენ. ხოლო იმის გამო, რომ ბოშა ქალები სახლში მშობიარობენ, ახალშობილებისთვის პირადობის დამადასტურებელ მოწმობებსაც ვერ იღებენ. გამოდის, რომ ზოგი ბოშა ოფიციალურად არც კი არსებობს. პასპორტის არქონის გამო, ბოშების უმრავლესობა იმ დახმარებებითაც ვერ სარგებლობს, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეებს ეკუთვნით.

პასუხად ვიდეომაგნიტოფონში ძველ კასეტას დებენ და ერთად ვუყურებთ 1975 წელს მაქსიმ გორგის მოთხოვნების მიხედვით გადაღებულ ფილმს „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“.

ის ლალი ბოშური ცხოვრება, რომელიც ფილმშია აღწერილი, მხოლოდ ვიდეომასტეტაზე დარჩა. ტრადიციები, რომლითაც რომას მსოფლიო იცნობს, საქართველოში წელ-წელა ქრება. სოფელ გარიანში ბოლო ბარონი, რომელიც მოსამართლის ფუნქციას ასრულებდა, დაახლოებით 30 წლის წინ გარდაიცვალა. არადა, წინათ სწორედ ბარონი ადგენდა, „ვინ იყო მართალი და ვინ მტყუნი“. ახლა მტყუან-მართალს ბოშები წარმართულ ელემენტებთან შერწყმული ქრისტიანული წესებით არჩევენ. მაგალითად, როცა კონფლიქტურ

ქორწილზეც და ჩვეულებრივ დღე-ებშიც ლენინოველების სახლიდან ხმამაღლალი სიმღერა ისმის. თუმცა, ცოცხალი ხმა უკვე აუდიოკასეტებმა ჩაანაცვლა.

საქართველოში მცხოვრებ ბევრ ბოშას საშუალო განათლებაც არ აქვს, რაც იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ ბოშებმა საკუთარი ტრადიციებიც წელ-წელა დაივინება.

ლენინოვების დასახლებაში ბოშათა 11 ოჯახი ცხოვრობს. აქაური ბავშვები კი დედოფლისწყაროს სკოლაში სულ 2 წლის წინ მივიღნენ. თუმცა, 13 ბავშვი ვი გაკვეთილებს სისტემატურად მაინც არ ესწრება. ხშირად იმ დროს, როცა გაკვეთილზე უნდა ისხდნენ, სამარშრუტო ტაქსის თბილისში მოჰყებიან და მთელ დღეს ქუჩაში ხეტიალსა და მა-

**■ ქართველი ბოშების უმრავლესობამ არ იცის წერა-კითხვა. კაცები, ხელმოწერის ნაცვლად, დღემდე ჯვარს ხატავენ. ხოლო იმის გამო, რომ ბოშა ქალები სახლში მშობიარობენ, ახალშობილებისთვის პირადობის დამადასტურებელ მოწმობებსაც ვერ იღებენ.**

„ველურები არიან“, „ადამიანებადაც არ ვთვლო“, „ყველანი ციხეში უნდა ჩაყარო“, – პასუხობენ გამვლელები „ლიბერალის“ ქუჩის გამოკითხვის ერთ მარტივ კითხვას – „რა იცით და რას ფიქრობთ ბოშებზე?“

რუსულის გავლენით, „ციგნად“ წოდებული ბოშა და „უიგაჩეა-უიგაჩეა“, ბოშა და „შენი თვალების ჭირიმე, დამებმარე, გოგო“, ბოშა და მოპარული ფეხ-საცმელებით სავსე ტომრებით ვაჭრობა – ბევრისთვის დღემდე გაიგივებულია. ქართულ საზოგადოებაში ბოშების შესახებ სტეროტიპები არ შეცვლილა.

ეროვნულ-ეთნიკური უმცირესობების სპეციალისტებს რომ პეითხოო, გეტუცვიან, რომ ბოშებს თვითგამორკვევის პროცესი ჯერ საკუთარ თავში აქვთ გასავლელი. „აქაურმა ბოშებმა ისიც არ იციან, რა არის „რომა“, ზოგი მოლდაველს უწოდებს თავს და ზოგი ბოშას“, – აცხადებს რეინტეგრაციის საკითხებში ეროვნულ-ეთნიკური უმცირესობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი დეა ელიტებოვა.

თვითონ ბოშები კი, ლენინოვების ბოშური დასახლებიდან, კითხვაზე – ვინ ხართ, რა არის თქვენი ტრადიციები –

სიტუაციაში დამნაშავის აღმოჩენა სურთ, ეჭვმიტანილები გარეთ გაჟყავთ, ეზოში ორმოს თხრიან, შიგ ქრისტიანულ ხატს დებენ, ლეთისმოშიმი ბოშები კი ამ ხატზე სათითაოდ იფიციებენ, რომ დანაშაული მათ არ ჩაუდენიათ.

ყველაზე კარგად ტრადიციები, ძირითადად, სადღესასაწაულო რიტუალებზე ჩანს. თუ გსურთ, ბოშების წეს-ჩვეულებებს გაეცნოთ, ბოშას ქორწილს უნდა დაესწროთ. ამ დღეს ალუბლის ხეს, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს, სოფელ გარიანის ბოშათა დასახლებაში დღემდე ჭრიან, ტკბილებულითა და წითელი ლენტებით რთავენ. მცირე ზომის ხეს მარილმოყრილ პურში არჭობენ და ორივე სუფრაზე დგამენ. ნეფე-პატარძალი და გაუთხოვარ-დაუქორწინებული ახალგაზრდები სუფრასთან ერთ ოთახში სხდებიან, უფროსები კი – მეორეში. პატარძლისა და სიძის ოთახს ორი მამაკაცი დარაჯობს, რომ იქ „ასაკოვნები“ არ შევიდნენ.

კიდევ ერთი წესი, რასაც ბოშები იცავენ – პატარძალი აუცილებლად ქალწული უნდა იყოს, გათხოვების შემდეგ თავსაფარი და გრძელი კაბა ატაროს და ქმარსაც უსიტყვოდ დაემორჩილოს.

თხოვრობაში ატარებენ.

„ვაჭრობა, ფულის თხოვნა, საცხოვრებელი ადგილების ცვლილება, ყველაფერი ეს სისხლში გვაქვს, – ამბობს გარიანელი მითხუნი, – სინამდვილეში ბოშას თავისუფლება უნდა, თუმცა, თანამედროვე სამყაროში ეს შეუძლებელია“. ბოშამ თანამედროვე სამყაროში რომ გაძლიერ, მძიმე სოციალურ ყოფაში ჩაკეტილი საზღვარი გააღვივის და სრულფასოვან მოქალაქედ იქცეს, ამისთვის განათლების მიღებაა საჭირო.

განათლება გახდავთ იმ ორად ბოშური არასამთავრობო როგორიზაციის მთავარი საზრუნავიც, რომლებიც ბოშების ორ დასახლებაში – ქობულეთსა და ლენინოვების ორიოდე წლის წინ გაჩნდა.

„სარადილა“, – გვესალმება სოფელ ლენინოვებაში ჩვენი მასპინძელი ვენერა მარტიფოვაშვილი დაბალჭერიან, „რუსულ სახლში“ გვეპატიუება.

ვენერას სახლში სულ ორი ოთახია. კედლებზე ყველგან ჭრელი ხალჩებია გაკრული. ერთ ოთახში ტატტი, დაბალი მაგიდა, ფერადი ტელევიზორი და შეშის ღუმელი დგას, მეორეში კი – კომპიუ-



10 ნლის ფატიმა, სოჭელი ლენინვკა, 2010



„მიგვითითებენ, – აი, მთავრობის კაცს მიეცით ხმა, აბა სააკაშვილამდე იყო უკეთესი თუ სააკაშვილის მერეო? საბუთები ვისაც აქვს, მიდის და იმას აძლევს ხმას, ვიზეც გამგებელი იტყვის“, – ამბობს ქალბატონი ვენერა.

ტერი. აქაა განთავსებული ქალბატონ ვენერას არასამთავრობო ორგანიზაცია – „კახეთის ბოშათა გაერთიანება „რომა“.

ეროვნებით ქართველი და განათლებით ეკონომისტი, 55 წლის ვენერა, 17 წლის იყო, როცა ბოშას გაჟყვა ცოლად. მას შემდეგ ჯერ კოლმეურნეობაში ბუღალტრად მუშაობდა, მერე კი ბოშებთან ერთად მომთაბარეობდა. „მეც უკვე ბოშა ვარ, სულ თავსაფრით დავდივარ, ბოშასავით მაცვია და ბოშების ენაზე ვსაუბრობ“, – დასძენს იგი. 2

წელია, რაც, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის დახმარებით,

არასამთავრობო ორგანიზაცია დაარსა

და ბოშებს შორის სწავლა-განათლების

პოპულარიზაციას ეწევა.

თუმცა, ბოშებს შორის განათლების

დანერგვის მცდელობა ჯერჯერობით

სიბრძელეში ხელების ცეცებას ჰგავს. ვე-

ნერას მცდელობის მიუხედავად, ლენი-

ნოვკელების ნაწილი განათლების მიღების აუცილებლობას ვერ აცნობიერებს. თუმცა, წერა-კითხვის უცოდინრობის გამო, დაბრკოლებებს სულ უფრო ხშირად აწყდებიან. ერთხელ ლენინველი კაცები, თბილისის მაგივრად, თელავში ჩავიდნენ, რადგან სამარშრუტო ტაქსიზე გაპრული აბრა ვერ წაიკითხეს. ერთხელაც ადგილობრივი ბოშა ჯართის მოპარვაში დაადანაშაულეს. იმის გამო, რომ კითხვა არ შეეძლო, პოლიციამ მას დანაშაულის აღიარებაზე ხელი შეცდო-მით მოაწერინა.

მიმდინარე ამბებში ბოშების გაუთვითცნობიერებლობას წინასარჩევნოდ დედოფლისწყაროს თვითმმართველობაც თავის სასარგებლოდ იყენებს.

„მეუბნებიან, – 4500 ლარია თქვენს სოფელზე გამოყოფილი და არჩევნებამდე გზებიც იქნება, მალე მოგიგარებენ მრიცხველების ამბავსაცო“, – ამბობს ქალბატონი ვენერა და დასძენს, რომ

სოფელს ერთი ძეველი საერთო მრიცხველი აქვს. „გვეუბნებიან, – ახალი მრიცხველები უგულავამ უნდა დაგიყენოთო“, – თქვა ამავე სოფელში მცხოვრებმა რუსმა ქალბატონმა.

„მიგვითითებენ, – აი, მთავრობის კაცს მიეცით ხმა, აბა სააკაშვილამდე იყო უკეთესი თუ სააკაშვილის მერეო? საბუთები ვისაც აქვს, მიდის და იმას აძლევს ხმას, ვიზეც გამგებელი იტყვის“, – ამბობს ქალბატონი ვენერა.

ლენინველი ერთადერთი სტაფილოსფერი მანქანა ჰყავთ, ისიც – საბჭოთა მარკის. მიუხედავად იმისა, რომ მათ არნმუნებენ, თითქოს მთავრობის შეცვლის შემდეგ ცხოვრება გაუმჯობესდა, ბოშებს ჯერ სასიკეთო არაფერი უგრძენიათ. ლენინველის ატალახებულ ბილიკებზე ზოგჯერ ზურგზე ბავშვებაკიდებული გოგონები ჩნდებიან, ან დაუანგული ჭისენ წყლის ასალებად მიმავალი ქალები.



ობადვის სოფელი ლენინოვკა, 2010



გარიანის დასახლება, 2010



ბოშების ქორწილი, სოფელი ლენინოვკა, 2010



ბოშების ქორწილი, სოფელი ლენინოვკა, 2010

ირგვლივ არსად ჩანს საქონელი, მაღაზია, სკოლა, ბაღი, ამბულატორია, წყალგაყვანილობა ან კნალიზაცია.

სლავური გარეგნობის ბავშვები ფოტოების დანახვაზე სიცილს იწყებენ. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან და „ლიბერალის“ ფოტოგრაფს ეხვეწებიან, – „ძია, გადამიღე რა, გადამიღე!“ – ფოტოგრაფი და უურნალისტი იმ წუთს მათვის იმ სამყაროს ნაწილს წარმოადგენენ, რომელში თავის დამკვიდრებაც მათვის განვითარების ერთადერთი შანსია, მაგრამ ჯერჯერობით ამ შანსს ვერ ხედავენ.

ბოშების საკითხის მკვლევრის, გიორგი

**„ბოშებმა თავადაც არ იციან, რისი უფლება აქვთ, შეიძლება ერთ დღეს გადაწყვიტონ, რომ სწავლა სჭირდებათ, და გავიდნენ ჩაკეტილი წრიდან, თუმცა, ცოტა ხანში ისევ უკან ბრუნდებიან“.**

სორდის აზრით, ეს უმცირესობა იზოლაციაში საკუთარი სურვილითაც მოექცა, თუმცა ჩაკეტილი წრის გარღვევაში მათ არც საზოგადოება დახმარებია. „აქ არის უცხო სამყაროს შიში, რომ მათ არ მიიღებენ, მეორე მხრივ, თავადაც არ იციან, რისი უფლება აქვთ, – აღნიშნავს სორდი. – შეიძლება ერთ დღეს გადაწყვიტონ, რომ სწავლა სჭირდებათ, და გავიდნენ ჩაკეტილი წრიდან, თუმცა, ცოტა ხანში ისევ უკან ბრუნდებიან“.

ევროპაში, სადაც 10 მილიონამდე ბოშა ცხოვრობს, მათვის განუთვნილ პროექტებზე ევროკავშირმა 400 მილიონი დახარჯა. პროექტი სახელწოდებით – „ბოშათა ინტეგრაციის დეადა 2005-2015“ – ევროპის ქვეყნების საერთაშორისო ინიციატივაა, რომელიც მათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ამ პროექტში 12 სახელმწიფოა ჩართული.

საქართველოში კი, ამ ადამიანებზე ზრუნვა ხელისუფლებას ჯერ არ დაუწყია. რეინტეგრაციის საკითხებში ეროვნულ-ეთნიკური უმცირესობების

სამმართველოს მთავარი სპეციალისტი დეა ელიბეგოვა აცხადებს, რომ ბოშებთან დაკავშირებით კონკრეტული სახელმწიფო პროგრამა არ არსებობს.

თუმცა, ჩაკეტილი წრის გარღვევას ერთეულები ბოშათა თემიდან მაინც ცდილობენ. მაგალითად, გაჩიანის დასახლებაში, სადაც მყითხავი თამარა ცხოვრობს, ახალგაზრდების უმეტესობა ამბობს, რომ შვილებს სკოლაში აუცილებლად მიიყვანს. „იქნებ უნივერსიტეტიც დაამთავროს, დიდი კაცი გამოვიდეს“, – ამბობს ბოშა ანდრე მცირელოვან შვილზე.

19 წლის ქრისტინე იურენკო კი რუსთავის სკოლაში, მე-11 კლასში სწავლობს და უნდა, სტილისტი გამოვიდეს. უანგიან ფარდულებსა და ჭერგახვრეტილ შენობებს შორის ქრისტინე ვარდისვერკედლებიან ქვის სახლში ცხოვრობს; სკოლიდან პირდაპირ სახლში ბრუნდება, ძირითად დროს კომპიუტერთან, სოციალურ ქსელებში ატარებს და კარგად სწავლობს. ქრისტინე ამბობს: „არასდროს მიმათხოვრია და არც მინდა, მე სულ სხვა მომავალზე ვოცნებომ“. ■



გაჩიანის დასახლება, 2010

# ჩაფიქი პირი



გასულ კვირას ლონდონში ერთი კონფერენცია გაიმართა, რომლის სათაურიც ასე უდერდა: fair play სპორტში – ფაქტი თუ ფანტაზია. ანუ სინამდვილე თუ გამონაგონი.

გიო ახვლედიანი, ლონდონი

რაღა თქმა უნდა, როცა fair play-ს ცხოვრებაში უჭირს, სპორტშიც გაუჭირდება. ბარე ოცი წელიწადი იქნება, რაც ფეხბურთში fair play-ს პრინციპია შემოლებული, ანუ ნაშესინი თამაშის ჯილდო – კაცი თუ ჯენტლმენურად მოიქცევა, იმაშვე განადიდებენ, ან ზემობს ნამუსიანობის პრინციპიო.

ასეთი შემთხვევები ყოფილა და საქართველოში ხშირადაც, უფრო ხშირად კიდევ ჯენტლმენობა ისეთ ფეხბურთელებს ჩაუდენიათ, მთლად ხულიგნებად რომ ყოფილან ცხობილი, ვთქვათ – პაოლო დი კანიოს.

უეფა წლის fair play-ს პრიზსაც კი გადასცემს ხოლმე რომელიმე ევროპულ გუნდს, ლონდონც, სადაც ისეთი წესიერი ბიჭები, როგორიც ტიერი ანრია, ბურთს ხელიხელ აგოგმანებენ და გაიტრუნებიან, ვითომ არაფერიო, იქ მინდონზე შემორჩენილ ჯენტლმენობაზე ლაპარაკი ცოტა ძეგლია.

არიან ფეხბურთელები, რომლებსაც მსაჯისთვის უთქვამთ, – ჩემს სასარგებლოდ არასწორად დანიშნე ჯარიმია, – და ასეთი რამ წლეულსაც მოხდა ერთო-ორჯერ, მაგრამ დღვევანდელი ფეხბურთის გამოხატულება მაინც არის მწარ-ზე გაგორებული ყმანილი ბუსკეტის, თვალებზე აფარებული ხელებიდან რომ იჭყიტება, – აბა მსაჯეს მეტოქე თუ გავაგდებინე, საქართვისა თუ არა ტყუილად კრუჩხვაო. იმის ჭყაფაც არა ჰყოფინის, რომ ახსოვდეს: მინაზე გაგორებულ კაცს კამერა ფართო პლანით უდებს.

თუმცა, თამაშის დროს ბევრი რამის ჭყაფა არ ჰყოფინის კაცს. თვით რივალიდოც კი, რომელიც ახლა ტაშკენტის „ბუნიოდი გორში“ თამაშობს, მთელი მსოფლიოს დასახად სახეზე ხელებაფარგებული გაგორდა მინაზე, როცა გაბრაზებული თურქის მიერ ნათხლეში ბურთი ბარძაყ-

ში მოხვდა და არა – სახეში. რივალი იყო, ის ხომ არა. თუმცა, როგორც ირკვევა, ამას მინშენელობა არა აქვს.

ჯენტლმენური თამაშის უნარი ან გაქვს, ან არა. მთელი ძველი რაინდული თამაშიდან დღევანდელ ფეხბურთში დარჩენილია მხოლოდ ე.წ. გარიბიას წესი, მეტოქისთვის ბურთის დაბრუნებისა. ამას რატომლაც იცავენ ხოლმე, თუმცა, თუ გაჭირდა, ამასაც არ იცავენ.

რამ მოიტანა ტყუილი და თალღითობა მინდონზე, ძნელი სათქმელია. ამბობენ, – უზომო ფულმაო, – თუმცა მთლად ასე არ არის. ადრეც იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც ისტატურად გამოიგრინებდნენ ხოლმე პენალტს, მაგრამ ახლა ეს საყოველთაო წესია. თუ თავდამსხმელმა პენალტზე კარგად წასვლა არ იცის, გუნდში ვინ მიიღებს. იდესდაც ჭორები დადიოდა, ლეგენდარული არგენტინელი მწერთხელის, ისვალდო სუბელდისა შესახებ, რომ მეტოქის ფეხბურთელებზე დოსიერი პენალტა და თავის გუნდებს კი უნამუსოდ თამაშს ასწავლიდა, მაგრამ ახლა ეს გასაკვირი სულაც არ არის. უბრალოდ, არსებობს პროფესიულ უნამუსობა, რომელიც საქმიდან გამომდინარე ხდება და ადამიანური უნამუსობა, რომელიც შეიძლება სულაც არ ახასიათებდეს ამა თუ იმ ფეხბურთელს, იღონდისე განვითარებული არ პენალტეს, რომ პროფესიულ უნამუსობაზე ხელი ააღბინოს.

სიმულაცია ადრეც არსებობდა, მაგრამ ადრე კარგ თავდამსხმელს კოჭებში მაგრად ურტყამდნენ და ამისთვის მეტოქეს არავინ აძევებდა, დღევანდელი კანონებით კი, სერიული უხეშობა ფაქტობრივად ამოკვეთილია ფეხბურთიდან, რაც გადასარევი რამ არის, მაგრამ ამ ამოკვეთაში კოტრიალის და თალღითობის ნამდვილი

ცუნამი წარმოშვა, რადგან თუ კარგად ეცდები, მეტოქეს იოლად გააძევებინებ. ძველად ვინ აძევებდა? თუ კაცს წილს ან მუშტს ჩარტყამდი, ეგებ გაეგდეთ კი-დეც, ისე კი.....

ახლა, ერთი არასწორად გაშლილი ფეხი და, თავისუფალი ხარ.

პოდა, მსაჯებსაც უჭირთ. რაც იმათ ლანდლავენ.

ფეხბურთს კი არაფერი ისე არ უხდება, როგორც ჯენტლმენიბა. კაი ფინტებსაც სჯობის ხოლმე. ხომ ნათქვამია, ფეხბურთი არის ჯენტლმენური თამაში, რომელსაც ხულიგნები თამაშობენ და რაგბი კი არის ხულიგნური თამაში, რომელსაც ჯენტლმენები თამაშობენ.

პოდა, ერთი ძალის თავი ეგებ აქაც იყოს დამარხული. რაგბი ერთ-ერთ უკანასკნელია დღიდ გუნდურ სპორტთაგან, პროფესიონალიზმს რომ დაჰყუბებულდა. იქ ჯერ კიდევ არსებობს კორინთული სული, თუმცა, ხვალ რა იქნება, ვინ იცის.

„კორინთული სულის სიკვდილი დღევანდელ სპორტში“ – ასეთი იყო ნორვეგიელი პროფესიონალის სიგმუნდ ლოლანდის მოხსენების სათაური იმ კონფერენციაზე.

ეს ცნობილი მოხსენებაა სპორტით დაინტერესებულ ხალხში, რახანლა ლოლანდი მთელ მსოფლიოში დაიარება ამ ლექციით.

კორინთული სული, იოლად რომ ვთქვათ, ისაა, რასაც სამოცარეულო სპორტის საუკეთესო გამოვლინება პერვა. პატიოსანი, თანაბარი ძალის ხალხის შეჯიბრი არა საჩუქრისთვის, არამედ სიამოვნებისთვის და დადებითი ემოციებისთვის. ჯენტლმენები ფულზე არ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, არამედ მხერიბისა და თავისი ოსტატობის წარმჩენისთვის. ფულისთვის პრაიზ-ფაიტერები კრიიბობდნენ ბაზრის მოედანზე.

სამყარო ისე აეწყო სოციალურად და პოლიტიკურად, რომ ამ საქმეში პრაიზ-ფაიტერებმა იმარჯვეს. პოდა, განა იმათში არ გამოერევა ჯენტლმენი, პოდა მათ მიენიჭებათ ხოლმე fair play-ს პრიზები.

ამიტომ, ახლა თუ ტიერი ანრი ორჯერ ხილით შეისტორებს ბურთს და ერთი კვირის მერე იტყვის, – ვნანიბო, – როცა შეეძლო, იმაშვე მისულიყო და მსაჯისთვის ეთქვა, როგორც ეს ერთ დროს იგორ ნეტომ გააკეთა, დიდი არაფერი.

როგორც დღი ვიტო და მისი ამხანაგები იტყოდნენ, – არაფერი პირადი, ეს მხოლოდ ბიზნესი იყო. ■

# სისხლ! მაღალ!



ქართული პროვინციალიზმის ისტორია ჩვენი მხრიდან  
მოვლენებზე არაადეკვატური რ ე ა ქ ც ი ე ბ ი ს ქრონიკა.

კახა თოლორდავა

სერიოზული, ყოველდღიური მაგალითებით გამყარებული ეჭვი მაქს, რომ საქართველო პროვინციული ქვეყანაა, თბილი-სი კი პროვინციული ქალაქი. შესაბამისად, ჩვენ ყველა პროვინციული ქვეყნის და ქალაქის მოქალაქეები ვართ. ამაში საწყინი არაფერია, არც – გასაბრაზებელი. ბოლოს და ბოლოს დღეს რომიც პროვინციულ ქალაქად ითვლება და უწყევაც. სია გრძელია. მთავარია, მოვეძეათ და შევეგულოთ ამ აზრს. ასე ცხოვრებაც გაგვიადვილდება და ერთმანეთის სიყვარულიც. იმას, რომ ჩვენ ასეთები ვართ და არა სხვანაირები, ჯერ კიდევ პატარაობიდან-ვე ვხვდებოდ, როდესაც, მაგალითად, მოსკოვში საქართველოს „ლირსების დასაცავად“ გაშევებულ ქართველ კულტურის მოღვაწეებს ვუსმენდი. იმ შორეულ ნარსულში ისინი ერთი რუსი ავტორის მიერ საქართველოს მიმართ გამოთქმულ მსუბუქად არასახარბიელო სიტყვებს აპროტესტებდნენ. სწორად გამიგეთ, ასეთ შემთხვევებში, რეაგირება შეიძლება ზოგჯერ საჭიროც იყოს, მაგრამ სწორედ აյ იჩენს ხოლმე თავს ის, რასაც პროვინციალიზმის ვუწოდებ: შენ ხარ ის, როგორც რეაგირებ! ქართული პროვინციალიზმის ისტორია ჩვენი მხრიდან მოვლენებზე არაა-დეკვატური რ ე ა ქ ც ი ე ბ ი ს ქრონიკა. აი, ამის ერთი თბილისური მაგალითი: გასული საუკუნის ბოლოს თავსაბურავად შლაპა ავირჩივ (ხ. სურათი). ცნობისთვის, შლაპას ატარებდნენ ილია, გალაკტიონი, ალბერ კამიუ, ჯომი ჰენდრიქსი, მთელი მსოფლიო და ბაბუაჩემი შალვაც. მოკლედ, დავიხურე შლაპა და ამის შემდეგ რაღაც შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში! ჯერ იყო და, კინაღამ მეგობარი დავკარგე, მერე ცემა დამიპირეს, ერთხელ კი სპეციალურად ჩემ გამო შეუ ქუჩაში გაჩერებული მანქანი-დან ვიღაც უცნობმა ტიპმა მითხრა, – „ევროპელები ხომ არა ვართ, ძმით, მოხსადე ეგ შლაპათ თუ ოხრობა და მაუზერს გაჩერები“. კიდევ უამრავი ასეთი ისტორია შეიძლება გავიხსენო. მოკლედ, ჩემმა შლაპამ სერიოზულად დაძაბა თბილისელების რაღაც ნანილი (მანიტერერებს ჩემზე უფრო თამამი ჩანცმელები როგორ ახერხებენ ცოცხლად დარჩენას?), მერე კი მონიშვულ ასაში შევაბიჯე და ისევ რაღაც შეიცვალა; გაქარ აგრძეს და გაჩნდა დაუმსახურებული პატივისცემა, თუმცა აქ ყველაფერი ასე მარტივად არა.

რამდენიმე წნის წინ ჭავჭავაძის ქუჩაზე გადავდიოდი. სავალ ნანილზე ფეხი იმ დროს შევდგი, როდესაც რესთაველის პროსპექტიდან მანქანამ შემოუსვია და აღმართზე მოძრაობა დაიწყო. მანქანის გასატარებლად შევჩერდი, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა – მძღოლმა დაამუხრუჭა, გამიღმა, გალანტურად მანიშნა, – გადაბრძანდით; მერე კი ფანჯრიდან თავი გამოყო და ღიმილით დააყოლა: „სეერ!“ იმავე წამს მივხვდი, რაც მო-

ხდა! შლაპა მეზურა და ქალაქის სტუმარი ვეგონე! უკვე მივეჩვიე ამას. ღიმილით ჩამირიხინა, საუთარი თავით სასტიკად კმაყოფილმა, ზევითკენ წანისა და გზაჯვარედინზე შეაჩერა მანქანა. ექსპერიმენტის დრო იყო! სასწრაფოდ მოვაშვლიპე შლაპა, ღამის სირბილით ავუყევი აღმართს და გზაჯვარედინზე შევჩერდი. მძღოლს არ დავუნახივარ, ის ვიღაც გამვლელს ესაუბრებოდა ფანჯრიდნ, მერე კი მანქანა დაქიქა და, ჩემდა საბედნიეროდ და ექსპერიმენტის სასარგებლოდ, სწორედ მარცხნივ დაიწყო მოძრაობა. აქ კი სცენაზე ჩემი გასვლის დროც დადგა! შლაპა ისე მეჭირა, რომ მას არ დაგნახა. ზუსტად იმ წამს, როდესაც შემოუსვია, სავალ ნანილზე შევდგი ფეხი და დაიწყო ის, რაც ასე კარგადა ყველა თბილისელი ფეხით მოსიარულეთათვის ნაცნობი! ის გამალებით დააწვა გაზს, თან თვალს არ მაცილებდა. მე თბილისურად ავერტქარე ნაბიჯს, რა თქმა უნდა, გადასწრების მიზნით, მაგრამ მან კიდევ უფრო მეტად დააჭირა გაზს ფეხი და ამაყი ღიმილით ჩამიბლუილ ცხვირინი. უნდა გენახათ, რა ბედნიერი სახე ჰქონდა! ყველაფერი ნათელი იყო! კახა თოლორდავას ქალაქის სტუმრის როლში უფრო მეტი პატივი ხვდა წილად, ვიდრე თანამოქალაქე კახა თოლორდავას. ძალიან ნაწყინი დავრჩი. იმ მძღოლმა ნარსულის ერთი შემთხვევა გამახსენა. მაშინაც მეწყნა, მოუხედავად იმისა, რომ საკმაოდ პატარა ვიყავო. ერთხელ მამაჩემმა, რომელსაც ძალიან უყვარდა ქალაქში ფეხით მოსიარულეთათვის გზის დათმობა, საყიდლებით დატვირთულ ვიღაც ქალბატონს გადასასვლელზე მანქანა შეუჩერა, ხელით ანიშნა, – გადაბრძანდით, – და ისე, რომ იმ ქალბატონს არც გაუგია, თავისთვის ჩაილაპარაკა: „მადაამ!“

ქალბატონს სახე შეეცვალა, შეჩერდა, თვალში გაუყარა მამჩემს და დაიწყო (თითქმის ზუსტი ციტატა): „შე გარყვნილო ნაძირალავ, რას მაჟადრებ რომ მკადრებ, შე ბენლსულიანო ცხოველო? როგორ მიბედავ ამას, შე გათახსირებულო? ბავშვის მაინც არ გრცხვნია, შე... დიდასანს ლანძას გაოგნებული მამაჩემი და ყვირილ-ვეკირილით გაეცალა იქურობას. ყველა ჩემ გვიყურებდა. მახსოვს, როგორ წამომითავკლდა ლოყები. „არა, მამი, – ამოილულლუდა მამაჩემმა, როცა როგორც იქნა დაძრა მანქანა ადგილიდნ, ჩემ კიდევ დადხანს არაფერ გვეშველება!“

იმედი მაქს, რომ გასაგებად ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა. ამაზე შორს ალარ წავალ. უბრალოდ, ბოლო დროს რამდენჯერაც ევროკავშირის დროშას დავიხსახავ, იმდენჯერ ეს შემთხვევები მახსენდება. ყოველთვის უსიამოვნო შეგრძნებით. სულ რაღაც ეჭვი მიღრდნის გულს, რომ მამაჩემი მართალი იყო. მერე კი ამაზე ფიქრს ვაგრძელებ და უფრო ცუდ ხასიათზე ვდგები ხოლმე. ■



## რადიო „ნაცობი“ გეპატიურათ კლუბი „ნაცობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა





**WWW.LIBERALI.GE**

---